საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№31 (313)
19 აგვისტო – 8 სექტემბერი, 2015

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 9 სექტემბერს**

4



## «განდონების», არაკაცებისა და «ინტელექტუალების» კოლექტიური COMING OUT

## პიდორხლისტები ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ 6

«თუ ასე გაგრძელდა, მალე შოთა რუსთაველსაც ამოთხვრიან ტალახში»





«არსებობენ ადამიანები, რომლებიც წიგნს წაიკითხავენ თუ შპალერს, დიდი მნიშვნელობა არ აქვს» 8



## ჭრელი ბაირაღები, ანუ ფურუნკულების სკდომა

10



## «ნოდია უნიჭო ბადრიჯანია და თავი მერცხალი ჰგონია, ყოველგვარ ზღვარს გასცდნენ ეს გარეწრები!»



## თინა ხიდაშელი — «ტროას ცხენი» აღმასრულებელ ხელისუფლებაში 12

14



## «ჩვენი ხელისუფლების კურატორებს ამერიკიდან და ევროკავშირიდან არ სურთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა»

2 მსოფლიო ბანკმა ყოფილ პროკურორს მო-ბანა

3 თქვენ გეკითხებით, ძმებო «ზუმბებო»!

«ჩუქონი»! «სვონი»! ანუ დახვრეტა, როგორც სასჯელი რუსეთუმეებისთვის! 9

«სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ვეტერანებს ყველა შეღავათი გაუუქმეს» 15

16 ამერიკული დემოკრატია — ცინიზმი და თვალთმაქცობა

20 ნაგასაკი: ცხოვრება ბირთვული ომის შემდეგ

21 დიდი ბრიტანეთი და რასიზმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამბები

### საპატრულო პოლიციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



**შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად გოგა რაზმაძე დანიშნა.** მინისტრმა საპატრულო პოლიციის ახალ ხელმძღვანელთან შეხვედრისას ყურადღება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა: საგზაო უსაფრთხოება, დანაშაულის პრევენცია, ბრძოლა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, პოლიციელების პროფესიული მომზადება და უსაფრთხოება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ქალი პოლიციელების როლი და სხვ. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ახალი დირექტორი გოგა რაზმაძე პროფესიით იურისტია, დაკავებული იყო საადვოკატო საქმიანობით, აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მთავარ პროკურატურასა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მუშაობის თვრამეტწლიანი გამოცდილება. იგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ჰყავს მეუღლე და შვილი.



## პატრიარქმა მრევლს მიმართა, რომ 21 სექტემბერს, 12 საათზე, ერთობლივად ილოცონ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერს 21 სექტემბერს ერთობლივი ლოცვის კურთხევას აძლევს, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში. უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის ლოცვა-კურთხევაა, 21 სექტემბერს, 12:00 საათზე, სრულიად საქართველომ ერთობლივი ლოცვით მიმართოს თავის მფარველს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

**„უნდა ავანთოთ სანთელი და სამჯერ ვთქვათ შემდეგი ლოცვა: „მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთაისაი. ამინ!". ვინც ამ დროს არ იმყოფება ტაძარში, მას შეუძლია ლოცვა თქვას სახლშიც, ქუჩაშიც, ტრანსპორტშიც და საერთოდ ნებისმიერ ადგილზე. მთავარია, ყველამ, როგორც ახალგაზრდამ, ისე ასაკოვანმაც და ბავშვმაც, ერთდროულად შევთხოვოთ ყოვლადწმინდა მარიამს, ჩვენი სამშობლოსა და თითოეული ჩვენთაგანის მფარველობა და შეწევნა. ერთობლივ ლოცვას დიდი ძალა აქვს",** — აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.

21 სექტემბერს მართლმადიდებელი სამყარო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის დღეს აღნიშნავს. ეს დღე, ისევე, როგორც ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

# მსოფლიო ბანმა ყოფილ პროკურორს მო-ბანა

**პირდაპირ ვიტყვი: ამ რეპლიკას არც კი დავწერდი, რომ არა ბატონი პაატა ბურჭულაძე. უკვე ისე მოყირჭდა საზოგადოებას „რუსთავი 2"-ის თემა და მავანის ძახილი, რომ, თურმე, ამ აშკარა ანტიტელევიზიაში „პროფესიონალები" მუშაობენ, ამ მოყიყინე ჭაობისთვის ყურადღების მიქცევა ნამდვილად აღარ ღირს.**



სწორედ ამიტომ გამიკვირდა ცნობილი ბანის, ბატონი **პაატა ბურჭულაძის** გამოსვლა, მან აღნიშნა: „რუსთავი 2" — ეს არის პროფესიონალთა სერიოზული ჯგუფი, რომელმაც საკუთარი შრომით მიაღწია წარმატებას".

და შემდეგ, რა თქმა უნდა, ერთი-ერთში გამეორებული ზუსტად ის სისულელეები, რომლებსაც „რუსთავი 2"-ის სხვა „გამპრავებლები" ლაპარაკობენ ხოლმე...

სიმართლე გითხრათ, **გამოცანად რჩება ჩემთვის, რატომ მოუნდა უცებ ასეთ ცნობილ და პატივცემულ კაცს ამ სამარცხვინო ტელეკომპანიის გულის მოგება?**

მართალია, მოგვიანებით პრესაში დაიწერა, პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში აპირებს მოსვლას და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასო, მაგრამ, ჩემი აზრით:

1. ის ასეთ სისულელეს არ ჩაიდენს;

2. რომც აპირებდეს, **ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ „რუსთავი 2"-ის ქებით რაიმე დადებითს შეჰმატებს თავის პოლიტიკურ კარიერას, ძალიან სულელია.**

თუმცა ყველამ თვითონ იზრუნოს თავის პოლიტიკურ კარიერაზეც და საკუთარ იმიჯზეც ხალხის თვალში.

მე, უბრალოდ, მინდა, რადგან ასე ძალიან „მოდაში" შემოვიდა ამ ტელეკომპანიის „პროფესიონალობის" მტკიცება, მცირე რეპლიკით შევეხო ამ თემას და „ინტელიგენციის" იმ ნაწილს, რომელიც ქვეყნის ყოველი ასეთი გარდამტეხი მომენტის დროს „არც მწვადი და არც შამფურის" პოზიციას ირჩევს, „ურთიერთობას არავისთან იფუჭებს" და, საბოლოოდ, სწორედ მათი ასეთი პოზიციის გამო ქვეყანა სავალალო შედეგებს იმკის.

სხვათა შორის, **როდესაც დაინახეს, რომ მიშასდროინდელი „რუსთავი 2"-ის „პროფესიონალობის" მტკიცება ძალიან არადამაჯერებელი იყო, ამ დღეებში ახალი „მოდური" ფრაზა გავრცელდა:**

„ეს ტელევიზია პროფესიონალურად მუშაობდა 2003 წლამდე, აი, მხოლოდ შემდეგ, ხელისუფლებაში მიშას მოსვლის გამო, ისინი აიძულეს, რომ ელალატათ პროფესიონალიზმისთვის".

პირდაპირ ვიტყვი: ედუარდ შევარდნაძის მომხრეობას ვინც დამწამებს, იმას ცხვირზე ავაფარებ 1996-დან 2003 წლამდე ჩემ მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ შევარდნაძის საწინააღმდეგო წერილებს.

მაგრამ აუცილებელია, ითქვას, რომ **ჟვანია-სააკაშვილის გუნდის პირადი ტელევიზია „რუსთავი 2" იმთავითვე უკადრისი, უღირსი და უნამუსო მეთოდებით იბრძოდა შევარდნაძის, აბაშიძისა თუ ყველა იმჟამინდელი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ, რომლებიც პირადად ჟვანიასა და სააკაშვილს არ მოსწონდათ ან რამეში ხელი ეშლებოდათ მათ გამო...**

**ჟვანია-სააკაშვილის გუნდის პირადი ტელევიზია «რუსთავი 2» იმთავითვე უკადრისი, უღირსი და უნამუსო მეთოდებით იბრძოდა შევარდნაძის, აბაშიძისა თუ ყველა იმჟამინდელი მაღალჩინოსნის წინააღმდეგ, რომლებიც პირადად ჟვანიასა და სააკაშვილს არ მოსწონდათ ან რამეში ხელი ეშლებოდათ მათ გამო...**



მოდი, ერთად **გავიხსენოთ რამდენიმე სიუჟეტი, რომლებიც „რუსთავი 2"-ის ეთერში სწორედ 2003 წლამდე გავიდა, და შემდეგ ვილაპარაკოთ ამ ტელევიზიის „პროფესიონალიზმზე":**

**1. სიუჟეტი კულტურის მინისტრ ვალერი ასათიანის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ მისი დაკვეთით ორი ადამიანი მოკლეს, დაჩეხეს, დაანაწევრეს, ტომრებში ჩაყარეს და სანაგვეზე გადაყარეს. ეს ბრალდება დღემდე ვერავინ დაადასტურა;**

**2. სიუჟეტი ასლან აბაშიძის შესახებ, სადაც ის ამბობდა: „მე მინდა ბათუმის პორტი, მე უნდა ვაკონტროლო ფოთის პორტი!" და მერე გრძელდებოდა ხმა კადრს მიღმა იმის შესახებ, თუ როგორი არაკანონიერი მოთხოვნები ჰქონია ასლან აბაშიძეს. სინამდვილეში ამ გამოსვლის მომენტში ასლან აბაშიძე ამბობს: „თბილისიდან მირეკავენ ჟვანია და სააკაშვილი, ისინი მოითხოვენ: მე მინდა ბათუმის პორტი, მე უნდა ვაკონტროლო ფოთის პორტი! მაგრამ მე მათ ამის უფლებას არ მივცემ!"**

**3. ვრცელი სიუჟეტი ედუარდ შევარდნაძის იახტებისა და უცხოური ვილების შესახებ. კადრში რაღაც გაურკვეველი სახლის ჩვენება და განცხადება, რომ ეს არის ბადენ-ბადენში ედუარდ შევარდნაძის მრავალმილიონიანი ვილა. დღეს უკვე დადასტურებულია, რომ ედუარდ შევარდნაძეს არავითარი „ბადენ-ბადენის ვილა", იახტები და სასახლეები არ ჰქონდა.**

ამას გარდა, **გაიხსენეთ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში მივარდნები, როდესაც „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები ითხოვდნენ საბუღალტრო დოკუმენტების შემოწმებას, იმ საბაბით, რომ ისინი ჟურნალისტები არიან და ამიტომ უფლება აქვთ, შეამოწმონ ნებისმიერ დაწესებულებაში ნებისმიერი დოკუმენტი!**

ჰოდა, **მინდა, მივმართო პირადად პაატა ბურჭულაძეს და ყველა მისნაირ პატივცემულ პერსონას — ძალიან გთხოვთ, მითხარით, რომელია ამათგან ჟურნალისტური პროფესიონალიზმის ნიმუში?**

ჟურნალისტს რომ ჰგონია, ყველგან შესვლისა და ყველა საბუღალტრო დოკუმენტის ნახვის უფლება აქვს, ის პროფესიონალია თუ კრეტინი?

ასე რომ, **ბატონებო, როდესაც მომავალში „რუსთავი 2"-ის პროფესიონალობაზე დაიწყებთ საუბარს, ძალიან გთხოვთ, იქვე განმარტოთ, რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „პროფესიონალიზმი".**

მე მხოლოდ შეგახსენებთ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ „რუსთავი 2"-ის „პროფესიონალიზმით" მაშინ, როდესაც ისინი მის პირად მტერს ებრძოდნენ...

მოგვიანებით კი ეს „პროფესიონალიზმი" საკუთარ თავზე ძალიან მწარედ იწვნიეს...

დამიჯერეთ, **ვიდრე საზოგადოება არ მიხვდება, რომ უკადრისი და უნამუსო მეთოდებით, თუნდაც არასასურველი პერსონის წინააღმდეგ, ბრძოლას ტაში არ უნდა დავუკრათ და „პროფესიონალიზმი" არ დავუძახოთ, მანამდე არც ქართულ ჟურნალისტიკას ეშველება რამე და არც ჩვენს საწყალ ქვეყანას.**

არ შეიძლება სიბინძურის წახალისება მაშინაც კი, როდესაც ეს სიბინძურე შენთვის არასასურველი პერსონის წინააღმდეგ არის მიმართული...

**ბაკურ სვანიძე**

## «თუ ფქვილის შემოტანის ალტერნატიული წყაროები არ გაჩნდა, პური, სულ ცოტა, 10 თეთრით გაძვირდება»

**„თუ ბაზარი არ გახსნეს და ფქვილის შემოტანის ალტერნატიული წყაროები არ გაჩნდა, პურის ფასი, სულ ცოტა, 10 თეთრით მოიმატებს", — განუცხადა „იფქლის" ხელმძღვანელმა შაქრო ბაკურაძემ გაზეთ „კვირის პალიტრას". ბაკურაძე ეჭვობს, რომ ფქვილის იმპორტს ხორბლის შემომტანი კომპანიები ზღუდავენ.**

შაქრო ბაკურაძემ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 10 ივნისს ერთი ტომარა ფქვილის ფასი 37,5 ლარს არ აჭარბებდა, თუმცა ერთ ღამეში ვითარება რადიკალურად შეიცვალა — 11 ივნისს ერთი ტომარა ფქვილის ფასი 40 ლარი გახდა და მას შემდეგ ყოველი ორშაბათი ფქვილის გაძვირების დღედ იქცა.

მისი თქმით, ვინც ბიზნესში ოდნავ მაინც ერკვევა, ადვილად მიხვდება, რომ მსგავსი ცვლილება ხელოვნური ჩარევის გარეშე არ ხდება.

როგორც „იფქლის" ხელმძღვანელმა აღნიშნა, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში ხორბალი, პრაქტიკულად, ერთ კომპანიას შემოაქვს, რომლის მფლობელიც კოკი ოსიპოვია, რომელიც დაინტერესებული არ არის ალტერნატიული გზებით ქვეყანაში ფქვილის შემოტანითა და კონკურენტების გაჩენით.

„იფქლის" ხელმძღვანელის განცხადებით, ერთი ტომარა ფქვილი 44 ლარი არ უნდა ღირდეს. ყველა გარემოების გათვალისწინებით, მისი ფასი 40 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ახალი ჯაშუშური სკანდალი აშშ-ში



**აშშ-ის სპეცსამსახურები მობილური ტელეფონებისა და ინტერნეტის საშუალებით თითქმის ყველა ამერიკელს უთვალთვალებდნენ. ამ სენსაციურ ინფორმაციას ამერიკული გამოცემა „ნიუ იორკ თაიმსი“ აქვეყნებს.** აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსა და ქვეყნის უდიდესი სატელეკომუნიკაციო კომპანიების თანამშრომლობის მამხილებელი საიდუმლო დოკუმენტები აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა გაავრცელა. ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორი ყოველდღიურად უგზავნიდა სპეცსამსახურს კერძო სატელეფონო საუბრების მილიარდ ჩანაწერსა და მილიონ ელექტრონულ წერილს. ამის გარდა, სერვერზე დამონტაჟებული იყო ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს უახლესი მოწყობილობა იმისათვის, რომ სპეცსამსახურს საშუალება ჰქონოდა, მოქალაქეებისთვის რეალურ დროში ეთვალთვალა. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, დაინტერესებულმა პირებმა ხელში ჩაიგდონ მონაცემები კოსმოსური თანამგზავრებიდან, მოხსნან კოდები ეს-ემ-ეს შეტყობინებებს, ელექტრონულ ფოსტას და სატელეფონო ზარებს.

# თქვენ გეკითხებით, ძმებო «ზუმბებო»!

**ლადო ასათიანის ლექსის ეს პერიფრაზი ყველაზე კარგად ასახავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც გამიჩნდა უკვე ასე ძალიან გავრცელებული ფრაზის — „სამშობლომ არ დამაფასა“-ს — მიმართ!**



კიდევ ერთი „დიდი ხელოვანი“, რომელმაც „სამშობლო მთებს თავი მიანება“, გახლავთ ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა.

რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ წავიდეს და მოსინჯოს ძალები კარიერის გასაგრძელებლად, მაგრამ საქმე ის არის, რომ **უკვე ძალიან თვალშისაცემია საეჭვო დონისა და გაქანების „ხელოვანთა“ მხრიდან სამშობლოს დადანაშაულება უყურადღებობაში.**

ამას არაერთხელ ავარიდე თვალი და ყური, მაგრამ, როდესაც ვაშლის გამყიდველის უკმაყოფილო კლიენტმაც იგივე განცხადება გააკეთა „ფეისბუქის“ მეშვეობით, ცოტა შევფიქრიანდი...

**ქვეყანაში, სადაც მოგვიწოდებენ, რომ ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბი არ დავაფასოთ და ფეხებზე დავიკიდოთ, უცებ ზუმბა და მისნაირები აცხადებენ პრეტენზიას, რომ ისინი თურმე არავის სჭირდება და იძულებულნი არიან, უცხოეთში გადაიხვეწონ...**

არა, რა თქმა უნდა, საქმის გარჩევას არ ვაპირებ და მხოლოდ ერთადერთი კითხვა-რეპლიკით შემოვიფარგლები — **რა გიჩენთ, ადამიანებო, ამხელა ამბიციას? რა გაგიკეთებიათ?**

**„ფანდურ-ფანდურ-გიტარა“ გიჩხაკუნებიათ და ამიტომ მოითხოვთ სამშობლოსგან დაფასებას?!**

**ან რაღაც ოროდე სიტყვა დაგიჯღაბნიათ და ამიტომ გინდათ, რომ ქვეყანა ზედ გადაგყვეთ?!**

ის, რომ სახელმწიფო თითოეულ მოქალაქეზე თანაბრად უნდა ზრუნავდეს, რა თქმა უნდა, სხვა თემაა!

**მესმის, ვინმეს პრეტენზია ჰქონდეს მინიმალურ სოციალურ დახმარებაზე, პენსიის ოდენობაზე, ჯანდაცვის დაზღვევაზე ან მსგავს რამეზე...**

მაგრამ, **ამიხსენით, თუ ღმერთი და სამშობლო მართლა გწამთ, ასეთ განსაკუთრებულ მოპყრობას რატომ, რის საფუძველზე მოითხოვთ?**

ლადო ასათიანის ლექსის პერიფრაზით დავიწყე და გეტყვით, რატომაც:

**„რომ ვდგავარ ახლა**
**თბილისის კართან,**
**შენ გეკითხები, ცაო, ნათელო!**
**ამ უხეირო ლექსების გარდა**
**რას გავუკეთებ**
**მე საქართველოს?**
**რომ ვდგავარ ახლა**
**თბილისის კართან**
**თქვენ გეკითხებით,**
**ძმებო მგოსნებო!**
**ამ უხეირო ლექსების გარდა**
**დაგვრჩა საფიქრი**
**და საოცნებო?“**

**ქვეყანაში, სადაც მოგვიწოდებენ, რომ ნოდარ დუმბაძე და ჭაბუა ამირეჯიბი არ დავაფასოთ და ფეხებზე დავიკიდოთ, უცებ ზუმბა და მისნაირები აცხადებენ პრეტენზიას, რომ ისინი თურმე არავის სჭირდება და იძულებულნი არიან, უცხოეთში გადაიხვეწონ**

აი, ეს არის ხელოვანი, აი ეს არის მიდგომა და სწორი აზროვნება — **რას გამიკეთებს მე საქართველოო კი არა, მე თავად რას გავუკეთებ სამშობლოსო?**

ამას კითხულობს ლადო ასათიანი და ამავეს ეკითხება თავის თანამოძმეებს, მგოსნებს, „კოლეგებს“, როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ!

ასეთი თვალით უყურებს გენიოსი პოეტი ამ თემას და საკუთარ ლექსებს არარაობად მიიჩნევს სამშობლოს წინაშე ვალდებულებასთან შედარებით.

**თქვენ კი, ზუმბებო და მისთანანო, რა გაწვალებთ, ბოლოს და ბოლოს?**

**სამშობლომ პრივილეგიურ მდგომარეობაში არ ჩაგაყენათ და ამის გამო ბრაზობთ?** მიდიხართ, მაგრამ ისე, რომ სამშობლოს საკუთარ თავს აყვედრით?

**სხვებზე უკეთესი მატერიალური მდგომარეობა გსურთ? წინა ხელისუფლების პირობებში რა პრივილეგიებიც გქონდათ, იმის დაკარგვა გაწვალებთ ანუ?**

კიდევ ერთხელ მივმართოთ ლადოს და ის გეტყვით, წესით, მართლა ქართველს, მართლა პატრიოტს და მართლა კაცს რაც უნდა აწვალებდეს:

**„რა ქართველი ხარ**
**და რა ჭაბუკი,**
**თუ მამულს თავი**
**არ ანაცვალე?**
**ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,**
**მეც ქართველი ვარ**
**და ეს მაწვალებს!“**

მაგრამ რა, **თქვენ ქართველობა, მამულიშვილობა, ვაჟკაცობა და პატრიოტობა სოციალურ ქსელებში პუტინის დედის გინება გგონიათ...**

ცოტნე დადიანი? ეგ ვიღას დაჰკარგვია, ეგ ბნელი და ჩამორჩენილი — რას მიდიოდა და გვერდით უწვებოდა ძმაკაცებს მათსავით თაფლწასმული, თაკარა მზეზე?!

**ალბათ, უნდა გაქცეულიყო და სტრასბურგის სასამართლოში ეჩივლა, — ჩემი ძმაკაცების უფლებებს ლახავენო... ან სულაც ეყვირა, სამშობლომ არ დამაფასაო და სადმე ინდოეთში გადაკარგულიყო...**

**ბაკურ სვანიძე**



## ჰილარი კლინტონი: «ისლამური სახელმწიფო» ჯორჯ ბუშმა შექმნა

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა უარყო თავისი კონკურენტის — ჯებ ბუშის ბრალდება, რომლის მიხედვითაც „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში გარკვეული წილი პასუხისმგებლობა ჰილარი კლინტონს ეკისრება. ეს ინფორმაცია სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა.**

აიოვას შტატში გამოსვლისას ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ერაყში სიტუაციის გამწვავება პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ადმინისტრაციის მოქმედებამ გამოიწვია. ჰილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ ჯებ ბუში ამართლებს თავისი ძმის მოქმედებას და ცდილობს, დამალოს მომხდარის სრული სურათი.

აიოვას შტატში ჰილარი კლინტონის გამოსვლამდე რესპუბლიკელმა ჯებ ბუშმა განაცხადა, რომ ბარაკ ობამას არასწორმა მოქმედებებმა ერაყში ვითარების დესტაბილიზაცია და „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერება გამოიწვია, იმ პერიოდში კი ჰილარი კლინტონი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იყო.



# საბაკაშვილი ცოცხით უკანალში — ოდესელებმა სააკაშვილს ძეგლი დაუდგეს

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ოდესა — პორტო-ფრანკოსთვის“ აქტივისტებმა ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს ოდესის ცენტრში სამარცხვინო მონუმენტი გაუხსნეს.**

სააკაშვილი, რომელიც წითელ ჰალსტუხს ღეჭავს ყელსაბამით უჭირავს ამერიკის პრეზიდენტს — ბარაკ ობამას. ოდესელებს არ დავიწყებიათ სააკაშვილის მმართველობის სიმბოლოც — ცოცხი, რომელიც სააკაშვილის უკანალიდან მოჩანს. მონუმენტს ჰქვია **ძაღლიშვილი — საბაკაშვილი** (Сабакашвили).







ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სინდისისა და ისტორიის წინაშე ცოდვილი „ნაციონალური“ კლანის წარმომადგენელი სინდისზე არ უნდა მიუთითებდეს მწერალს, რომელსაც ამ სოფელში პასუხის გაცემის საშუალება აღარ აქვს, თორემ ნახავდა დარჩიაშვილი სეირს! ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში ნოდარ დუმბაძე ჩვეული ირონიით მიუჩენდა ხოლმე ამგვარ პერსონაჟებს ადგილს.**

# «განდონების», არაკაცებისა და «ინტელექტუალების» კოლექტიური COMING OUT

**ბოლო დღეებში „ნაციონალური“ სახეების მიერ ქართული მწერლობის განქიქების მცდელობას საზოგადოების გულისწყრომა მოჰყვა. პროვოკაციებს ჩვეულმა ადამიანებმა უმალ დასვეს კითხვა – რაში სჭირდებოდათ ამ რისხვის საკუთარი ნებით გამოწვევა? საზოგადოებამ სცადა, ღრმა აზრი დაენახა იქ, სადაც არანაირი აზრი არ ყოფილა და არც არის. ამ პერსონაჟების გამონათქვამებსა და საქციელში აზრის ნატამალი არც მომავალში უნდა ვეძიოთ. არ არის და მორჩა!**

მაშ, ასე – **დარჩიაშვილმა** დაიწყო და **ნოდიამ** განაგრძო, თუმცა თანმიმდევრობით მივყვეთ და ბევრი რამ ნათელი გახდება. დავით დარჩიაშვილი: „ახლა ფბ-ზე, ვიღაც აშეარებს „თეთრი ბაირაღებიდან“ პასაჟებს და წერს, გენიალურიაო. ვიღაც ულაიქებს, აბა, რა ავუხსნა, როგორ გავაგებინო, რომ ამ სიტყვების, პასაჟების დამწერი ნოდარ დუმბაძე სცოდავდა სინდისისა და ისტორიის წინაშე. რომ ვინმე ქურდი დევდარიანის სიტყვები მდარე ტომობრიობა და პოპულიზმია: „მიტომ გჯობივარ, რომ დევდარიანი ვარ...მილიონი რომ იშოვე, მეორე რაღად გინდა“... გენაცვალეთ, „თეთრი ბაირაღები“ ტიპური ქართულ-საბჭოთა ნაწარმოებია, სტალინის ფილოსოფიის გადმომცემი, რომელშიც ქურდული და კომუნისტური ლოგიკა ერწყმის ერთმანეთს. მაგრამ ეგ ხომ სკოლაში და ოჯახში უნდა ისწავლოთ“.

**„გენაცვალეთი“ მიმართვა თავის დროზე სოროსის ფონდის დირექტორის პოსტზე დარჩიაშვილის წინამორბედ კახა ლომაიასთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა იმ მარტივი მიზეზით, რომ ქართულთან მწყრალად იყო და სიტყვა „ბავშვის“ სწორად დაწერა არ „ეკერკებოდა“.** ეს თვისებები თვალსაჩინოდ გამოარჩევს სააკაშვილის მიერ დაწინაურებულ „ელიტას“, თუმცა ამ შემთხვევაში, საზოგადოდ, **სინდისისა და ისტორიის წინაშე ცოდვილი „ნაციონალური“ კლანის წარმომადგენელი სინდისზე არ უნდა მიუთითებდეს მწერალს, რომელსაც ამ სოფელში პასუხის გაცემის საშუალება აღარ აქვს, თორემ ნახავდა დარჩიაშვილი სეირს!** ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში ნოდარ დუმბაძე ჩვეული ირონიით მიუჩენდა ხოლმე ამგვარ პერსონაჟებს ადგილს. ერთხელ მასთან მეზობლის — პარტიული მუშაკის ბავშვი შევიდა და კედელზე ხატი რომ დაინახა, ჰკითხა, — ძია ნოდარ, ცრუმორწმუნე ხართო? მან იქვე უპასუხა, — ცრუმორწმუნე მამაშენია, მე მორწმუნე ვარო!

**ცრუმორწმუნე დარჩიაშვილი 1980-იან წლებში კომკავშირის მდივანი იყო, მაგრამ დღეს ამ ფაქტს მის ბიოგრაფიაში ვერ ნახავთ. კითხვებზე, რატომ არის გამქრალი მისი ბიოგრაფიიდან ეს მონაკვეთი და მასაც ეხება თუ არა გია თორთლაძის მიერ ინიცირებული კანონი „ლუსტრაციის შესახებ“, დარჩიაშვილმა პასუხის გაცემა არ მოისურვა.**

დეპუტატი არც იმას გამორიცხავს, რომ „თეთრი ბაირაღები“ დაკვეთის ან იმდროინდელ ნომენკლატურასთან შეთანხმების შედეგად ახალგაზრდებზე გავლენისთვის არის შექმნილი. „იმ დროს ბიზნესის მიმართ რა დამოკიდებულება იყო, ცნობილია. ეს არის იქაც გადმოცემული, რომ საქმოსნობა არის საშინელება, ამ საშინელებაზე კი საუბრობს კრიმინალური ავტორიტეტი. საზიზღარ პერსონაჟად არის გამოყვანილი ის, ვინც საქმოსნობას ეწევა, კრიმინალური ავტორიტეტი მას უხსნის, ერთი მილიონი რომ იშოვე, მეორე როგორღა მოგინდაო?! ასეთი ლოგიკა არის აბსოლუტურად არასაბაზრო ეკონომიკისა და ამავე დროს არსენა ოძელაშვილის... ეს ახასიათებდა სტალინის ეპოქას და თვითონ სტალინს. ქურდული სამყაროს ჩამოყალიბება სწორედ სტალინის მიერ იყო სანქცირებული და მეორეს მხრივ იგი სოციალიზმს ქადაგებდა. ეს, ჩემი აზრით, ხატოვნად გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდებისთვის გადმოცემულია „თეთრ ბაირაღებში“. ასეთ იდეოლოგიურ ნაწარმოებებს მძიმე შედეგები მოაქვს“.



## ლევან ბერძენიშვილი «რუსთავი 2»-ის შესახებ:

## «რუსთავი 2» ნაგავია, მაგრამ სატელევიზიო სივრცეში მაინც უნდა იყოს



## ნიკა გვარამია ბერძენიშვილის შესახებ:

## მაპატიეთ და ასეთი განდონიც არ მეგონა

**დღევანდელი გადასახედიდან, ის ძალა, რომელიც „კორუფციის დამარცხებას“ იჩემებს, ნოდარ დუმბაძეს ედავება – საქმოსნებს რატომ ერჩოდიო! თითქოს იმჟამად „საქმოსნობა“ დღევანდელ ბიზნესს ნიშნავდა, ან თითქოს თვითონ პირდაპირ არ ართმევდნენ ქონებას ბიზნესმენებს და თავიანთ ახლობლებს არ უფორმებდნენ! მაშ, ვინ სცოდავს ბიზნესმენების წინაშე – ნოდარ დუმბაძე თუ „ნაციონალები“? მიხეილ სააკაშვილი თუ ლიმონა დევდარიანი? მართლაც მხოლოდ იმიტომაც გჯობიათ ლიმონა, რომ დევდარიანია, თქვენ კი — სააკაშვილები და დარჩიაშვილები!**

კიდევ ერთი კრებსითი სააკაშვილ-დარჩიაშვილი — გია ნოდია ასე განაგრძობს თემას: „ეტყობა, coming out-ის დროა, ვის ვინ მოსწონს და არ მოსწონს „დიდ ქართველ მწერალთა“ შორის“. ცნობისთვის: **ტერმინი COMING OUT, როგორც წესი, ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების (ლგბტ) მიმართ გამოიყენება, რომლებიც საჯაროდ აღიარებენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას. რაკი ნოდიამ სწორედ ეს ტერმინი გამოიყენა, ჩვენც ვცადოთ, ადეკვატურად აღვიქვათ მისი COMING OUT და მივხვდებით, რომ ეს ტიპური აღიარებითი ჩვენებაა და არც ლიტერატურასთან და არც ინტელექტთან საერთო არაფერი აქვს.**

ნოდია დარჩიაშვილთან ერთად აღიარებს, რომ მათთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს ის, რაც საზოგადოების უმრავლესობისთვის სასისოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში ეს ლიტერატურულ „წიაღსვლებში“ გამოიხატა, თორემ სხვა ყველა ღირებულების მიმართ, რომელიც საზოგადოებრივად აღიარებულია, ზუსტად ასეთი დამოკიდებულება აქვთ – რელიგია იქნება ეს, ცხოვრების წირი, ზნეობის ნორმები თუ სამართლიანობის მოთხოვნა. თუმცა აქ მთავარი სულ სხვა რამ არის.

მაშ, ასე: ნოდიას აზრით, ნოდარ დუმბაძე ნიჭიერი მწერალი იყო მაგრამ, ამასთანავე, იყო ლპობის ეპოქაში შესული საბჭოთა ტოტალიტარიზმის იდეურ ლაბი-

▶

მოკლედ

## დავით ნარმანია: უნდა აიკრძალოს ავტომანქანების საჯარიმოზე გადაყვანა

**თბილისის მერის — დავით ნარმანიას განცხადებით, ავტომანქანების საჯარიმოზე გადაყვანა უნდა აიკრძალოს და ადგილზე დაჯარიმებით უნდა შეიცვალოს.**

„ერთი თვის წინათ ჩვენ „სითი პარკს“ შევთავაზეთ ცვლილებების ჩვენეული ვერსია და მივეცით ერთთვიანი ვადა, რომ გაეანალიზებინათ ვითარება და მოეცათ არგუმენტირებული პასუხი. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ხელშეკრულება შევცვალოთ ისე, რომ მოხდეს ქალაქისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია. ამასთანავე, დაჯარიმების შემთხვევაში უნდა აღდგეს ბალანსი და თანაბრად განაწილდეს შემოსავლები „სითი პარკსა“ და ბიუჯეტს შორის. უნდა განხორციელდეს ეს და სხვა მსგავსი ცვლილებები, რომლებმაც უნდა დაასრულოს ერთი კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე. თუ „სითი პარკი“ არ წამოვა გონივრულ ცვლილებებზე, თბილისის მერია უფრო რთული გადაწყვეტილებების მიღებას არ გამორიცხავს“ — განაცხადა თბილისის მერმა.



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ის ქალა, რომელიც „კორუფციის დამარცხებას“ იჩემებს, ნოდარ დუმბაძეს ედავება – საქმოსნებს რატომ ერჩოდიო! თითქოს იმჟამად „საქმოსნობა“ დღევანდელ ბიზნესს ნიშნავდა, ან თითქოს თვითონ პირდაპირ არ ართმევდნენ ქონებას ბიზნესმენებს და თავიანთ ახლობლებს არ უფორმებდნენ! მაშ, ვინ სცოდავს ბიზნესმენების წინაშე – ნოდარ დუმბაძე თუ „ნაციონალები“? მიხეილ სააკაშვილი თუ ლიმონა დევდარიანი? მართლაც მხოლოდ იმიტომაც გჯობიათ ლიმონა, რომ დევდარიანია, თქვენ კი — სააკაშვილები და დარჩიაშვილები!

**ცრუმორწმუნე დარჩიაშვილი 1980-იან წლებში კომკავშირის მდივანი იყო, მაგრამ დღეს ამ ფაქტს მის ბიოგრაფიაში ვერ ნახავთ. კითხვებზე, რატომ არის გამქრალი მისი ბიოგრაფიიდან ეს მონაკვეთი, და მასაც ეხება თუ არა გია თორთლაძის მიერ ინიცირებული კანონი «ლუსტრაციის შესახებ», დარჩიაშვილმა პასუხის გაცემა არ მოისურვა**



◀ რინთებში ტრაგიკულად დაბნეული პიროვნება. ჭაბუა ამირეჯიბის პროზა ლიტერატურულად გაცილებით ნაკლებ ღირებული. „ჩემი აზრით, „დათა თუთაშხია“ ძალიან სუსტი რომანია: საკმაოდ გამიჭირდა მისი პირველი ნაწილის ბოლომდე მიყვანა და თავს ვერ დავაძალე, მეორე ნაწილი (ან ამ მწერლის რომელიმე სხვა ტექსტი) წამეკითხა, ამიტომ დამაჯერებლად მეჩვენა ჭორები, რომ გრაფი სეგედის სახელით რომანის ტექსტში შეტანილი ნოველები (შედარებით უფრო საინტერესო) ვილაც სხვის დაწერილი და ჭაბუას მითვისებულია (ცხადია, არ მაქვს პრეტენზია, რომ ამ ვარაუდის დამტკიცება შემიძლია)“.

ნოდიას ეს ვარაუდები ამით არ მთავრდება: „კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ არ მესმის. მახსოვს, „დიდოსტატის მარჯვენაში“ რაღაც ადგილები მომეწონა, „მთვარის მოტაცებაში“ — გაცილებით ნაკლები, „დიონისოს ღიმილზე“ ლამის ცუდად გავხდი (ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი და იმიტომ წავიკითხე საერთოდ), ხოლო „დავით აღმაშენებლის“ წაკითხვის მცდელობა თავიდანვე ჩამივარდა: ეტყობა, ამ ცხოვრებაში ველარ წავიკითხავ, მერე ვნახოთ“.

**ამ ციტატებიდან ჩანს, რომ ნოდიას კითხვა საერთოდ უჭირს, მაგრამ შეფასებებს წაუკითხავ რომანებზეც „მშვენივრად“ აკეთებს! ასე იყო თავის დროზე, როცა სოლჟენიცინის მიმართ დევნა ხორციელდებოდა და ნოდიას მაგვარი საბჭოთა „ინტელექტუალები“ ამაყად აცხადებდნენ: — არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობ!**

**მხოლოდ კითხვის კი არა, ზოგადი განათლების მიმართ მწყრალად მყოფი ნოდია ისევე ურევს ერთმანეთში მოქანდაკეებს, როგორც მისი კერპი სააკაშვილი — შოთა რუსთაველსა და გრიგოლ ორბელიანს,** თუმცა ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ ორი ძეგლი ასე შეადაროს ერთმანეთს: „ჩემი აზრით, მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული მისი (კონსტანტინე გამსახურდიას) ქანდაკება ე.წ. გეგეშიძის ბაღში (თავისი გმირის მიმართ აშკარად ირონიული) კარგად გამოხატავს „კოწიას“ პიროვნებას. (ბარემ ვიტყვი, რომ ამავე მოქანდაკის გამოძერწილი დავით აღმაშენებელი, სრულიად კონვენციური და უინტერესო, გაცილებით უფრო კარგად გამოიყურება დიღომში, ვიდრე „ივერიის“ წინ, თუმცა ეს რა შუაშია)“.

ეს რა შუაშია, **მაშინვე მიუთითეს ნოდიას — რომ გამსახურდიას ძეგლი თენგიზ კიკალიშვილს ეკუთვნის, აღმაშენებლისა კი — მერაბ ბერძენიშვილს. ნოდიამაც სწრაფად „იპოვა“ გამოსავალი: „ჩემი ყოვლად სუბიექტური ლიტერატურული გემოვნების გამოვლენის გამო ბევრი „თბილი“ სიტყვა კი დავიმსახურე (ველოდი და ნორმად მიმაჩნია ჩვენ გარემოში), მაგრამ ერთი სარგებელიც მივიღე: გავიგე, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილის ყოფილა და არა მერაბ ბერძენიშვილის, როგორც აქამდე მეგონა (სირცხვილი მე!).** მაგრამ ჩემი გაუნათლებლობა ჯანდაბას: ჩავგუგლე ეს ადამიანი და სულ თითო-ოროლა ხსენება ამომიგდო, მათ შორის არც ერთი ინფორმაციული მასალა. სურათიც ერთი იყო, თან სხვა პიროვნებასთან ერთად, ვერ გაიგებ, კიკალიშვილი რომელია; დანარჩენი სურათები ან თენგიზ გუნავასია, ან თენგიზ მირზაშვილის, ან თენგიზ ვერულავას და ა. შ“.

**არა მხოლოდ ნოდიას, არამედ მთელი „ნაციონალური“ კასტის უბედურება სწორედ ის არის, რომ**

**კიდევ ერთი კრებსითი სააკაშვილ-დარჩიაშვილი — გია ნოდია ასე განაგრძობს თემას: «ეტყობა, COMING OUT-ის დროა, ვის ვინ მოსწონს და არ მოსწონს «დიდ ქართველ მწერალთა» შორის». ცნობისთვის: ტერმინი coming out, როგორც წესი, ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების (ლგბტ) მიმართ გამოიყენება, რომლებიც საჯაროდ აღიარებენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას. რაკი ნოდიამ სწორედ ეს ტერმინი გამოიყენა, ჩვენც ვცადოთ, ადეკვატურად აღვიქვათ მისი COMING OUT და მივხვდებით, რომ ეს ტიპური აღიარებითი ჩვენებაა და არც ლიტერატურასთან და არც ინტელექტთან საერთო არაფერი აქვს**

**მათ ინტერნეტი და საძიებო სისტემა „გუგლი“ ყოვლისმცოდნე არსება ჰგონიათ; თუ ვინმეს „გუგლში“ ვერ იპოვიან, შესაბამისად, იგი ბუნებაშიც არ არსებობს! მართლაც, „ნაციონალურ“ მარგინალებს გაცილებით მეტი ხსენება აქვთ ინტერნეტში, მაგრამ განა ეს მათ რაიმეს ჰმატებს?** ნორჩი „ნაციონალებისგან“ განსხვავებთ, ნოდიას კი აქვს ის ასაკი, რომ გამორჩეული ხელოვანი „გუგლის“ გარეშეც იცოდეს, თუმცა მივყვეთ მის „ნააზრევს“ და კიდევ არაერთ „მარგალიტს“ აღმოვაჩენთ:

„გრიგოლ რობაქიძის მწერლური რეპუტაცია საერთოდ გამოცანაა: „გველის პერანგი“ მხოლოდ მოვალეობის გამო წავიკითხე (უჭირს კითხვა, მაგრამ „მოვალეობის“ გრძნობის გამო კითხულობს, რასაც „დავით აღმაშენებლის“ შემთხვევაში ვერ ახერხებს — ნ.დ.), ჩემი აზრით სრულიად უბადრუკი ტექსტია. ჯანდაბას, რომ ეს კაცი აშკარა ფაშისტი იყო (კარგ მწერლებსაც ხშირად ერევათ იდეოლოგიური რამსები: კომუნისტი შემოქმედები რომ უარვყოთ კომუნისტობისთვის, სად წავალთ? „ძირს პიკასო“!), მაგრამ საშინლად უნიჭო რომ იყო? მერე რა, რომ კომუნისტებს არ მოსწონდათ, ეს არ არის საკმარისი მისი განდიდებისთვის“.

რა ვიცი, **ათასობით ადამიანი მიშას მმართველობის წლებში სწორედ იმიტომ გამოყარეს სამსახურებიდან, რომ მათ კომუნისტების დროს მოუწიათ მუშაობა, მაგრამ ნოდია იმხანად არ შეშფოთებულა.**

**„კომუნისტი შემოქმედები რომ უარვყოთ კომუნისტობისთვის, სად წავალთ“?**

**სად და, სადაც წახვედით!**

ახლა კი კიდევ ერთი ხელთუქმნელი მარგალიტი: „თუ არსებობს „ყველაზე დიდი ქართველის“ ნომინაცია, ასეთი ჩემთვის ილია ჭავჭავაძეა. მაგრამ თუ შევაფასებთ მას, როგორც პოეტს, დიდი ვერაფერი პოეტი იყო. ამაში ლევან ბერძენიშვილის შეფასებას სრულიად ვიზიარებ (ძალიან სასაცილო პოსტი თუ კომენტი წავიკითხე დღეს ფეისბუქში: რომ ლევანს „შერჩა“ ილიას როგორც მწერლის კრიტიკა. რას ნიშნავს, შერჩა? უნდა ჩაექოლათ?)“.

**ჩაქოლვისა და „ჩარეცხვის“ იდეოლოგები ახლა თავს იკატუნებენ,** თუმცა მივყვეთ ნოდიას ნააზრევს და კიდევ ერთ დრამატურგიულ კვანძს გაგვახსნევინებს: „ძალიან გამეხარდა ნიკა გვარამიას პოსტი, დავით კლდიაშვილი ყველაზე მაგარი ქართველი მწერალიაო. მეც ვთვლი, რომ ძალიან მაგარი და დაუფასებელი მწერალია და არ ვიცოდი, რომ ჩემნაირად სხვებიც ფიქრობდნენ. „ბაკულას ღორები“ ძალიან კარგად გამოხატავს ჩვენს სიტუაციას დღესაც და ისევ „ორნაქმარები და უშვილო“ საცოლის ძიებაში ვართ ერი“.

აქაც **ნათლად ჩანს, როგორი მკითხველი და ინტელექტუალია ნოდია — „სამანიშვილის დედინაცვალს“ ისე ურევს „ბაკულას ღორებში“, რომ თვალს არ ახამხამებს.**

**მათ წრეში კაცი არ იყო ამ შეცდომის დამნახავი და მიმთითებელი და ამით გათამამებული ნოდია ისევ ისე განაგრძობს, როგორც განათლების სისტემას მოძღვრავდა სააკაშვილის მიერ მინისტრად ხელდასხმული.**

კიდევ ერთი ყოფილი განათლების მინისტრი — ნიკა გვარამია, რომელსაც ანაზდად დავით კლდიაშვილი შეუყვარდა, სწორედ იმ ლევან ბერძენიშვილს დაესხა თავს, რომელმაც ჯერ დარჩიაშვილს უწოდა ყველაზე ინტელექტუალი დეპუტატი, შემდეგ კი „რუსთავი 2“-ს — ნაგავი. გვარამიამ, არც მეტი, არც ნაკლები, „განდონი“ უწოდა, თან მოიბოდიშა — აქამდე ვერ ვხვდებოდიო!

„რუსთავი 2“ ნაგავია, მაგრამ სატელევიზიო სივრცეში მაინც უნდა იყოს“, — ლევან ბერძენიშვილი.

„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას პასუხი: „ნამდვილად, ყველანაირი ნაგავი უნდა იყოს სატელევიზიო სივრცეში. ამიტომაც ყოველთვის ვწერთ თქვენს კომენტარებსაც“.

გვარამიას პოსტს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი თენგო გოგოტიშვილი გამოეხმაურა: „არ მივესალმოთ ამ კაცს? დავუმახსოვროთ მაინც“.

**ნიკა გვარამია:** „არც მივესალმოთ და არც დავუმახსოვროთ. თავისი ეყოფა მაგ კაცს. დეგრადირ-დემითოლოგიზირებულია“.

**თენგო გოგოტიშვილი:** „Я не злопамятный, отомщу и забуду — იქნებ ასე გვეცადა?“

**ნიკა გვარამია:** „კარგი, დაანებე თავი. ეგეთი მეასე ვიოლინო მაგ უმრავლესობაში იმდენია და ყველა ერთი და იგივე სისულელეს ბოდავს, მაგათ პასუხებზე თუ ავეწყვეთ, საქმე როდისღა ვაკეთოთ...

მაპატიეთ და ასეთი განდონიც არ მეგონა (პატიებას იმაზე ვითხოვ, რომ არ მეგონა).

**ყოველივე ამას ლევან ბერძენიშვილმა ვრცელი პასუხი გასცა, რომლის დედააზრი ასეთია: „ნიკა გვარამია ჩემთვის ადამიანიც აღარ არის“!**

**ასე ამკობენ ერთმანეთს ყოფილი და დღევანდელი თანამოაზრეები და სხვების მიმართ უკეთესს ელით?**

ყოველგვარი ლიტერატურული პრეტენზიის გარეშე კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა კი გიგი უგულავას გულისხმიერად ულოცავს დაბადების დღეს: „ჩემს პოლიტპატიმარ მეგობარს, გიგი უგულავას, რომელსაც პირში ძირითადად „სქელტრ..კას“ და Godzilla-ს ვეძახდი, ვულოცავ მეორმოცე დაბადების დღეს! რა დასანანია, რომ აწი ასე ველარ მოვიხსენიებ ობიექტური სურათის ცვლილების გამო

უნდა-არუნდა, გიგი პოლიტპატიმარია და როგორც ასეთს, მეტ მხნეობას, მეტ ოპტიმიზმსა და მეტ იდეალიზმს ვუსურვებ! ასევე, მალე დაბრუნებას იქიდან, სადაც ყოფნამ ის ვერ მოტეხა და ვერც შეაშინა!!! Come back soon, man“!

**ახლა ვინც ამათ მალე დაბრუნებას ელის, არ არის, მათივე ტერმინოლოგიით, დეგრადირ-დემითოლოგიზირებული?**

აი, **ასე გამოიყურება ერთ დროს მონოლითური, ტოტალიტარულ-ბრიყვული და „ინტელექტუალური“ რეჟიმის წარმომადგენელთა COMING OUT. უსმინეთ მათ და დასკვნები გამოიტანეთ – რანი არიან და როგორ აფასებენ საკუთარ თავსაც და მეგობრებსაც! განა მათი აზრი კლასიკოსებზე ან მოკვდავებზე ვინმესთვის საინტერესოა? უვიცებო და ცრუმორწმუნეებო, მართლაც მხოლოდ იმიტომ გჯობივართ, რომ დევდარიანი ვარ, სახელის დაკონკრეტების გარეშე და იყვირეთ ახლა, რომ ეს „ტომობრიობა და პოპულიზმია“!**

---

პოლიტიკა

## გაეროში საქართველოს დელეგაციას ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ელჩის — კახა იმნაძის განცხადებით, გაეროში საქართველოს დელეგაციას პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს, თუმცა პრეზიდენტიც ჩავა აშშ-ში იმ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელზეც ის ლიტვის პრეზიდენტმა დაპატიჟა.** „გაეროში დაგეგმილ ორივე ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს დელეგაცია პრემიერის ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე სიტყვით გამოვა ორივე ღონისძიებაზე. პრეზიდენტი კი მონაწილეობას მიიღებს ლიტვის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ ღონისძიებაში, რომელიც ეხება აღმოსავლეთ ევროპის გამოწვევებს და ქალთა საკითხებს“, — განაცხადა კახა იმნაძემ.



ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ასე გაგრძელდა, ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას გავუწექით და მხოლოდ ეპისტოლური ჟანრით დავკმაყოფილდით და ადეკვატური პასუხი არაფერზე ვაგებინეთ, მალე პოეზიის, სიყვარულის, მეგობრობის, აზროვნების ღმერთს — შოთა რუსთაველსაც ამოთხვრიან ტალახში...**

# პიდორხლისტები ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ

**„იცოდე საკუთარი ფესვები და ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა; არ გაგიტაცოს უცხო ქვეყნის ფსევდოკულტურამ; ნუ იქნები ზედმეტად ლიბერალი“, — ეს ამონარიდი 2012 წელს ილია მეორეს მიმართვიდან თავისი ნათლულებისადმი წინამდებარე წერილს ეპიგრაფად იმიტომ წავუმძღვარე, რომ სტატიის თემას ემოციურად ებმის...**



სათაურის ერთი შემადგენელი — „ხლისტები“ კი, ალბათ, ისევე, როგორც ბევრმა სხვამ, პირველად მეც დიდი ჭაბუა ამირეჯიბის გენიალურ რომანში წავიკითხე...

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და მაშინ, გასული საუკუნის 70-იანების დასაწყისში, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ხლისტების განმარტება გასცდებოდა კონკრეტული სატანისტური სექტანტობის ვიწრო ჩარჩოებს (თუ ასე თქმა შეიძლება) და ჩვენს სინამდვილეში ყოველივე ეროვნულის, მართლმადიდებლურის, ტრადიციულის, გნებავთ, ვაჟკაცურის განქიქება-უარყოფის უფრო ფართო შინაარსს შეიძენდა.

ანალოგიური რამის თქმა შეიძლება სათაურის მეორე შემადგენელზე — „პედერასტებზეც“.

ამ ბერძნული სიტყვის შინაარსიც, დიდი ხანია, გასცდა უცხო სიტყვათა ლექსიკონის „ვიწრო“ ჩარჩოებს:

**„პედერასტია (ბიჭების მოყვარული) — სქესობრივი გარყვნილება — სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებს შორის; მამათმავლობა“.**

და მანაც გაცილებით ფართო შინაარსი შეიძინა.

თორემ კონკრეტულად ვინ იელოველია თუ ვინ მამათმავალი, ვინ ორმოცდაათიანელია თუ ლესბოსელი, ვინ ბაპტისტია თუ ბისექსუალი და ა.შ., ნაკლებად საინტერესოა.

უფრო მეტიც, შეიძლება, მავანი არც ხლისტი იყოს და არც პედერასტი, ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით, მაგრამ მაინც მათ ამქარს ეკუთვნოდეს, რადგანაც, ჩემი აზრით (და იმედია არა მხოლოდ ჩემი), როგორც ხლისტობა, ასევე პედერასტობა, პირველ რიგში, ცხოვრების, აზროვნების წესია.

**ამიტომ მეტი სიმარტივისთვის ქვემოთ, სადაც დამჭირდება, ამ ორივე „მიმდინარეობას“ (თუ მკითხველი დამეთანხმება) ერთ, ჩემივე მოგონილი პიდორხლისტის ტერმინში გავაერთიანებ...**

მართალია, ყველა ლიბერალი პიდორხლისტი არ არის, მაგრამ ყველა პიდორხლისტი არათუ ლიბერალი, არამედ ნეოლიბერალია!

**ვინ არიან ეს იდეური პიდორხლისტები?**

**ვინ და „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოჩეკილი გველის წიწილები ან ამ მავნებლურ, ანტიქართულ ორგანიზაციასთან ასე თუ ისე ასოცირებული ორგანიზაციები თუ პიროვნებები და უეჭველად მათი ოკეანისგაღმელი „ბოსები“:**

ბუდარიხები — **თეა თუთბერიძე** და **ნინია კაკაბაძე**, „საბას“ პრემიების ლაურეატი „მწერლები“ — **ბუღაძე, დეისაძე, ბურჭულაძეები** და ა.შ.

მაგრამ, პირველ რიგში, მაინც რესპუბლიკური პარტია, რომლის მიერ, მრავალი წლის განმავლობაში შხამით მორწყულ ნიადაგზე აღმოცენდნენ დასახელებული თუ ვერ დასახელებული შხამიანი პიდორხლისტები.

**ეს მან, სუკის აგენტობაში საფუძვლიანად ეჭვმიტანილმა რესპუბლიკელების ბებერმა ლიდერმა, ლევან ბერძენიშვილმა კარგა ხნის წინათ დიდი ილიას განქიქებით (მე ასეთ პოეტს არ ვიცნობო) სტარტი მისცა ქართული ცნობიერების წინააღმდეგ შეფარულ ბრძოლას.**

სხვებმა ეს ესტაფეტა აიტაცეს, რომელმაც ბოლო ხანს საგანგაშო ხასიათი შეიძინა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ყალბი თავმდაბლობის გარეშე — სიტყვები „ხლისტი“ და აქედან გამომდინარე, „ბუდარა თუ ბუდარიხა“, კარგა ხნის წინათ პირველმა მე გამოვიყენე ქართულ ბეჭდურ მედიაში.

თუმცა ისე მოხდა, რომ **ნომინაციის პირველი ლაურეატი იყო არა „განათლებული“ ნაძირალა, „სუკის ლევანა“, რომელსაც „დამსახურებულად“ ეკუთვნის პირველხლისტობის პატივი (რასაც ქვემოთ, ოღონდ პიდორხლისტის ნომინაციაში აუცილებლად მივაგებ), არამედ „ილიაუნის“ რექტორი გიგი თევზაძე და ამავე „უნის“ ფა(ლ)ოსოფოსი „პროფესორი“ ნოდარ ლადარია...**

ეს იყო ჩემი პასუხი გაზეთ „24 საათში“ (იყო ასეთი „პოპულარული“ გაზეთიც) გამოქვეყნებულ პასკვილზე, სადაც ერთმა პიდორხლისტმა **ნოდარ ლადარიამ**, — როგორ თუ რეზო ჩხეიძემ მოსკოვში წასვლა გაბედაო, — ამ დიდი ქართველი რეჟისორის შემოქმედების, რომ იტყვიან, მიწაში ჩადება სცადა, უწოდა რა უკვდავ „ჯარისკაცის მამას“ ალექსანდროვის „მხიარული ახალგაზრდობის“ პათოსის ფილმი, ხოლო გოდერძი მახარაშვილს — მაგდანას ვირი, ამ მართლა სახედარმა, ამან!

ხოლო მეორე პიდორხლისტმა **გიგი თევზაძემ** 2003 წლამდე, ანუ „ვარდების დიად რევოლუციამდე“ არსებულ საქართველოს — ერთი დიდი რესტორანი და მაშინდელ ქართველებს იმ რესტორანში არხეინად მოქეიფე, წარსულის მავნე გადმონაშთი „გრუზინები“ გვიწოდა, რომლებიც, მისდა სამწუხაროდ, დღესაც ბევრნი ვართ და სწორედ „გრუზინები“ ვუშლით ხელს „დასავლური ღირებულებების“ დამკვიდრებას, გნებავთ, საქართველოს ამერიკანიზაციას...

ჰოდა, აბა, მაშინ რა ვიცოდით და **ახლა, როცა პრეზიდენტ ობამას, ჰილარი კლინტონისა და სხვა ამერიკელი პიდორხლისტების მეცადინეობით აშშ-ის ტერიტორიაზე ერთნაირსქესიანთა ქორწინებები დაკანონდა, ხოლო დანარჩენ მსოფლიოს კიდევ ერთი ბოზბოლა პიდორხლისტი ჯონ ქერი იმავე „სიკეთის“ დამკვიდრებით დაემუქრა, ე.წ. დასავლური ღირებულებები, ამერიკანიზაცია, პირველ რიგში, საქართველოს ლგბტ-ზაცია ყოფილა და სხვა არაფერი.**

მაგრამ დავუბრუნდეთ წერილის მთავარ ხაზს...

ყოველივე ზემოთ თქმულს აქამდე თუ ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, მას შემდეგ, რაც პიდორხლისტმა ლევანამ ხელახლა აიწყვიტა, ამ ყველაფერმა ტენდენციის სახე მიიღო.

თავად განსაჯეთ — **ილიას შეურაცხყოფა არ იკმარა და ახლა ვაჟას არ აყენებს საფლავში, უწოდა რა სტალინს ვაჟა-ფშაველას ნაბიჭვარი, ამ მართლაც...**

უფრო მეტიც, **როგორც თუთაშხიას ძმადნაფიცი ბექარა ჯეირანაშვილი იტყოდა, „აღარც ეს იკმარა, ამ ბოტიკურკლმა ამანა“ და არა მხოლოდ ლადო ასათიანის შემოქმედების, არამედ, საზოგადოდ, ქართული პოეზიის შედევრი „ჰოი, თქვე არაგველებო“, ეს რა ლექსიაო, მკვდრადშობილ ლექსად შერაცხა ამ მართლაც აყროლებულმა ცოცხალმა ლეშმა...**

ლექსი, რომლის პატრიოტულ პათოსზეც არა ერთი და ორი თაობა აღიზარდა!

ამის შემდეგ თითქოს რაღას უნდა გავეკვირვებინეთ ან აღვეშფოთებინეთ, მაგრამ **„სუკის ლევანას“ მოწაფე გია ნოდიამ ქართული ცნობიერების ზიზღში თვით პიდორხლისტების მამამთავარ მასწავლებელს „გადაუჯოკრა“...**

ქვემოთ შემოგთავაზებთ ამონარიდებს ყოფილი განათლების მინისტრის ვრცელი ფეისბუკსტატუსიდან, რათა ერთად განვსაჯოთ, რამდენად ღრმად შეტოპა, სად ბანაობს და რას იმსახურებს პიდორხლისტი გია ნოდია:

*** „ეტყობა, coming out-ის დროა, ვის ვინ მოსწონს და არ მოსწონს „დიდ ქართველ მწერალთა“ შორის“, — იწყებს პედერასტული შესავლით.**

**„ქამინგაუტი“ ლგბტ-თა ენაზე ოჯახისთვის საკუთარი ორიენტაციის გამხელას ნიშნავს...**

*** „ნოდარ დუმბაძე ნიჭიერი მწერალი იყო და ძალიან კარგი ტექსტებიც აქვს... მაგრამ, ამავე დროს, ის იყო ლპობის ეპოქაში შესული საბჭოთა ტოტალიტარიზმის იდეურ ლაბირინთებში ტრაგიკულად დაბნეული პიროვნება. კრიმინალური „გაგების“ რომანტიზაცია ნამდვილად იყო ამ ლპობადი ტოტალიტარიზმის ქართული ვერსიის ერთ-ერთი გამოვლენა“...**

**რასაც ნაც-პიდორხლისტები კრიმინალურ გაგებას ეძახიან, ის ქართულ სინამდვილეში კაცური გაგებაა — არა, ბიჭო, ნოდარ დუმბაძის გაგებას „ნაცების“ მიერ გაფეტიშებული ჩაშვების ინსტიტუტის გაგება ჯობია.**

გია ნოდიას ნოდარ დუმბაძის კრიმინალობაზე საუბრისას „თეთრი ბაირაღები“ აქვს მხედველობაში.

ჰოდა, იქნებ დაფიქრებულიყო, რადგან, **ამერიკელი მარიო პიუზოს მრავალოსკაროსან (!) „ნათლიასთან“ შედარებით, „თეთრი ბაირაღები“ უცოდველი ბავშვის სიზმარს ჰგავს — ამ წამოცდენით ტუტუცმა გია ნოდიამ ხომ იმ ამერიკას უფრო დაარტყა, რომელიც საფიცარ ხატად გაუხდიათ პიდორხლისტებს, ვიდრე ცხონებულ ნოდარ დუმბაძეს.**

*** „ჭაბუა ამირეჯიბის პროზაც ამ სინდრომის გამოხატულებაა...**

**ჩემი აზრით, „დათა თუთაშხია“ ძალიან სუსტი რომანია: საკმაოდ გამიჭირდა მისი პირველი ნაწილის ბოლომდე მიყვანა და**

▶

**მე, დავით მხეიძე, ვპირდები გია ნოდიასა და სხვა პიდორხლისტებს, რომ ჩვენი საფიცარი მწერლებისა და ყოველი ქართველისთვის ხელიხელსაგოგმანებელი ღირებულებების შეურაცხყოფისთვის თუ რომელიმეს სადმე გადავეყარე და საცემად მივწვდი, რაც სიგრძე აქვს, სიგანედ მივცემ და ამისთვის, მზად ვარ, ციხეშიც ჩავჯდე**

---

მსოფლიო

## აშშ-ს «გოძილა ელ ნინიო» ემუქრება

**ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთისა და სამხრეთის სანაპირო ზოლს ამ წლის ბოლოს, შესაძლოა, „გოძილა ელ ნინომ“ დაარტყას. ამ ინფორმაციას CBS NEWS-ი სინოპტიკოსების განცხადებაზე დაყრდნობით ავრცელებს.** აშშ-ის კლიმატის პროგნოზირების ეროვნულმა ცენტრმა განაცხადა, რომ ოკეანის წყლების გათბობის, წვიმებისა და კლიმატის ცვლილების გამო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას ერთი კლიმატოლოგისგან პირობითად დასახელებული „გოძილა ელ ნინო“ დაარტყამს.

ტროპიკული ციკლონის ზრდა წყნარ ოკეანეში ხანგრძლივ წვიმებსა და დიდთოვლობას გამოიწვევს, რომელიც, სავარაუდოდ, გვიან შემოდგომაზე ან ზამთრის დასაწყისში პიკს მიაღწევს.

„თუ ასე გაგრძელდა სტიქიას დიდი გავლენა არა მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში, არამედ პლანეტაზე ექნება“, — განაცხადა კლიმატოლოგმა ბილ პლათზერთმა.



# სუკის აგენტობაში საფუძვლიანად ეჭვმიტანილმა რესპუბლიკელების ბებერმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა კარგა ხნის წინათ დიდი ილიას განქიქებით (მე ასეთ პოეტს არ ვიცნობო) სტარტი მისცა ქართული ცნობიერების წინააღმდეგ შეფარულ ბრძოლას.

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავს ვერ დავაძალე, მეორე ნაწილი წამეკითხა, ან მისი სხვა ტექსტები... ამიტომ დამაჯერებლად მეჩვენა ჭორები, რომ გრაფი სეგედის სახელით რომანის ტექსტში შეტანილი ნოველები ვიღაც სხვის დაწერილი და ჭაბუას მითვისებულია...“.**

რას იზამ, **ჩვენ გია ნოდიას მსგავსი პიდორხლისტების დარად „პრადვინუტები“ არ ვართ და, ალბათ, ამიტომ ვირეოდით ჭაბუა ამირეჯიბის „ძალიან სუსტ რომანზე“ და შემდეგ — რომანის ეკრანიზაციაზე. რაც შეეხება ჭაბუას პლაგიატობას, ამის დამტკიცება არა, მაგრამ სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული მწერლის შეურაცხყოფისთვის (რაც თითოეული ნაღდი ქართველის, „გრუზინების“ შეურაცხყოფაც არის) პასუხისგება აუცილებლად მოუწევს გიაიე პიდორხლისტს — თუ როგორ და ვის წინაშე, ამაზე — ქვემოთ...**

*** „კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ არ მესმის. მახსოვს, „დიდოსტატის მარჯვენაში“ რაღაც ადგილები მომეწონა, „მთვარის მოტაცებაში“ — გაცილებით ნაკლები... დავით აღმაშენებლის“ წაკითხვის მცდელობა თავიდანვე ჩამივარდა... მერაბ ბერძენიშვილის მიერ გამოძერწილი დავით აღმაშენებელი, სრულიად კონვენციური და უინტერესო, გაცილებით უფრო კარგად გამოიყურება დილომში, ვიდრე „ივერიის“ წინ...“**

რომ გაიგო, რატომ ითვლება კონსტანტინე გამსახურდია დიდ და გამოჩენილ მწერლად, ქართულად უნდა გიძგერდეს გული. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის წაკითხვის „თავიდანვე ჩამივარდას“, ვეთანხმები, ეს რომანი „დიდოსტატთან“ და „მთვარესთან“ შედარებით, სუსტია, მაგრამ ამ ტეტრალოგიის წაკითხვა რომ არ ჩაგივარდეს, ამისთვის, როგორც ერთმა პოეტმა ბრძანა, შენი ერის თავგადასავალი საკუთარ თავგადასავლად უნდა მიგაჩნდეს.

იმავეს თქმა ქართველ მიქელანჯელოდ შერაცხილ დიდ **მერაბ ბერძენიშვილზეც** შეიძლება...

*** „გრიგოლ რობაქიძის მწერლური რეპუტაცია საერთოდ გამოცანაა: „გველის პერანგი“ მხოლოდ მოვალეობის გამო წავიკითხე...**

**ჯანდაბას, რომ ეს კაცი აშკარა ფაშისტი იყო — კარგ მწერლებსაც ხშირად ერევათ იდეოლოგიური რამსები, მაგრამ საშინლად უნიჭო რომ იყო?“**

მართლაც, რა გაეწყობა, როცა რამსები მართლაც არევია: ნიჭიერი დეისაძე-ბურჭულაძეებიც გვეყოფა, ხოლო ვისაც, „გველის პერანგი“ კი არა, თუნდაც გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტური წერილი „ქართული გენია, როკვაში განფენილი“ მაინც წაუკითხავს, მიხვდება, რომ გრიგოლ რობაქიძის ფაშისტობა მხოლოდ მშობელი ერის უზომო სიყვარულშია!

მაგრამ, რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამის დასანახავად, საგრძნობად პიდორხლისტებს რასსა, ჯიში არ ეყოფათ...

*** „თუ არსებობს „ყველაზე დიდი ქართველის“ ნომინაცია, ასეთი ჩემთვის ილია ჭავჭავაძეა“,** — გაილო მოწყალება ამ ერთუჯრედიანმა არსებამ...

*** „მაგრამ, თუ შევაფასებთ მას, როგორც პოეტს, დიდი ვერაფერი პოეტი იყო. ამაში ლევან ბერძენიშვილის შეფასებას სრულიად ვიზიარებ (ძალიან სასაცილო პოსტი თუ კომენტარი წავიკითხე დღეს „ფეისბუქში“: რომ ლევანს „შერჩა“ ილიას, როგორც მწერლის, კრიტიკა. რას ნიშნავს „შერჩა“? უნდა ჩაექოლათ?).“**

დიდი ხანია, გია ნოდიასა და ლევან ბერძენიშვილის მსგავსი ქართველთმოძულენი ვირტუალურად ჩაქოლილები არიან ნამდვილ ქართველთა გულებში, მეტიც ეკუთვნით, მაგრამ, როგორც იტყვიან, სადაა პატრონი?..

დააკვირდით, ამ პიდორხლისტებმა, ძირითადად, მთაწმინდაზე დაკრძალულებზე (ილია, ვაჟა, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე) და აშკარად სამთაწმინდელ ლადო ასათიანზე გაბედეს ხმის ამოღება.

ვინ იქნება შემდეგი — აკაკი, გალაკტიონი, გოგლა თუ სხვა, ეს პიდორხლისტების ბინძური ტვინების ფანტაზიაზეა დამოკიდებული.



## ამერიკელი მარიო პიუზოს მრავალოსკაროსან «ნათლიასთან» შედარებით, «თეთრი ბაირაღები» უცოდველი ბავშვის სიზმარს ჰგავს — ამ წამოცდენით ტუტუცმა გია ნოდიამ ხომ იმ ამერიკას უფრო დაარტყა, რომელიც საფიცარ ხატად გაუხდიათ პიდორხლისტებს, ვიდრე ცხონებულ ნოდარ დუმბაძეს

მთაწმინდაზე მაღლა მხოლოდ ღმერთია და, **თუ ასე გაგრძელდა, ე.წ. გამოხატვის თავისუფლებას გავუწეწქით და მხოლოდ ეპისტოლური ჟანრით დავკმაყოფილდით და ადეკვატური პასუხი არაფერზე ვაგებინეთ, მალე პოეზიის, სიყვარულის, მეგობრობის, აზროვნების ღმერთს — შოთა რუსთაველსაც ამოთხვრიან ტალახში...**

ჩემი აზრით, **ქართველი ერისთვის ძვირფასი პიროვნებებისა თუ ინსტიტუტების განქიქება-შეურაცხყოფისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს.**

სანამ ისეთი ხელისუფლება ეყოლება საქართველოს, რომ მსგავსი კანონის მიღებას გაბედავს, მე, დავით მხეიძე, ვპირდები გია ნოდიასა და სხვა პიდორხლისტებს, რომ ჩვენი საფიცარი მწერლებისა და ყოველი ქართველისთვის ხელიხელსაგოგმანებელი ღირებულებების შეურაცხყოფისთვის, თუ რომელიმეს სადმე გადავეყარე და საცემრად მივწვდი, რაც სიგრძე აქვს, სიგანედ მივცემ და ამისთვის მზად ვარ, ციხეშიც ჩავჯდე!

გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება — მაინც ამოვთხრი!

რედაქტორს ვთხოვ, რომ ჩემი ეს დაპირება ყოველგვარი შელამაზების გარეშე აუცილებლად დამიბეჭდოს.

**„ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე. მოვთაფლავთ და გავხრწნით მათ. წინ წამოვწევთ მდაბიო გრძნობებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ხელოვანს ჩავუკლავთ მისწრაფებებს, გადავაჩვევთ, შექმნან ღირსეული სახეები, ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე მდაბიო გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ, ყველანი, მხარს დავუჭერთ და შევაქებთ სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის კულტს...“** — ეს არის ამონარიდი ავადსახსენებელი **ალენ დალესის** საიდუმლო მოხსენებიდან, რომლითაც ის 1947 წელს წარსდგა კონგრესის წინაშე და იმად მოვიხმე, რომ საოცრად ეხმიანება წინამდებარე წერილის პათოსს.

**კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ბურჭულაძე, ბუღაძე-დეისაძეები, ეკლესიის, პატრიარქის არაერთხელ შეურაცხყოფა, რა ხდება ჩვენს ტელევიზიებში, კინოთეატრებში, გავავლოთ პარალელები ალენ დალესის მოხსენების შესაბამის თეზებთან და დასკვნის გამოტანა არ გაგვიჭირდება:**

მიმდინარეობს ჩვენი ახალგაზრდობის ტვინების გამორეცხვის ქვეყნის გარედან მართული პროცესი და გია ნოდიას გამოხდომა გრძელი ჯაჭვის რგოლია მხოლოდ.

ანუ ის, რაც ჩვენ თვალწინ ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ალენ დალესის დოქტრინის იმპლემენტაციის დაუფარავი მცდელობა საქართველოში...

ამიტომ გია ნოდიას მიერ განქიქებული ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვებით დაგემშვიდობებით:

**ჭკუით, ქართველებო!**

**დავით მხეიძე**



**P.S. წერილი თითქმის დასრულებული მქონდა, როდესაც ჩემს პათოსს მოულოდნელი გამზიარებელი გამოუჩნდა ისტორიკოს სიმონ მასხარაშვილის სახით, მაგრამ სიხარულის ნაცვლად ავმა მოგონებებმა დამრია ხელი, რადგან ეს ის სიმონაა, რომელმაც, მარშალ ბეტანკურისა არ იყოს, კარგად დაიწყო — მახსოვს ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ კავკასიის ეთერში მისი გულისამაჩუყებელი საუბრები ერეკლე მეორეს ვაჟკაცობაზე და მისი გადაწყვეტილებით საქართველოს რუსეთთან შეერთების სიკეთეებზე.**

**მაგრამ, სამწუხაროდ, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი სიმონაც მახსოვს, რომელიც იმავე ერეკლესა და მის პოლიტიკაზე „ნაცების“, პირადად, მიშიკოს, საამებლად დიამეტრულად საპირისპიროს ამბობდა 2008 წლის აგვისტოში...**

**რა ექნა, თავდაცვის სამინისტროს მსუყე ბაგაზე დაბმულმა სიმართლის მსახურებას, საქართველოს ისტორიკოსობას სააკაშვილის ისტორიკოსობა, მიწაზე მხოხავი, ჰალსტუხჭამია მთავარსარდლის ქებათა ქება, მასხარა-შნირობა არჩია.**

**ამიტომ, როდესაც სიმონ მასხარაშვილი ქართველ კლასიკოს მწერლებზე „ნაცების“ გახშირებულ თავდასხმებს „სულიერ საჭურისთა თვითდამკვიდრების მცდელობას“ უწოდებს, ასე მგონია, საკუთარ თავზე საუბრობს.**

**ანდა, „პოლიტიკური პარტია, რომელიც დიდი ქართველი მწერლების განმქიქებელთ არ გაემიჯნება, ვერასოდეს ეღირსება წესიერ ქართველთა მხარდაჭერას.**

**გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ჭაბუა ამირეჯიბის, ნოდარ დუმბაძის განმქიქებელნო, ან ბოდიში მოიხადეთ, ანდა — დაახვიეთ!“**

**რა ვქნა, არც ამ „მაგარი ნათქვამის“ გულწრფელობისა მჯერა!**

**მით უმეტეს გაუგებარია, — „გვარებს არ დავასახელებო“, რატომ?..**

**რაც შეეხება „დაახვიეთ“-ს, სიმონამ აშკარად დაიგვიანა.**

**იმ პიდორხლისტებს, რომლებსაც სიმონა ოსანას უგალობდა 9 წელიწადი, სიმონების გარეშეც დავახვევინებთ.**

**არადა, აფსუს, ნიჭიერი კაცია და საქართველოს ისტორიკოსობასაც გაქაჩავდა, თავადვე რომ არ გაებანძებინა თავი...**

## რა ექნა, თავდაცვის სამინისტროს მსუყე ბაგაზე დაბმულმა სიმართლის მსახურებას, საქართველოს ისტორიკოსობას სააკაშვილის ისტორიკოსობა, მიწაზე მხოხავი, ჰალსტუხჭამია მთავარსარდლის ქებათა ქება, მასხარა-შნირობა არჩია. ამიტომ, როდესაც სიმონ მასხარაშვილი ქართველ კლასიკოს მწერლებზე „ნაცების“ გახშირებულ თავდასხმებს „სულიერ საჭურისთა თვითდამკვიდრების მცდელობას“ უწოდებს, ასე მგონია, საკუთარ თავზე საუბრობს

მსოფლიო



## ბენ ლადენის შვილი «ალ ქაიდას» ჯიჰადისკენ მოუწოდებს

**ბენ ლადენის 24 წლის შვილი ჰამზა ბენ ლადენი „ალ ქაიდას“ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ჯიჰადისკენ მოუწოდებს, რომ თავდასხმები განახორციელონ ლონდონში, ვაშინგტონში, პარიზში, თელავივში, ქაბულში, ბაღდადსა და ღაზის სექტორში.**

აქამდე „ალ ქაიდას“ ყოფილი მეთაურის შვილს ტერორიზმის მხარდაჭერა საჯაროდ არასოდეს გამოუხატავს, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ის პაკისტანსა და ავღანეთში საბრძოლო მოქმედებებში ჯერ კიდევ 2005 წელს მონაწილეობდა, როდესაც 13 წლის იყო.

ჰამზა ბენ ლადენის ადგილსამყოფელი უცნობია. ბენ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ჰამზა მამასთან ერთად მოკლეს, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ამერიკულმა სპეცნაზმა ბენ ლადენის სხვა შვილი — ჰალედი მოკლა.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მეწველ ძროხასავით უყურებენ სახელმწიფოს ფურუნკულ-დარჩიაშვილებიც და ამიტომაა, რომ არ ეპიტნავებათ ნოდარ დუმბაძის მსოფლმხედველობა, რომელიც ასეთ ფურუნკულებს იქ, ციხის საკანშიც, სადაც ყველაზე ზნედაცემული ადამიანები შეკრებილან, ყველაზე ნაძირალებად მიიჩნევს!**

# ძრელი ბაირაღები, ანუ ფურუნკულების სკდომა

**გასულ კვირაში ცნობილმა გრანტიყლაპიებმა რატომღაც გადაწყვიტეს, ქართულ ლიტერატურაზე გამოეთქვათ აზრი... თავიდანვე ვიტყვი, რომ არც მეორე უკიდურესობას ვეთანხმები, ანუ იმ ხალხს, რომელიც „ათრთოლებული“ ხმით გაიძახის — როგორ შეიძლება ცნობილი ქართველი მწერლების კრიტიკა და მათ ნაწარმოებებზე აუგის თქმაო!**

არა, ბატონებო!

სრული უფლება აქვს მავანს, არ მოსწონდეს „ვეფხისტყაოსანი“ და მის ნაცვლად, თუნდაც **დავით (დეფი) გოგიბედაშვილის „სიახ-ლოვე“** აირჩიოს თავისი სულისა და გონების საზრდოდ, ეს მხოლოდ და მხოლოდ პირადი პრობლემაა და ვერავინ აუკრძალავს!

მაგრამ **ის კამპანია, რომელიც „ნაციონალების“ ერთ-ერთმა იდეოლოგმა დავით დარჩიაშვილმა რამდენიმე დღის წინათ წამოიწყო, ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებთა კრიტიკა სულაც არ არის. ეს ხალხის საყვარელი მწერლების პიროვნული შეურაცხყოფაა.**

აი, ბატონი დარჩიაშვილის სიტყვები: **„ნოდარ დუმბაძე სცოდავდა სინდისისა და ისტორიის წინაშე. ვინმე ქურდი დევდარიანის სიტყვები მდარე ტომობრიობა და პოპულიზმია. ეს არის ტიპური ქართული-საბჭოთა ნაწარმოები, სადაც ქურდული და კომუნისტური ლოგიკა ერწყმის ერთმანეთს, მაგრამ ეგ ხომ სკოლაში და ოჯახში უნდა გესწავლათ“.**

თუკი ლიტერატურის რომელიმე ექსპერტი დამიმტკიცებს, რომ ეს ფრაზა ლიტერატურული კრიტიკაა და არა მწერლისა და მკითხველის პიროვნული შეურაცხყოფა, გავჩუმდები.

**დავით დარჩიაშვილს სრული უფლება აქვს, როგორც სურს, ისე გაიგოს „თეთრი ბაირაღებიცა“ და ნებისმიერი მწერლის სხვა ნაწარმოებიც, მაგრამ ნოდარ დუმბაძის სინდისის აუგად ხსენება და ამ ავტორის მკითხველთა ოჯახების ასე უდიერად მოხსენიება, კრიტიკა კი არა, ფურუნკულობაა!**

გემახსოვრებათ, იმავე „ქურდულ“ ნაწარმოებში მეორე ქურდის — ტიგრანა გულოიანის ფრაზა: **„შოშია, ვიცოდი, რომ ფურუნკული იყავი, მაგრამ როდის გასკდებოდი, აი, ეგ არ ვიცოდი!“.**

თუმცა დარჩიაშვილი და მისთანანი, არა ჩვეულებრივი, ანუ ერთჯერადი, არამედ მრავალჯერადი ფურუნკულები არიან და უკვე არაერთხელ გასკდნენ ქარველი ხალხის თვალწინ.

**ადამიანი მართლაც დებილი უნდა იყოს, რომ მწერლის მსოფლმხედველობაზე მისი ნაწარმოების ერთი რომელიმე პერსონაჟის ფრაზებით იმსჯელოს და ასე უტიფრად მიაწეროს ავტორს ამა თუ იმ იდეოლოგიის მიმდევრობა.**

**როგორ წარმოუდგენია დარჩიაშვილს, ციხის თემატიკაზე დაწერილ რომანში ავტორი ქურდის ტიპაჟს თუ არ დახატავდა, აბა, ვისი უნდა დაეხატა — ულტრალიბერალი ჰომოსექსუალის? ქურდს როგორ უნდა ელაპარაკა, ნეტავ? ნატოს მხარდაჭერა უნდა გამოეთქვა და საქართველოს პროდასავლური კურსის უპირატესობა უნდა ემტკიცებინა თანასაკნელთათვის?**

რაზე აქვთ ფურუნკულებს პრეტენზია? ნოდარ დუმბაძე ამ ნაწარმოებში გადმოსცემს, რომ შეიძლება, ქურდსაც ჰქონდეს ცხოვრებაში გარკვეული ადამიანური მომენტები.

„ლიმონა დადებითი პერსონაჟია და რა პასუხი გავცეთ ბავშვს, რომელსაც ამ ნაწარმოებში ლიმონა მოეწონება?“ — სვამს კითხვას მორიგი ფურუნკული და „ბრძნულ“ გამომეტყველებას იღებს...

ვისაც ამ ნაწარმოებში „ლიმონა“ კარგი და დადებითი პერსონაჟი ჰგონია, იმას ვერ აქვს კარგად საქმე გონებრივად, წაკითხულიდან შინაარსის გამოტანის მხრივ... **ლიმონა ტრაგიკული პერსონაჟია და ნაწარმოებში სწორედ ის უნდა დაინახო, რომ, თუკი კარგი ადამიანი ცხოვრებაში გზას ასცდება და არასწორ ნაბიჯებს გადადგამს, მას ცხოვრება სამუდამოდ დაენგრევა და ბევრი რამ გაუხდება სანანებელი. სულაც არ წერია ამ ნაწარმოებში, რომ „კანონიერი ქურდობა“ კარგი და მოსაწონია. პირიქით, იგი, ფაქტობრივად, მოუწოდებს ადამიანებს, არ აირჩიონ ცხოვრების ეს გზა.**

სხვათა შორის, დუმბაძის მლანძღველ (და არა მაკრიტიკებელ) ფურუნკულებს ამავე ნაწარმოებში მეორე „კანონიერი ქურდის“, მკვლელი ტიგრანა გულოიანის არსებობა ავიწყდებათ. ტიგრანა სულაც არ არის ლიმონასავით რომანტიკული და ლამაზი სულის ადამიანი...

მწერალი ნათლად გვიჩვენებს, რომ ცხოვრების ერთსა და იმავე გზაზე მდგარი ორი ადამიანი შეიძლება ასეთიც იყოს და ისეთიც.

**„ამ ნაწარმოებში არის სიმპათია ქურდული სამყაროს მიმართ და სრული ნეგატივი ბიზნესის მიმართ. საზიზღარ პერსონაჟად არის გამოყვანილი ის, ვინც საქმოსნობას ეწევა. კრიმინალური ავტორიტეტი მას უხსნის, ერთი მილიონი რომ იშოვე, მეორე როგორღა მოგინდაო? ასეთი ლოგიკა არის აბსოლუტურად არასაბაზრო ეკონომიკისა და ამავე დროს არსენა ოძელაშვილის...“**

აი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანის სიდებილე იმ საზღვრებს სცდება, რომლის იქით ველარ ხვდები, უნდა იცინო თუ იტირო.

რომელ ბიზნესზეა საუბარი?!

**ეს ხომ საბჭოთა კავშირის პერიოდია! განა შეიძლებოდა, საბჭოთა პერიოდში ციხის საკანში ბიზნესმენი მჯდარიყო? ის, რასაც ფურუნკული დარჩიაშვილი ბიზნესს უწოდებს, სინამდვილეში სახელმწიფო ბიუჯეტის მითვისება და ფლანგვაა.**

ნაწარმოების სიუჟეტის მიხედვით, გოგოლაძე, ანუ შოშია, რომელსაც ლიმონა ამ ეპიზოდში ესაუბრება, არის წვენების ქარხნის ყოფილი დირექტორი, რომელიც ასკილისა და მაყვლის წვენში მავნე ნივთიერებების გარევის გზით იხვეჭდა ფულს და ამ მომხამულ სასმელს ბავშვებს და ავადმყოფებს ასმევდა. აკი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნატურალური წვენების მომხმარებელი, ძირითადად, სწორედ ბავშვები და საავადმყოფოები იყვნენ.

**აი, ამას უწოდებს დარჩიაშვილი ბიზნესს.**

**როგორც ჩანს, ფურუნკულებისთვის ფულის შოვნის ნებისმიერი ხერხი ბიზნესია.**

სწორედ ამას ეუბნება საბოლოოდ ქურდი ლიმონა ფურუნკულ-გოგოლაძეს: **„შენ სახელმწიფო მეწველი ძროხა ხომ არ გგონია?“.**

სწორედაც, მეწველ ძროხასავით უყურებენ სახელმწიფოს ფურუნკულ-დარჩიაშვილებიც და ამიტომაა, რომ არ ეპიტნავებათ ნოდარ დუმბაძის მსოფლმხედველობა, რომელიც ასეთ ფურუნკულებს იქ, ციხის საკანშიც, სადაც ყველაზე ზნედაცემული ადამიანები შეკრებილან, ყველაზე ნაძირლებად მიიჩნევს.



თუკი დადებით პერსონაჟებზე წავა საუბარი, აქვეა მოხულიგნო გლეხი ჭიჭიკო გოგოლი, აქვეა ტრაგიკული შემთხვევის წყალობით მკვლელად ქცეული ძია ისიდორე, აქვეა ზაზა ნაკაშიძეც, უსამართლოდ ეჭვმიტანილი...

მაგრამ დარჩიაშვილი მაინც მოწამლული წვენების მიმწოდებელი ქარხნის დირექტორ გოგოლაძის, ერთი და იმავე საფლავის სამჯერ გამყიდველისა და სასაფლაოს ყოფილი დირექტორის, მიცვალებულის მიცვალებულზე ზევიდან დაამმარხავი მებურიშვილის, საკუთარი შვილებისთვის ალიმენტის არგადამხდელი ჭეიშვილისა და პატიმარი მეგობრის ცოლის გამაუპატიურებელი გამცემლიძის დაცვას ცდილობს ქურდებისგან...

რატომ?

ჩემი აზრით, **დარჩიაშვილები და მისნაირები ამ ფურუნკულებში საკუთარ თავს ხედავენ და მათი უარყოფითად წარმოჩენა უფრო ადარდებთ, ვიდრე ქურდებისა — დადებით ტიპაჟებად.**

## არსებობენ ადამიანები, რომლებიც წიგნს წაიკითხავენ თუ შპალერს, დიდი მნიშვნელობა არ აქვს

ლიმონა დევდარიანი თითქოს სწორედ დარჩიაშვილს პასუხობს, როცა თავის მონოლოგს ასეთი სიტყვებით ასრულებს:

„შენ ვინ გითხრა, რომ მე ანგელოზი ვარ და ოქროს თესლიდან აღმოცენებული? მე ერთი უძირო კაცი ვარ, მეტი არაფერი!“

ხოლო ძია ისიდორე ყოველივეს ასეთ კომენტარს უკეთებს:

„უამრავი ნაკლის მიუხედავად, ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, რომ მთელ სამყაროს დასწვავდა, კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს“.

თუმცა, როგორ ფიქრობთ, აქვს კი აზრი, რომ ვცადოთ და ფურუნკულ-დარჩიაშვილებს ამ სიტყვების მნიშვნელობა ავუხსნათ?

**აკი, არსებობენ ადამიანები, რომლებიც წიგნს წაიკითხავენ თუ შპალერს, დიდი მნიშვნელობა არ აქვს...**

ამიტომაც აღარაფერს ვიტყვი იმ მატრაკვეცებზე, რომლებიც უმალ გამოხტნენ და დარჩიაშვილის მიერ ნოდარ დუმბაძის ლანძღვის კვალდაკვალ ჭაბუა ამირეჯიბისა და სხვა ქართველ მწერალთა დამცირებას მიჰყვეს ხელი...

აქვე კიდევ ერთხელ მიმაჩნია საჭიროდ იმის ხაზგასმა, რომ მეც არ მომწონს არაერთი აღიარებული ქართველი მწერლისა თუ პოეტის ნაწარმოებები და არც არასოდეს მომრიდებია ამის ხმამაღლა თქმა. მაგრამ არც **არასოდეს მომსვლია აზრად, მათთვის რომელიმე იდეოლოგიის მსახურება ან რამე მსგავსი დამებრალებინა და პიროვნულად გამელანძღა ისინი...**

ჰო, მართლა, **დარჩიაშვილო, შენ მიერ საკუთარ ბიოგრაფიაში კომკავშირის მდივნობის ფაქტის დამალვის შესახებ წავიკითხე, მოგვიანებით რომ აღიარე უკვე და თანაც, რაღაც სისულელეებს რომ ბოდავ, სისტემა არ მომეწონა და მალევე დავტოვე პოსტიო...**

იცი, რა? მოდი, ჩემ ნაცვლად ჭიჭიკო გოგოლი გიპასუხებს:

**„შენგან განსხვავებით, ჩემთვის პარტიის მანდატი პურის წიგნაკი არასოდეს ყოფილა! უპარტიო ვარ და იმიტომ! და არც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები მაწუხებდა! მე ის მაწუხებს, რომ ოცდაათი ყალბი საფლავის ფასად გაყიდე მანდატი და მე რაღას მიზამ? ან ამათაც ხომ სულ თხასავით გაყიდი ყველას!“**

ისე, ეს ეპიზოდი მებურიშვილის ცემითა და გოგოლის ფრაზით მთავრდება:

**„ბავშვობიდან ვერ ვიტან ამისთანებს! ამისთანა დამპალი იყო ის ჩემი მეურნეობის დირექტორი, რომ გავლახე და ამ ხნის კაცი ხულიგნობისთვის ჩავჯექი აქ!“**

რას იტყვი, დარჩიაშვილო? „წითელი“ ნოდარ დუმბაძე მეურნეობის დირექტორების წინააღმდეგ გამოდიოდა?

არა, მართლა არ ვიცი, ღირს თუ არა ასეთ ფურუნკულებთან იმაზე ლაპარაკი, რომ მხატვრულ ნაწარმოებში სხვადასხვა გმირის ამა თუ იმ ფრაზიდან, საზოგადოდ, მწერლის მსოფლმხედველობის შესახებ დასკვნის გაკეთება იდიოტიზმია.

თუმცა იმას ნამდვილად გაბედულად გავიმეორებ, რაც ზევით ვთქვი: „თეთრი ბაირაღების“ ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, დაგვანახვოს, რომ გოგოლაძე-მებურიშვილ-ჭეიშვილ-გამცემლიძის მსგავს ფურუნკულებს თვით ქურდები და კრიმინალებიც კი ჯობია.

დიახ! ქურდები გამოყვანილი არიან, როგორც საზოგადოების ყველაზე ჩაძირული ნაწილი, მაგრამ აი ეს ნაწილიც კი გაცილებით სჯობს, გოგოლი რომ „ბავშვობიდან ვერ იტანს“, ისეთ „მეურნეობის დირექტორებს“, ანუ დარჩიაშვილებსა და სხვა მისთანა მრავალჯერად ფურუნკულებს.

**და მე უყოყმანოდ ვეთანხმები ამას!**

**თქვენ?**

**კარგად დაფიქრდით! რუსეთის წინააღმდეგ გაქაჩვა და პუტინის გინება — ეს ამ კომბოსტოსთავიანი, ქართველთმოძულე მაიმუნების ეშმაკური ტრიუკი ხომ არ არის საიმისოდ, რომ თქვენ — ალალი გულის, სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ადამიანებს — ისეთი რამე ჩაგადენინონ, რასაც მთელი ცხოვრება ვერ მოინანიებთ და არც შთამომავლობა გაპატიებთ არასდროს?!**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჩუჟოი»! «სვოი»!

## ანუ დახვრეტა, როგორც სასჯელი რუსეთუმეებისთვის!

**არა, არაფერი მეშლება. სწორედ ასე შეიძლება შევაფასოთ ის, რაც ბოლო პერიოდში უკვე აშკარად ჩანს სოციალური ქსელებიდან. ფიზიკური ლიკვიდაციით პირდაპირი მუქარის წერილები არაერთი ინტერნეტმომხმარებლისთვის უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა.**

საზოგადოდ, მსოფლიოში ინტერნეტმუქარები ცნობილი პრობლემაა, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან საყურადღებო და ერთგვარად გულდასაწყვეტიცაა, რომ ასეთ მუქარებს უკრაინაში მებრძოლი ქართველები უთვლიან თანამემამულეებს... ან ძალიან მინდა დავიჯერო, რომ მათი სახელის ბოროტად გამოყენებით ავრცელებს ვინმე.

მუქარის ტექსტები ანალოგიურია:

**„თქვენ, ყველა რუსეთუმეებს, დაგერხევათ! ჩვენ ჩამოვალთ და, თუ ხელისუფლებაში მოვედით, ყველას ციხეებში ჩაგყრით! თუ ომი დაიწყება, ჯერ თქვენ დაგხვრეტთ და მერე მივუბრუნდებით რუსებს! იცოდეთ, ეს ფუჭი დაპირება არ არის!“**

მასალას **ვურთავთ შესაბამის „ინტერნეტ-სქრინს“,** თუმცა ამ მუქარის გამავრცელებელი ორივე ადამიანის სახელი და გვარი დაფარულია. ისინი თავს უკრაინაში მებრძოლ ქართველებად ასაღებენ და, თუკი ეს ეგრეთ წოდებული ინტერნეტფეიკია, უბრალოდ, არ გვინდა, რომ მათ სახელებს ჩრდილი მიადგეს თანამემამულეთა თვალში.

განა არ მიაყენებს ჩრდილს ქართველი ჯარისკაცის სახელს ის ფაქტი, რომ იგი ქართველებს დახვრეტით ემუქრება?!

ვინმემ შეიძლება თქვას და გაამართლოს, — მანდ რუსეთუმეებზეა საუბარიო?!

საქმეც ეგაა და მთელი უბედურებაც!

**მოდით, ვიკითხოთ, ვინ არიან რუსეთუმეები ასეთი მუქარების გამავრცელებლისთვის?**

**ვინ და — ყველა ის ადამიანი, რომლებიც ფიქრობენ ნატოსთან ინტეგრაცია, ამ ეტაპზე მაინც, ნაადრევია საქართველოსთვის და ჯერჯერობით, მეტ-ნაკლებად, მოგვიწევს ე.წ. რუსულ ორბიტაზე დარჩენა, რათა ჩვენს ქვეყანას მეტი ზარალი არ მიადგეს...**

აი, სწორედ ასეთი ადამიანები უნდა დახვრიტონ მათ!

**არადა, ენ-დი-აის ცნობილი კვლევის მიხედვით, ასე მოფიქრალი ადამიანები საქართველოში 31 პროცენტია.**

ყველა სხვა გათვლით, — მეტიც!

რა გამოდის?

**ისინი დახვრეტით ემუქრებიან საქართველოს მოსახლეობის 31 პროცენტს, ანუ მესამედს?**

კარგი და, როგორი თვალით შეიძლება შეხედოს მოსახლეობამ ჯარისკაცს, რომელიც ყოველ მესამე თანამოქალაქეს დახვრეტს?

მგონი, **უკრაინაში მებრძოლი ქართველების სახელისთვის მთლად კარგი ვერ არის მსგავსი მუქარები, მაგრამ, თუკი ეს „ფეიკი“ არ არის, ურიგო არ იქნება, დაფიქრდნენ...**

უნდა დაფიქრდნენ იმაზე, რომ ასეთი განცხადებების ავტორი სამშობლოს ჯარისკაცი უკვე აღარ არის, არამედ პოლიტიკურად ანგაჟირებული უკანონოდ შეიარაღებული პირის იმიჯს იკეთებს. თუმცა მსგავსი რამ უცხო ნამდვილად არ არის ჩვენთვის, ანუ მათთვის, ვინც იმ ცხრაწლიან რეჟიმში სწორედ პოლიტიკურად ანგაჟირებული ჯარისა და პოლიციის პირობებში ვიცხოვრეთ.

ამიტომ, სულაც არ არის წარმოუდგენელი, რომ იქ, უკრაინაში, სამშობლოს სახელით მებრძოლთა შორის მართლაც იყოს არაერთი ისეთი შეიარაღებული ადამიანი, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური ლიდერები გაცილებით დიდ ავტორიტეტად მიაჩნიათ, ვიდრე სამშობლო!

და აი, სწორედ აქ ისმის კითხვა — **როდის უფრო საშიში იყო სააკაშვილი და მისი ხალხი — ხელისუფლებაში ყოფნისას თუ ახლა?**

ეს სულაც არ არის რიტორიკული შეკითხვა და მართლაც დასაფიქრებელია. აკი, ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში ნებისმიერი ექსცესი, ნებისმიერი „დახვრეტა“ ადამიანებისა, მათ, როგორც ხელისუფალთ, ძვირად უჯდებოდათ და ყოველი ასეთი ფაქტის გახმაურება ძირს უთხრიდა სწორედ მათსავე მმართველობას.

ახლანდელ პირობებში კი **ვის მომხრეზეც უნდა მოხდეს თავდასხმა, ეს მაინც ხელისუფლებას აზიანებს და არანაირად არ აყენებს ჩრდილს „ოპოზიციაში“ გადაბარგებულ „ნაციონალურ მოძრაობას“.**

შეიძლება საფრთხე დაემუქროს იმ ადამიანებს, ვინც არც „ნაციონალებს“ სწყალობს და არც „ქართული ოცნების“ თავგადაკლული მომხრეა.

ასეთი ადამიანების მკვლელობის შემთხვევაში „ნაციონალურ მოძრაობას“ ბრწყინვალე შანსი ეძლევა, ეს ტერორი სწორედ „ოცნებას“ გადააბრალოს და მათ ამის გამოცდილება უკვე აქვთ კიდეც — ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობის ფაქტს ისინი მეტ-ნაკლები წარმატებით „ტენიან“ მოქმედ ხელისუფლებას და ამ საქმის გამოძიების ხელოვნურ გაჭიანურებაზეც ბევრს გაჰყვირიან.

**რაც შეეხება მკვლელთა დაგეშვას ვინმეზე, ეს ხერხი „ნაციონალებმა“ შესანიშნავად იციან. დააბრალე რუსეთუმეობა, უწოდე რუსეთის მომხრე, მტრის მონა და დამთავრდა — ყოველთვის მონახავ ორ-სამ ისეთ შეიარაღებულ სულელს, დამატებითი არგუმენტების მოთხოვნის გარეშე რომ იკისრებს მტრის მიერ მოსყიდული მოღალატის ლიკვიდაციას.**

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ამის საუკეთესო მაგალითია. **სადაც ამ მართლაც საქართველოსთვის და ქართველებისთვის თავდადებულ ადამიანს ასე**





**იოლად შეუკერეს მოღალატის მანტია, რა პრობლემაა, ვინმე დღევანდელ მეტ-ნაკლებად ცნობილ ადამიანს რუსის მონის იარლიყი სახელდახელოდ რომ მიაწებონ?**

არ უქნიათ თუ რა?!

გახსოვთ, ალბათ, „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთი პერსონაჟი ასპიონა. იმ ეპიზოდში თიყვა ასეთ რამეს ეუბნება დათას:

**„მკვლელია ასპიონა! სხვა ყველაფერთან ერთად, სულელია მაგი და ხომ იცი, სულელი იოლად კლავს კაცს!“**

აი, მთავარი ამოსავალი წერტილი!

განა ვინმესთვის საიდუმლოა, რომ ყოფილ ხელისუფლებას ასპიონების ბანდები ჰყავდა, რომლებიც სულაც არ მიიჩნევდნენ საჭიროდ ტვინის განძრევას?

მარტივად რომ ვთქვათ, მათ „ხაზეინი“ უნერგავს „ჩუჟოის“ და „სვოის“ ცნებებს და მორჩა!

**„ჩუჟოი“ უნდა მოკვდეს! უნდა დაიხვრიოტოს! უნდა განადგურდეს!**

**და ეს უნდა გაკეთდეს პატრიოტიზმის, საქართველოს, სამშობლოს სახელით!**

ასეთი შეიარაღებული რობოტები, ჯარისკაცები კი არა, მკვლელები რომ არიან, ამას, მგონი, დიდი განსჯა არ სჭირდება...

ახლა, მოდი, ვნახოთ, რას და როგორ ფიქრობენ ის ადამიანები, რომლებიც სხვებს რუსეთუმეს იმიჯს უკეთებენ, თვითონ კი პატრიოტებად მოაქვთ თავი.

აქვე დაბეჭდილ მეორე „სქრინზე“ შეგიძლიათ ამოიკითხოთ:

**„მაღიზიანებს ის ხალხი, რომელიც ამბობს, რომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, რომ ქართველმა ხალხმა თავად უნდა აირჩიოს თავისი ღირებულებები. მე არ მიმაჩნია, რომ ქართველი ხალხი არის იმ დონეზე, რომ მათ იცოდნენ, რა არის მათთვის ცუდი და კარგი. როგორც 5-10 წლის ბავშვმა არ იცის, რა არის მისთვის უკეთესი, ასევეა ქართველი ერიც.**

**მე მინდა, რომ საქართველო იყოს ცივილიზებული სამყაროს ბავშვი და არა დამოუკიდებელი ერი, რომელიც თავად მიიღებს გადაწყვეტილებებს. ქართველ ხალხს მისცე დამოუკიდებელი არჩევანი, ეს იგივეა, მაიმუნს დააჭერინო ხელში მოქმედი ყუმბარა.**

**ჩვენნაირ არაცივილიზებულ და ჩამორჩენილ ერებს, თავისუფლება კი არა, მუდმივი კონტროლი და განათლება სჭირდებათ! ჩვენ ვართ განუვითარებელი ერი.“** ამ „სქრინსაც“ არ ვაწერთ ავტორის ვინაობას, რადგან არ გვსურს ასეთი კომბოსტოსთავიანების რეკლამა ჩვენი გაზეთით.

**აი, ასე მოაზროვნე ადამიანები სხვას უწოდებენ რუსეთუმეს, სამშობლოს მოღალატეს, გამყიდველს და ა. შ.**

**აი, ასეთი ადამიანები უტარებენ პროპაგანდას ქართველ მებრძოლებს, ვინ უნდა დახვრიტონ.**

**ამ ადამიანებს სამშობლო კი არ უყვართ და მისი თავისუფლება კი არ სურთ, უბრალოდ, უფრო „მდიდარი ბატონი“ უნდათ და საკუთარი ერის წარმოუდგენელი ლანძღვისა და დამცირების ხარჯზე აპირებენ ამ „ახალი ბატონისთვის“ თავის მოწონებას, კეკლუცობასა და საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის მოწყობას!**

გამყიდველობა სწორედ ამას ჰქვია და არა იმას, ჭეშმარიტი მამულიშვილი რომ ჩაფიქრდება, გააანალიზებს, რით შეიძლება საკუთარი ერი, საკუთარი ქვეყანა იხსნას, გადაარჩინოს და, თუ საჭიროება მოითხოვს, რუსეთში კი არა, მონღოლთა ურდოშიც კი წავიდეს მოსალაპარაკებლად ან სულაც იმისთვის, რომ საკუთარი ხალხის გადასარჩენად თავი მოჰკვეთონ.

და კიდევ ერთხელ — **ძალიან მინდა, დავიჯერო, რომ ეს დახვრეტის მუქარა „ფეიკია“, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც მინდა, ქართველი მებრძოლები დაფიქრდნენ, ვის ემსახურებიან და რა აზრები ტრიალებს სინამდვილეში რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლთა თავებში!**

აქვე შეგახსენებთ — თავის დროზე თენგიზ კიტოვანიც რუსებთან საომრად გარბოდა, როდესაც ის რიკოთის ტერიტორიაზე დააკავა სპეცრაზმმა და უკან მოაბრუნა...

დღეს როგორ ფიქრობთ — **რუსეთთან ბრძოლა იყო კიტოვანის ნამდვილი მიზანი?**

დაფიქრდით, ბიჭებო!

**კარგად დაფიქრდით! რუსეთის წინააღმდეგ გაქაჩვა და პუტინის გინება — ეს ამ კომბოსტოსთავიანი, ქართველთმოძულე მაიმუნების ეშმაკური ტრიუკი ხომ არ არის საიმისოდ, რომ თქვენ — ალალი გულის, სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ადამიანებს — ისეთი რამე ჩაგადენინონ, რასაც მთელი ცხოვრება ვერ მოინანიებთ და არც შთამომავლობა გაპატიებთ არასდროს?!**

თქვენ თქვენი ქვეყანა და ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე კი არ უნდა დახვრიტოთ, არამედ უნდა დაიცვათ! ისინიც კი, ვინც შეიძლება ცდებოდეს და არასწორ გზას ადგეს! თქვენ მათი დაცვა გევალებათ და არა დახვრეტა, ამოხოცვა და ამოჟუჟვა!

**ნუ გამოაყენებინებთ თავს ვიღაც მატრაკვეცა და ანგარებიან მოპოლიტიკოსო ტუტუცებს!**

**თქვენ საქართველოს, სამშობლოს ჯარიკაცები ხართ და ეს მუდამ უნდა გახსოვდეთ!**

**ბაკურ სვანიძე**

ჰკა მაგათა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სკოლა აღარ არის ის ტაძარი, ქართულ კლასიკას ახალგაზრდებს რომ შეუსისხლხორცებს, ამიტომ ვიღაც კაცი, რომელიც ტელეეკრანზე ხშირად ჩნდება, ახალგაზრდისთვის ავტორიტეტია. არადა, ბავშვებმა არ იციან, რომ ტელეეკრანზე ხშირად გამოჩენილ ადამიანთაგან ბევრს წაკითხული არ აქვს არც ილია, არც რობაქიძე, არც გამსახურდია, არც დუმბაძე“.**

# «ნოდია უნიჭო ბადრიჯანია და თავი მერცხალი ჰგონია, ყოველგვარ ზღვარს გასცდნენ ეს გარეწრები!»

**ერთი კვირაა, სოციალური ქსელის მომხმარებლები აღშფოთებას ვერ მალავენ სოროსის ფონდის ერთ-ერთი წევრის, განათლების ყოფილი მინისტრის — გია ნოდიას მიერ გამოქვეყნებული პოსტის გამო, სადაც ის სასიქადულო ქართველ მწერლებს შეურაცხყოფს. აი, რას წერს ნოდია თავის ფეისბუქგვერდზე: „ნოდარ დუმბაძე ლპობის ეპოქაში შესული საბჭოთა ტოტალიტარიზმის იდეურ ლაბირინთებში ტრაგიკულად დაბნეული პიროვნებაა.**
**ჭაბუა ამირეჯიბის პროზაც ლიტერატურულად გაცილებით ნაკლებღირებულია. ჩემი აზრით, „დათა თუთაშხია“ ძალიან სუსტი რომანია; საკმაოდ გამიჭირდა მისი პირველი ნაწილის ბოლომდე მიყვანა და თავს ვერ დავაძალე, მეორე ნაწილი წამეკითხა.**

**კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ არ მესმის. მახსოვს, „დიდოსტატის მარჯვენაში“ რაღაც ადგილები მომეწონა, „მთვარის მოტაცებაში“ — გაცილებით ნაკლები, „დიონისოს ღიმილზე“ ლამის ცუდად გავხდი, ხოლო „დავით აღმაშენებლის“ წაკითხვის მცდელობა თავიდანვე ჩამივარდა: ეტყობა, ამ ცხოვრებაში ველარ წავიკითხავ, მერე ვნახოთ.**

**გრიგოლ რობაქიძის მწერლური რეპუტაცია საერთოდ გამოცანაა: „გველის პერანგი“ მხოლოდ მოვალეობის გამო წავიკითხე. ჩემი აზრით, სრულიად უბადრუკი ტექსტია. ჯანდაბას, რომ ეს კაცი აშკარა ფაშისტი იყო (კარგ მწერლებსაც ხშირად ერევათ იდეოლოგიური რამსები: კომუნისტი შემოქმედები რომ უარვყოთ კომუნისტობისთვის, სად წავალთ?), მაგრამ საშინლად უნიჭო რომ იყო? მერე რა, რომ კომუნისტებს არ მოსწონდათ, ეს არ არის საკმარისი მისი განდიდებისთვის.**

**თუ არსებობს „ყველაზე დიდი ქართველის“ ნომინაცია, ასეთი ჩემთვის ილია ჭავჭავაძეა, მაგრამ, თუ შევაფასებთ მას, როგორც პოეტს, დიდი ვერაფერი პოეტი იყო“.**

გია ნოდია თავის დროზე სოროსის ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ანტიკორუფციული კომიტეტის ხელმძღვანელი იყო. 2001 წელს სოროსმა თომას ჰობსის „ლევიათანის“ თარგმანზე კონკურსი გამოაცხადა, ამ ამბავს ფონდში დიდი სკანდალი მოჰყვა, რაშიც ჯორჯ სოროსის ყველაზე „ერთგული“ და საყრდენი ადამიანი გია ნოდია გაეხვია.

აი, რას წერდა ამ სკანდალზე 2001 წლს პრესა: „ჟურნალისტთა სახლში მთარგმნელთა ჯგუფმა, რომელიც კონკურსში მონაწილეობდა, პრესკონფერენცია გამართა და სკანდალს ფარდა ახადა. ჯგუფის წევრებმა: **მარიკა აბაიშვილმა, თამარ ებრალიძემ** და **ნუგზარ წიკლაურმა** ჟურნალისტებს ფარდის უკან დარჩენილთა სახელები გააცნეს. საქმე ეხება სკანდალს სოროსის ფონდში, სადაც ერთ-ერთ ქვესაბჭოს თავმჯდომარეობდა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პირონება, ანტიკორუფციული „შვიდკაცას“ წევრი, ბატონი გია ნოდია.

მთარგმნელობითი ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ ოთხი წარმოდგენილი თარგმანიდან გამარჯვება ყველაზე უარეს ნაშრომს მიენიჭა. მიზეზი კი იყო ის, რომ ამ პროექტის ავტორი და დირექტორი, ქალბატონი **ზეინაბ სარაძე** გია ნოდიას მეუღლეა. ჯგუფი აცხადებს, რომ ბატონმა გიამ ყოველგვარი წესების დარღვევით გრანტი თავის მეუღლეს მიაკუთვნა“.



ეს ისე, შტრიხი პორტრეტისთვის, მაგრამ ის, რომ ნოდია ქართველ კლასიკოს მწერლებს „თავს დაესხა“, ამაში განსაკუთრებული არაფერია, თუ გადავხედავთ სოროსის ფონდში დაფრთიანებული ადამიანების ცხოვრებისეულ პრონციპებს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

# «საქართველოში გრანტები გაიცემა იმათზე, ვინც უფრო მოხერხებულად შეგვილახავს ღირსებას»

*** ილაპარაკეთ და იმოქმედეთ... მტკიცედ, აგრესიულად, თავგზის ამბნევად; ატეხეთ ხმაური და გამოიყენეთ ლამაზ-ლამაზი სიტყვები; იხმარეთ, რაც შეიძლება, უფრო გაუგებარი და ვითომ მეცნიერული ტერმინები; მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვით, მთავარია, როგორ იტყვით“.**

*** ხელთ გეპყრათ პროპაგანდისა და ინფორმაციის საშუალებები: პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო. ნებისმიერ საკითხზე შექმენით ისეთი საზოგადოებრივი აზრი, ჩვენს ინტერესებს რომ შეესაბამება... არც ერთი საზოგადოებრივი პროცესი არ უნდა მიეცეს თვითდინებას. თუ რომელიმე მათგანი სარგებლობის მომტანი არ იქნება ჩვენთვის, უნდა შეაჩეროთ ან ჩვენი მტრების წინააღმდეგ წარმართოთ.**

ეს „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ფონდის წევრების პრინციპებია და რა გასაკვირია, რომ მათი აზრის წინააღმდეგ მიმართული ქართული მწერლობის „შეჩერება“ გია ნოდიამ სწორედ ამ გზით გადაწყვიტა.

**გია ნოდიაზე (და არა ქართულ მწერლობაზე) სასაუბროდ აკადემიკოსებს — გოგი გოგოლაშვილსა და ელიზბარ ჯაველიძეს დავუკავშირდით.**


გოგი გოგოლაშვილი

**გოგი გოგოლაშვილი, აკადემიკოსი:**

**— „ნაციონალებმა“ არ იკმარეს ის, რაც საქართველოსა და ქართველ ხალხს დამართეს. ტრადიციების, რელიგიის, ისტორიის, წარსულის შემდეგ სამიზნეში დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლები ამოიღეს...**

— გია ნოდიას მოსაზრებაზე, ვფიქრობ, საუბარიც კი არ ღირს. არ არის ნოდია იმ ავტორიტეტის მქონე, რომელსაც პასუხი უნდა გასცე... არ ღირს, დიდი მწერლები მისგან დავიცვათ, ამაზე სერიოზული მსჯელობა არ შეიძლება.

**ნოდია და მისი მეგობრები არიან ის ადამიანები, რომლებსაც თავის გამოჩენისა და თვითდამკვიდრებისთვის ყველაფრის კადრება შეუძლიათ, ახლა ქართველი კლასიკოსი მწერლების შეურაცხყოფით ცდილობენ სახელის „მოხვეჭას“. ესენი ის პოლიტიკოსები არიან, რომლებსაც პოლიტიკა ჩაეშალათ, რა გზით იარეს, არც ამაზე ღირს საუბარი და დროის დაკარგვა, ყველამ ისეც კარგად იცის.**

დღეს ყოველი მათგანი ორიგინალურ გამოსავალს ეძებს და მთელი კვირაა, ჩვენც ამას ვისმენთ თუ ვკითხულობთ.

უხერხულია, დავიწყო მტკიცება, რომ კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ დუმბაძე დიდი მწერლები იყვნენ. **ნოდია იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, ტაძარს რომ წვავენ ისტორიაში თავისი სახელის დატოვების მიზნით. ასეთი ადამიანები ქართულ ლიტერატურას ვერაფერს დააკლებენ.**

**— რა თქმა უნდა, უფროსი თაობისთვის ნოდია არაფერს წარმოადგენს და არც მის სიტყვას უსმენს ვინმე, მაგრამ ახალგაზრდებზე დიდი გავლენა აქვს. სწორედ მისნაირების გავლენაა, რომ დეისაძე, ბურჭულაძე და ა.შ. „დიდ და ნიჭიერ“ მწერლებად მიაჩნიათ...**

— კითხვა, რომელიც თქვენ ახლა დასვით, უფრო პრობლემური მგონია, ვიდრე ის, რაც ნოდიამ მწერლებზე თქვა.

▶



## აშშ უარს აცხადებს გუანტანამოს საპყრობილიდან იემენელი პატიმრის გათავისუფლებაზე

**თარიკ ბა ოდაჰა 2002 წელს „ალ ქაიდასთან“ კავშირისთვის დააპატიმრეს, თუმცა მისთვის ბრალი ჯერაც არ წარუდგენიათ. პატიმარმა 2007 წლიდან უვადო შიმშილობა გამოაცხადა. ამ დროისთვის ის 34 კილოგრამს იწონის. იემენელ პატიმარს დღეში ორჯერ იძულებითი ინიექციის საშუალებით კვებავენ.** გუანტანამოს ციხეში სულ 116 პატიმარი იმყოფება, მათგან 69 — იემენელი. გუანტანამოს სასჯელაღსრულების დაწესებულების დახურვა ბარაკ ობამას წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი დაპირება იყო.



„ვერ შევძელით იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლაში შეტანა. ორი წლის წინათ, ჩვენი ძალისხმევით, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ გამოცხადდა არამატერიალურ კულტურულ, ეროვნულ ძეგლად. ამ დოკუმენტს ხელი პრემიერმა ღარიბაშვილმა მოაწერა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა... მეგონა, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდოდა, ამაზე ბრძოლა აღარ დაგვჭირდებოდა, მაგრამ, როდესაც საკითხი დავაყენეთ, რომ სკოლაში „დედა ენა“ დაბრუნებულიყო, ზუსტად ის პასუხი მივიღეთ, რომელიც თავის დროზე დიმიტრი შაშკინმა მოგვცა“.

ჰკა მაგათა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ამორალური გია ნოდია სოროსის სახეა. მისი «ნაღვაწიდან» კარგად ჩანს მისი ბუნება — მიზნის მიღწევა ყოველგვარი უზნეო გზით. რაც უფრო ვერაგულ და ამორალურ ხერხებს მიმართავენ, მით იოლია სასურველი შედეგის მიღწევა, თუმცა ყველას ავიწყდება, რომ ეს საქართველოა, აქ ქართველები ცხოვრობენ და სოროსის მეთოდებისა და მითითებების გატარება არც ისე მარტივია»

ახალგაზრდები ნოდიასა და დარჩიაშვილისგან კი არ უნდა ეცნობოდნენ ქართველ მწერლებს, არამედ სკოლიდან. ბავშვი სკოლას რომ ამთავრებს, წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე. ასე იზრდებოდა თაობები წლების განმავლობაში, ასე მოვედით აქამდე. დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, **სკოლამ ეს გზა საერთოდ უარყო, სკოლა აღარ არის ის ტაძარი, ქართულ კლასიკას ახალგაზრდებს რომ შეუსისხლხორცებს. ამიტომ ვილაც კაცი, რომელიც ტელეეკრანზე ხშირად ჩნდება, ახალგაზრდისთვის ავტორიტეტია.** არადა, **ბავშვებმა არ იციან, რომ ტელეეკრანზე ხშირად გამოჩენილ ადამიანთაგან ბევრს წაკითხული არ აქვს არც ილია, არც რობაქიძე, არც გამსახურდია, არც დუმბაძე.** ახალგაზრდები კი მათ ბაძავენ. სკოლის პირდაპირი მოვალეობაა მომავალი თაობების აღზრდა, ეს არის მთავარი და არა ის, რა თქვა ვიღაც ტვინგამრუდებულმა პოლიტიკოსმა. მთავარია, მომავალ თაობებს სწორად მოვაწოდოთ ინფორმაცია და ვასწავლოთ ქართველი კლასიკოსები, მათი შემოქმედება.

**— სკოლისა და საერთოდ, განათლების სისტემის ნგრევაც წინა ხელისუფლების დიდი დამსახურებაა. სწორედ გია ნოდიაა იმ გამრუდებული განათლების სისტემის ერთ-ერთი ავტორი, რომლითაც ჩვენი ახალგაზრდები იზრდებიან. თვლით თუ არა, რომ ნოდიას ასეთი გამოხდომა მართლაც საშიშია და უფრო სერიოზული პრობლემის წინაშეც შეიძლება დავდგეთ?**

— მართალი ბრძანდებით. განათლების სისტემის ძირეული ნგრევა იმ დაწყევლილ ათწლეულში მოხდა, „ნაცმოძრაობის“ პერიოდს რომ უწოდებენ. მათ ისე დაანგრიეს ყველაფერი, ძალიან დიდი დრო დასჭირდება, განათლების სისტემა მწყობრში რომ ჩადგეს.

**ეროვნული გამოცდები, რომლებიც საქართველოში ტარდება, ახალგაზრდებს დაღუპავს. ამ გამოცდებს ისე აბარებენ, რომ მაინც და მაინც აუცილებელი არ არის, „ვეფხისტყაოსანი“ იცოდეს, არ სჭირდება ილიას ცოდნაც...**

დღესაც კი ვერაფრის შეცვლა ვერ შევძელით, **ვერ შევძელით იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლაში შეტანა. ორი წლის წინათ, ჩვენი ძალისხმევით, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ გამოცხადდა არამატერიალურ კულტურულ, ეროვნულ ძეგლად, ამ დოკუმენტს ხელი პრემიერმა ღარიბაშვილმა მოაწერა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.**

**— მინისტრს არ სურს, რომ სკოლებში გოგებაშვილის „დედა ენა“ ისწავლებოდეს?**

— არავის სურს. **მეგონა, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდოდა, ამისთვის ბრძოლა აღარ დაგვჭირდებოდა, მაგრამ, როდესაც საკითხი დავაყენეთ, რომ სკოლაში „დედა ენა“ დაბრუნებულიყო, ზუსტად ის პასუხი მივიღეთ, რომელიც თავის დროზე დიმიტრი შაშკინმა მოგვცა. განათლების სისტემაში არაფერი შეცვლილა და, თუ ასე გაგრძელდა, არც არაფერი შეიცვლება.**



ჯორჯ სოროსი

წელს იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წელი სრულდება. სექტემბრიდან ისევ ვაპირებთ ჩვენი ინიციატივის განათლების სისტემაში შეტანას, „დედა ენის“ სკოლებში დაბრუნებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ ისევ გვიწევს ბრძოლა.

**— ბატონო გოგი, რატომ ცდილობენ ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები, შეურაცხყონ ჩვენი ტრადიციები, ისტორია, რელიგია, პატრიარქი?..**

— რატომ ხდება ასე, ვერაფრით ავხსნი. **ნორმალურ ქვეყანაში არ აპატიებდნენ ასეთ რამეს, აუცილებლად ქუჩაში გამოვიდოდნენ და ეროვნული ღირსების შელახვას გააპროტესტებდნენ.**

წარმოუდგენელია, რაც საქართველოში ხდება. ვიღაც თუთბერიძე თუ კობერიძე გადაწყვეტს, რომ პატრიარქი შეურაცხყოს, ამას სოციალურ ქსელში გაავრცელებს და შემდეგ ყველა იზიარებს; არავინ წერს, რომ ეს ცუდია. ეროვნულ ღირსებას გვილახავენ და ხმას არავინ იღებს. ეს შეურაცხყოფა ახალი დაწყებული არ არის. გახსოვთ, **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** „ქართლის დედა“ აუგად რომ მოიხსენია, მაშინ გრანტები აიღეს. ამ ყველაფერში სოროსია ჩარეული და, ალბათ, სხვა ფონდებიც. ჩვენს მტერს ჩვენვე თუ არ წავაჭერით ფესვები, დავიღუპებით. **საქართველოში გრანტები გაიცემა იმათზე, ვინ უფრო მოხერხებულად შეგვილახავს ღირსებას.**

**— ნიჭიერი კაცია გია ნოდია? შეიძლება მას მოუსმინონ?**

— ახალგაზრდებს ვეტყვი, რომ აუცილებლად ეროვნულ ნიადაგზე უნდა დადგნენ. თავის გამოჩენისთვის უამრავი გზა არსებობს, მაგრამ თავი რომ გამოიჩინო ეროვნულობითა და ქართველობით, იმ გზაზე დადგე, რომლითაც აქამდე მოვედით, დიდი ვაჟკაცობაა.

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— გია ნოდია ამ ყველაფრის უფლებას თავს რომ აძლევს, ნამდვილად არ მიკვირს, რადგან ის ზნეობრივად ჩამოუყალიბებელია. მას თავი ფილოსოფოსად მოაქვს, მაგრამ სინამდვილეში რაღაც სულელური დისერტაცია დაიცვა.

**გია ნოდიას განათლებულობისა ვისაც სჯერა, ისიც გია ნოდიასნაირია. მას არანაირი განათლება არ აქვს, არც — მას და არც — ლევან ბერძენიშვილს. მათ განათლებაზე მითი ჟურნალისტების შექმნილია. ნოდია ის კაცი არ არის, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას გაიგებს, შეუძლებელია, გრიგოლ რობაქიძის საიდუმლოს ჩასწვდეს...**



ელიზბარ ჯაველიძე

რამდენიმე წლის წინათ ნოდიამ ერთი წერილი დაწერა და მისი სიბრიყვე იქ გამოჩნდა, თავის დროზე მასზე ვწერდი... ამ ადამიანს არც ფილოსოფია ესმის, არც ლიტერატურა, ამიტომ მასზე სერიოზული მსჯელობა არ ღირს.

**— ლანძღვა ყოველივესი, რაც ქართველებისთვის ძვირფასია, ტენდენციად იქცა...**

— რა თქმა უნდა, ტენდენციად იქცა, ისინი ხომ ამერიკის ბინძური პოლიტიკის გამტარებლები და მსახურები არიან. გია ნოდიამ ბოლომდე გამოამჟღავნა თავი განათლების მინისტრობისას. მან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო იმ მწერლების კრიტიკა, რომლებიც ქართველთათვის ფასეულს ქადაგებენ.

ნოდია ვინც არის, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ხალხმა ეს არ უნდა აპატიოს. არ ვიცი, ეს სიბინძურე სად დაწერა, ჩემი თვალით არ მინახავს, მაგრამ ახლა ისე გავბრაზდი, სადმე რომ შემხვდეს, პანღურებს არ დავაკლებ.

**ნოდია უნიჭო ბადრიჯანია და თავი მერცხალი ჰგონია, ყოველგვარ ზღვარს გასცდნენ ეს გარეწრები, მაგრამ მეტი აღარაფერი დარჩენიათ. ხვალ ნოდიამ შარვალი რომ ჩაიხადოს და ქუჩაში ტიტველმა ირბინოს, არ გამიკვირდება, რადგან სხვა გზა არ დარჩა, თავი ხომ უნდა გაახსენოს ხალხს.** მესმის, რომ მწერლების ლანძღვისთვის ადამიანს ციხეში ვერ ჩასვამ, მაგრამ ხალხმა არ უნდა აპატიოს.

## «ისინი ამერიკის ბინძური პოლიტიკის გამტარებლები და მსახურები არიან. გია ნოდიამ ბოლომდე გამოამჟღავნა თავი განათლების მინისტრობისას. მან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო იმ მწერლების კრიტიკა, რომლებიც ქართველთათვის ფასეულს ქადაგებენ. ნოდია ვინც არის, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ხალხმა ეს არ უნდა აპატიოს. არ ვიცი, ეს სიბინძურე სად დაწერა, ჩემი თვალით არ მინახავს, მაგრამ ახლა ისე გავბრაზდი, სადმე რომ შემხვდეს, პანღურებს არ დავაკლებ!»

ადრე ილიას, აკაკის, ვაჟას შეეხნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხის სულიერების, კულტურის, თვალსაწიერის მოსპობა სურთ.

**ლევან ბერძენიშვილმა დაიწყო ეს ყველაფერი. ვინ არის ბერძენიშვილი?! რაღაც მაიმუნური ბროშურა დაწერა, ვინ თქვა მისი განათლებულობა?! მისი ყველაზე დიდი აღმოჩენა იყო, კერძების მიხედვით ადამიანის ამოცნობა შეიძლებაო, რომ თქვა. იქვე უწერია, სომხებს სუჯუხზე ნერწყვი მოსდით, ამიტომ სომეხს ამით ამოიცნობო. მაშინ დავუწერე, იქნებ სუჯუხი პარლამენტში შევიტანოთ და შეფარული სომხები ვიპოვოთ-მეთქი. აი, ასეთი განათლება და მსჯელობა შეუძლია ბერძენიშვილს, რომელიც გია ნოდიასგან არაფრით განსხვავდება.**

სამწუხაროა, რომ ყველა ტელეარხი მათ აჩვენებს, ყველანი ახალგაზრდების გახრწნაზე მუშაობენ. ყველა მათგანის სურვილია, არაფრის მცოდნენი ვიყოთ, გადავგვარდეთ და გავნადგურდეთ. ჩვენი შეცვლა უნდათ, გვამაიმუნებენ. მათი ქმედებები მიმართულია იქით, რომ მხოლოდ საუბარი შევძლოთ და აზროვნება არაფერში გვჭირდებოდეს.

ნოდიასთანა ხალხის დრო დასრულდა და თავს ვეღარაფრით გადაირჩენენ, თანაც გზა, რომელიც თავის გამოსაჩენად აურჩევიათ, ყველაზე წამგებიანია. ძალიან გავბრაზდი თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, **თუ სადმე წავაწყდი, ვიცი, ნოდიას როგორც გავუსწორდები.**

**ამორალური გია ნოდია სოროსის სახეა. მისი „ნაღვაწიდან“ კარგად ჩანს მისი ბუნება — მიზნის მიღწევა უზნეო გზით.**

რაც უფრო ვერაგულ და ამორალურ ხერხებს მიმართავენ, მით იოლია სასურველი შედეგის მიღწევა, თუმცა ყველას ავიწყდება, რომ ეს საქართველოა, აქ ქართველები ცხოვრობენ და სოროსის მეთოდებისა და მითითებების გატარება არც ისე მარტივია.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

---

მოკლედ

## კატასტროფა ჩინეთში — დაღუპულია 112 ადამიანი

**ჩინეთში დიდი კატასტროფა მოხდა. აფეთქებას ქალაქ ტიანძინის პორტში 112 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავებულთა რაოდენობა 900-ს აღწევს.** გამოძიების ვერსიით, პორტში საწვავის ცისტერნა და საბრძოლო მასალებით დატვირთული ვაგონი აფეთქდა. მეხანძრეებმა ცეცხლის ლოკალიზება შეძლეს.



## პენტაგონი: რუსეთთან საომრად მზად არ ვართ

**ერაყისა და ავღანეთის მომქანცველი საომარი კამპანიების შემდეგ, რუსეთთან ფართომასშტაბიანი ომის საწარმოებლად ამერიკას საკმარისი რესურსი აღარ აქვს, — წერს The Daily Beast-ი.** „ალბათობა იმისა, რომ რუსეთს დავამარცხებთ, არსებობს, თუმცა ამისათვის რესურსის თითქმის მთლიანად დახარჯვა მოგვიწევს. ჩვენ არ ვართ ომისთვის ისე მომზადებული, როგორც სასურველია, ჩვენ ვერ გვექნება ისეთი უპირატესობა ჰაერში, როგორიც ავღანეთსა და ერაში გვქონდა, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა“, — განუცხადა The Daily Beast-ს პენტაგონის წარმომადგენელმა.

ხიდაშელის გამბიტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვფიქრობ, თავდაცვის მინისტრი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. თუ მას სურდა სამართლიანობის აღდგენა, მაშინ „მუხროვანის საქმეზე“ დაკავებული ოფიცრებიც დაებრუნებინა, მან ხომ ძალიან კარგად იცის, რომ თითოეული მათგანი სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლია და სამსახურებიდან უკანონოდ გაათავისუფლეს. ამ ადამიანების ბედი დღემდე ჰაერშია ჩამოკიდებული, არადა, ყველანი საჭირონი არიან, მათი გამოცდილება ქვეყანასა და თავდაცვის სამინისტროს ძალიან სჭირდება. თუ ხიდაშელს სამართლიანობის აღდგენა სურდა, სწორედ აქედან უნდა დაეწყო“.**

# თინა ხიდაშელი — «ტროას ცხენი» აღმასრულებელ ხელისუფლებაში

**თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალჩინოსანი, რომლებიც „კაბელების საქმეზე“ 2014 წლის 28 ოქტომბერს დააკავეს, თანამდებობებზე დააბრუნა. დაკავებულები იყვნენ: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გიზო ღლონტი; საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კაიშაური; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი გიორგი ლობჟანიძე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი არჩილ ალავიძე და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი დავით წიფურია.**



მათ დაკავებას ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია პოლიტიკურ დევნად აფასებდა: „ესენი არიან ივანიშვილის პირადი პატიმრები, ის ავალებდა პროკურორებს, სწრაფად დაეკავებინათ და ჩემზე პოლიტიკური ზეწოლა მომხდარიყო, ახლა გავრცელდა ინფორმაცია, რომ კიდევ უნდათ პროკურორებს პროცესის გადატანა და, თუ ეს დამტკიცდა, მოწმობს, რომ არ აქვთ მტკიცებულებები. უსაფუძვლოდ 5 ადამიანი, მერამდენე თვეა, ტყვეობაში იმყოფება, ისენი არიან ივანიშვილის პირადი ტყვეები“, — ამბობდა ალასანია.

თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების ხმაურიან დაკავებაზე სამხედრო ექსპერტები წერდნენ:

„მოწვევა სს „სილქნეტთან“ ერთად გაეგზავნა საქართველოში მოქმედ 9 კომპანიას, რომლებსაც წინადადებების წარმოსადგენად ვადა 5 სექტემბრამდე მიეცათ. ვინაიდან ხსენებული სამუშაოს შესასრულებლად თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილი იყო არარეალურად მოკლე ვადა, ოთხმა კომპანიამ შეძლო მხოლოდ ზოგადი ხარჯთაღრიცხვის წარდგენა;

თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობისას მოხდა კომპანიების მიერ წარმოდგენილ წინადადებებში აღნიშნული მისაწოდებელი ფასის გამოცხადება, იმავე თარიღით შედგენილი იქნა შემოთავაზების გახსნის ოქმი, რომლის მიხედვითაც, თითქოს წინადადებები გაიხსნა ტრანსპარანტული წესების დაცვით და გადახედილი იქნა წარმომადგენლების თანდასწრებით, რეალურად წინადადებები უკვე გახსნილი იყო და პრეტენდენტებს, მიუხედავად მათი მოთხოვნისა, არ გააცნეს ერთმანეთის შეთავაზებები.

საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარეობისას თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირებმა მიიღეს ყველა ზომა სს „სილქნეტის“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, რაც გამოიხატებოდა სხვა კომპანიებისთვის ქონებასა და მომსახურებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში.

წინადადებების განხილვისას და შემდგომ ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა სხვა სახელმწიფო სამსახურებში შეგნებულად არ გაარკვიეს ანალოგიური ქონების შეძენის პირობები და ღირებულება, რადგან აღნიშნული მომსახურება და საქონლის შეძენა ბაზარზე შესაძლებელი იქნებოდა გაცილებით შეღავათიან ფასად შესყიდვაში მონაწილე სხვა კომპანიებისგან.

თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულებით სს „სილქნეტს“ უნდა გადაუხადოს, ჯამში, 6 720 877.42 ლარი, საიდანაც წინასწარ (ავანსად) გადარიცხულია უკვე 6 480 877.42 ლარი“.

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების დაკავება მინისტრ ირაკლი ალასანიას საქართველოში არყოფნისას მოხდა. დაბრუნებისთანავე ის სამინისტროს თანამშრომლების თავდებში გამოშვებას ითხოვდა, ამ მოთხოვნით, პროკურატურას რამდენიმე პარლამენტარმაც მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. 8-თვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ სამხედრო ოფიცრები თავდებით მაინც გაათავისუფლეს, თუმცა სასამართლო პროცესი მაინც მიმდინარეობს და ჯერ კიდევ გაურკვეველია, ცნობენ თუ არა უდანაშაულოდ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს, რომლებიც უკვე თანამდებობებზე დაბრუნდნენ.

თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ადამიანებს მინისტრმა ასეთი პასუხი გასცა: „თავდაცვის სამინისტროს და პირადად მე, თავდაცვის მინისტრს, ქვეყნის, მისი ინსტიტუტების ფუნქციონირება მხოლოდ კანონის უზენაესობის პირობებში წარმოგვიდგენია და კანონის უზენაესობის ერთგული ვრჩებით. ამავე პრინციპის ერთგულია ქვეყნის მთელი ხელისუფლება.

ახლა — საქმეზე.

1. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები არასოდეს ყოფილან გათავისუფლებულნი.

2. გემახსოვრებათ, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩემი წინამორბედის ბრძანებით, სწორედ პატიმრობის გამო მათ ავტომატურად შეუჩერდათ უფლებამოსილება.

3. ასევე გემახსოვრებათ, სასამართლომ ამ ადამიანების აღმკვეთი ღონისძიება შეცვალა და პატიმრობა შეწყდა. ეს კი ნიშნავს, რომ საფუძველი — ზევით ნახსენები აქტი, აღარ არსებობდა.

4. ჩვენ სასამართლო გადაწყვეტილებისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად მათთვის შეჩერებული უფლებამოსილება აღვადგინეთ.

5. ვინმეს დამნაშავეობა ან უდანაშაულობა თავდაცვის სამინისტროს განსასჯელი არ არის. ამას სასამართლო დაადგენს, ჩვენ კი კვლავაც კანონის უზენაესობის სამსახურში ვიქნებით.

თუ კიდევ რამეა გაუგებარი, მზად ვარ, კანონის მუხლებიც მივუთითო, აქ არ ჩამოვწერე, ისედაც მარტივი და ლოგიკური მეჩვენება“.

ხელისუფლებიდან თავდაცვის მინისტრს პასუხი მხოლოდ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გასცა, რომელმაც, როგორც ჩანს, ხიდაშელის ეს გადაწყვეტილება პროკურატურის იგნორირებად ჩათვალა.

„თუ კი თავდაცვის მინისტრი ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტროში არსებობს პრაქტიკა, რომელიც თითქოსდა შეიძლება კანონთან არ იყოს შესაბამისობაში, ძალიან შორს წასულა მისი ფიქრები.

მინისტრის გადაწყვეტილებით შეიძლება თავდებობით გამოშვებული ადამიანი აღდგეს ან არ აღდგეს თანამდებობაზე. ასეა იუსტიციის სამინისტროშიც, მაქვს ორი გზა. ორი გზა ჰქონდა მასაც. მე მას გადაწყვეტილებას არც ვუწუნებ, არც ვუწონებ, ეს არ არის ჩემი საქმე, მე მივდივარ ხოლმე მეორე გზით.

არ მომწონს, არ არის ასეთი ჩემი მმართველობის სტილი. როდესაც ჩემს თანამშრომელზე არსებობს ეჭვები, მირჩევნია, ეს თანამშრომელი შინ დაელოდოს განაჩენს“, — განაცხადა წულუკიანმა.

**შევეცადეთ, სამხედრო ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან ერთად გაგვერკვია, როგორი იყო თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება — ჰუმანური, პოლიტიკური თუ, უბრალოდ, თავხედური?**

## «თინა ხიდაშელი ამერიკის ხელდასმულია და, საერთოდაც, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს არ ეკუთვნის, ეს არის სუროგატული სახელმწიფო სახელმწიფოში»



**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:**

**— როგორი იყო თქვენი რეაქცია თინა ხიდაშელის გადაწყვეტილებაზე, როცა თავდაცვის სამინისტროს დანაშაულში ეჭვმიტანილი თანამშრომლები თანამდებობებზე დააბრუნა?**

— თუ თინა ხიდაშელს განვიხილავთ, როგორც „დიდად ჰუმანურ“ ადამიანს, მაშინ მისი გადაწყვეტილება, შესაძლოა, დადებითად შევაფასოთ...

**თინა ხიდაშელი იურისტია და კანონები კარგად იცის, ალბათ, ახსნაც აქვს, რატომ დააბრუნა სამინისტროში ეს ადამიანები, მაგრამ ვფიქრობ, რომ თავდაცვის მინისტრი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. თუ მას სურდა სამართლიანობის აღდგენა, მაშინ „მუხროვანის საქმეზე“ დაკავებული ოფიცრებიც დაებრუნებინა, მან ხომ ძალიან კარგად იცის, რომ თითოეული მათგანი სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლია და სამსახურებიდან უკანონოდ გაათავისუფლეს. ამ ადამიანების ბედი დღემდე ჰაერშია ჩამოკიდებული, არადა, ყველანი საჭირონი არიან, მათი გამოცდილება ქვეყანასა და თავდაცვის სამინისტროს ძალიან სჭირდება. თუ ხიდაშელს სამართლიანობის აღდგენა სურდა, სწორედ აქედან უნდა დაეწყო და ასეთ შემთხვევაში, ვიტყოდით, რომ ლოგიკა არსებობს და ახსნასაც მოვუძებნიდით „კაბელების საქმეზე“ დაკავებულთა დაბრუნებას თანამდებობებზე.**

**— თინა ხიდაშელმა ირაკლი ალასანიას ხალხი დააბრუნა სამინისტროში, საზოგადოება აქცენტს სწორედ ამაზე აკეთებს.**

— „კაბელების საქმეზე“ ბევრი კითხვა არსებობს. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც დაკავებულები იყვნენ, ოფიცრები არიან, სამხედროები და მათი ვინმესთან გაიგივება არ შეიძლება. ისინი დავალებას ასრულებდნენ. **თანაც, „კაბელების საქმეზე“ დაპატიმრებულები იყვნენ არა სათავეში მყოფები, არამედ ის** ▶

მსოფლიო



## დონალდ ტრამპი აშშ-დან მიგრანტების განდევნის პირობას დებს

**პრეზიდენტობის კანდიდატი, მილიარდერი დონალდ ტრამპი მზადაა, შეერთებული შტატების პრეზიდენტის სავარძლის დაკავების შემთხვევაში, ქვეყნიდან ყველა არალეგალი მიგრანტი გაყაროს. ამის შესახებ მან ენ-ბი-სი-სთან ინტერვიუში განაცხადა.** ტრამპის აზრით, მიგრანტებმა აუცილებლად უნდა დატოვონ აშშ.

„ჩვენ დავიწყებთ მათთან მუშაობას. ჩვენ ან გვაქვს ქვეყანა, ან — არა“, — განაცხადა ტრამპმა. ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები 2016 წლის ნოემბერში გაიმართება.



# „თინა ხიდაშელმა ამ საქციელით ირაკლი ალასანიას პარტია წაახალისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკელები, ალასანია და „ნაციონალები“ პრეზიდენტთან ერთად ალიანსში გაერთიანდებიან. თინა ხიდაშელის ამ საქციელს თავხედობა ჰქვია. მან უარყო კოალიცია „ქართული ოცნება“ და კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯი თავხედურად გადადგა“.

ხიდაშელის გამბიტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „თინა ხიდაშელმა ალასანიას საქმე გააკეთა. თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა დანაშაული მართლაც ჩაიდინეს, ხელშეკრულება მართლაც გააფორმეს იმ კომპანიასთან, რომელმაც შემდეგ „ნაციონალების“ 2014 წლის ნოემბრის აქცია დააფინანსა. თინა ხიდაშელს, ვიდრე საქმე ძიებაშია, ამ ადამიანების სამინისტროში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა“

**◀ ადამიანები, რომლებიც ბრძანებას ასრულებდნენ. დღემდე არ არის გარკვეული, გადაწყვეტილება ვინ მიიღო და ტენდერში კონკრეტულ ფირმას ვინ გაამარჯვებინა.** ეს საკითხები დღემდე ღიად არის დარჩენილი. **კორუფციის სათავე მაღალ ეშელონებში უნდა ეძებო. არასწორი იყო ქვედა რგოლის დაპატიმრება და დადანაშაულება.** მინდია ჯანელიძე მოვიდა და სამინისტროს გაწმენდა გადაწყვიტა.

**სამინისტროში დანაშაული ნამდვილად მოხდა, თუნდაც ის, რომ გრიფი „საიდუმლო“ დაადეს მასალებს, რომლებიც დასამალი არ იყო, უკვე აჩენს კითხვის ნიშნებს.**

**— ალასანია ამბობდა, რომ თავდაცვის სამინისტროს ეს თანამშრომლები ივანიშვილის პირადი პატიმრები არიან.**

— ალასანია მართალი არ იყო, როცა ამას ამბოდა, მას სურდა, პროცესი პოლიტიკურ ჭრილში გადაეტანა. მე ვიტყოდი, რომ დაკავებული ოფიცრები მინდია ჯანელიძის პატიმრები და მძევლები უფრო იყვნენ, რადგან სწორედ მისი მინისტრობის პერიოდში დააპატიმრეს ეს ადამიანები.

ვიმეორებ: **თუ თინა ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროში არ დააბრუნებს იმ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის პერიოდში მართლაც რეპრესირებულები იყვნენ, მაშინ ვიტყვი, რომ თავდაცვის მინისტრი ორმაგი სტანდარტით მოქმედებს.**

**— „კაბელების საქმე“ ძალიან ხმაურიანი იყო, დიდი ვაჟკაცობა სჭირდებოდა იმ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც თავდაცვის მინისტრმა მიიღო, ის ფაქტობრივად, მთავრობის წინააღმდეგ წავიდა...**

— იცით, არ მომისმენია პრემიერ ღარიბაშვილის განცხადება ამ საკითხზე. ასე რომ, შესაძლოა, ეს შეთანხმებულიც იყო. თანაც, პრემიერიცა და თავცდაცვის მინისტრიც სულ იმას გაიძახიან, რომ ერთი გუნდის წევრები არიან. პრემიერი უკმაყოფილო რომ იყოს, აუცილებლად იტყოდა, მას ხომ ასე სჩვევია, არაფერს მალავს. ჩვენ ვხედავთ, როგორ უპირისპირდება ის პრეზიდენტს და არ მგონია, თინა ხიდაშელი დაენდო.

ერთადერთი, რაც მოვისმინეთ, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადება იყო, რომელიც რომელ პოლიტიკურ გუნდს წარმოადგენს, პირადად ჩემთვის, გაურკვეველია.

**— როგორც ჩანს, ირაკლი ალასანია მართალი იყო, როცა ამბობდა, ჩემი თანამშრომლები უდანაშაულონი არიანო.**

— ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან გარკვეული არაფერია. **„კაბელების საქმეზე“ სასამართლო პროცესები 3 სექტემბერს იწყება... ამის შედეგ გავიგებთ, თინა ხიდაშელის გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო თუ ჰუმანური.**



**ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი, გენერალი:**

— სწორად მიგაჩნიათ თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილება „კაბელების საქმეზე“ დაპატიმრებული თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების თანამდებობებზე დაბრუნების შესახებ?

**— თუ ხიდაშელმა ამ საქციელით სამართლიანობის აღდგენა გადაწყვიტა, მაშინ ეს საქმე უნდა დაეწყო იმ 300 ოფიცრის დაბრუნებით, რომლებიც დავით კეზერაშვილმა და ბაჩანა ახალაიამ ერთ ღამეში გაათავისუფლეს.** სამ წელზე მეტი გავიდა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მეტად საჭირო ადამიანებმა სამართალს ვერ მიაღწიეს.

**თინა ხიდაშელმა ამ საქციელით ყველა უარყო და ალასანიას საქმე გააკეთა.**

**თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა დანაშაული მართლაც ჩაიდინეს, ხელშეკრულება მართლაც გააფორმეს იმ კომპანიასთან, რომელმაც შემდეგ „ნაციონალების“ 2014 წლის ნოემბრის აქცია დააფინანსა. თინა ხიდაშელს, ვიდრე საქმე ძიებაშია, ამ ადამიანების სამინისტროში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა.**

თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალჩინოსანი საპატიმროდან თავდებით გამოუშვეს, სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარებს და არავინ იცის, რით დასრულდება.

**— ხიდაშელმა ახსნა, რატომ დააბრუნა ისინი სამსახურში და კანონიც მოიშველია.**

— სხვათა შორის, თინა ხიდაშელის განცხადების შემდეგ თეა წულუკიანმა კანონებით ისაუბრა და განმარტა, რომ თავდაცვის მინისტრს ამის უფლება არ ჰქონდა.

მოდი, პირდაპირ ვთქვათ: **თინა ხიდაშელმა ამ საქციელით ირაკლი ალასანიას პარტია წაახალისა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკელები, ალასანია და „ნაციონალები“ პრეზიდენტთან ერთად ალიანსში გაერთიანდებიან.**

**თინა ხიდაშელის ამ საქციელს თავხედობა ქვია. მან უარყო კოალიცია „ქართული ოცნება“ და კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯი თავხედურად გადადგა.**

ის კანონები, რომლებიც მან მოიშველია, იმ 300 ოფიცერზეც ვრცელდება, მაგრამ ეს არ აინტერესებს, რადგან ამ ადამიანების დაბრუნებით ალასანიასა და მისი პარტიის წევრებს ვერ წაახალისებს.

**სოსო მანჯავიძე, თბილისის საკრებულოს წევრი:**

**— რატომ დააბრუნა თინა ხიდაშელმა თავდაცვის სამინისტროში ფინანსურ დანაშაულში ეჭვმიტანილი მაღალჩინოსნები?**

— მართალია, თავდაცვის მინისტრმა იურიდიული ახსნა



მოუძებნა „კაბელების საქმეზე“ დაპატიმრებულთა სამსახურში დაბუნებას, მაგრამ ახლა იურიდიულ ნიუანსებზე ლაპარაკი არც ღირს, რადგან **ანტისახელმწიფოებივ აზროვნებასთან გვაქვს საქმე, რომლითაც რესპუბლიკელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ, ეს მათი სახეა. ისინი არ განიხილავენ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს.**

**როგორ შეიძლება, თავდაცვის სამინისტროში მაღალ პოსტებზე დააბრუნო ადამიანები, რომლებიც ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მიჩნეულნი არიან ეჭვმიტანილებად? მათთვის ბრალდება ჯერ არ მოუხსნიათ.**

„კაბელების საქმეზე“ ბრალდებული ადამიანების უდანაშაულობის პრეზუმფციას არ ვარღვევ, მაგრამ, თუ ხიდაშელს მათი უფლებების დაცვა სურდა, მაშინ სახლში დაეტოვებინა და, თუ ბრალი მოეხსნებოდათ, ჯერ კომპენსაცია მიეცათ და შემდეგ დაებრუნებინა სამსახურში.

**დაუშვებელია, ქვეყანაში, რომელიც ომის მდგომარეობაშია, თავდაცვის სამინისტროში მაღალი ჩინი ჰქონდეთ ბრალდებულებს. ამასთანავე, ეს ადამიანები განიხილებიან იმ პოლიტიკური გუნდის წევრებად, რომელიც ოპოზიციაშია ხელისუფლებასთან. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ თინა ხიდაშელს წარმოდგენა არ აქვს, რა არის სახელმწიფო.**

**თინა ხიდაშელი არის „ტროას ცხენი“ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საზოგადოება სექტემბრიდან კიდევ ბევრ სიურპრიზს იხილავს რესპუბლიკური პარტიისგან.**

**— რატომ აძლევს თინა ხიდაშელი თავს ამდენის უფლებას?**

**— თინა ხიდაშელი ამერიკის ხელდასმულია და, საერთოდაც, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს არ ეკუთვნის, ეს არის სუროგატული სახელმწიფო სახელმწიფოში.**

**— ხიდაშელის ეს გადაწყვეტილება თავხედური იყო? მან ხელისუფლებას გადააბიჯა?**

— ცხადია, გადააბიჯა. მან ამით აჩვენა, რომ აბსოლუტურად დამოუკიდებელია სამთავრობო გუნდისგან. თუმცა ხიდაშელი თავიდანვე ამბობდა, რომ გადახედავდა „კაბელების საქმეს“ და გაერკვეოდა ყველაფერში. ცხადი იყო, მან წინასწარ მოგვაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რაც ახლა გააკეთა. **აშკარაა, ყველაფერი ამერიკის საელჩოსთან შეთახმებით მოხდა, ყველამ ვიცით, რომ თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრი ამერიკის ელჩის დანიშნულია.**

**— რა მოხდება სექტემბერში?**

— **სექტემბერში აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საინფორმაციო შეტევა დაიწყება. გამოქვეყნდება კომპრომატები, რომელთა მიზანიც იქნება მნიშვნელოვან თანამდებობებზე კადრების შეცვლა და დაკომპლექტება ისეთივე ორიენტაციის პოლიტიკოსებით, როგორც თინა ხიდაშელია.**

**— კომპრომატებს ვინ გამოაქვეყნებს, „ნაციონალები“?**

— ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც საინფორმაციო ტექნოლოგიებით იმართება ქვეყნები და განსაკუთრებით — საქართველო.

სექტემბრის მეორე დეკადაში საინტერესო მოვლენების მომსწრენი გავხდებით და, სამწუხაროა, რომ მათ ხელისუფლება ძალიან მოუმზადებელი ხვდება.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

## «საზოგადოება სექტემბრიდან კიდევ ბევრ სიურპრიზს იხილავს რესპუბლიკური პარტიისგან... საინტერესო მოვლენების მომსწრენი გავხდებით და, სამწუხაროა, რომ მათ ხელისუფლება ძალიან მოუმზადებელი ხვდება»



## «თუ შეწყალების კომისიის რეფორმირება არ მოხდა, ციხეებში ბუნტი დაიწყება»

### არასამთავრობო ორგანიზაციები შეწყალების კომისიის რეფორმირებას მოითხოვენ

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ და „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ლექსო კობაიძემ შეწყალების კომისიის რეფორმირების შესახებ ერთობლივი ბრიფინგი მოაწყვეს და განაცხადეს:**

„შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებები საზოგადოების ვნებათაღელვას და უკმაყოფილებას იწვევს. პრეზიდენტის დაუსაბუთებელი, უარგუმენტო და ხმაურიანი შეწყალებები კომისიის წევრებშიც კი იწვევეს გაუგებრობას. ვინც მართლა შეწყალების ღირსია, წლებია, ციხეში და ხასიათდება დადებითად, მათ განცხადებებს არ იხილავენ; ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები, რომლებიც კრიმინალური მენტალიტეტის მქონენი არიან და სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც არ ხასიათდებიან დადებითად, პრეზიდენტისგან ექსკლუზიურ შეწყალებას იღებენ. უამრავ ქვეყანაში არსებობს მკაცრი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ხდება შეწყალება და აღნიშნული საზოგადოებისგან სრული ნდობით სარგებლობს. თავად კომისიის წევრებიც საკმაოდ მკაცრ ფილტრს განიცდიან, ვიდრე კომისიაში მოხვდებიან და შესაწყალებელი პირიც გადის გასაუბრებას კომისიასთან, რათა კომისიის წევრებს შესაბამისი წარმოდგენა შეექმნას მათზე. თუკი შეწყალების კომისიის რეფორმირება არ მოხდა, ციხეებში ბუნტი დაიწყება“, — განაცხადა „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მსოფლიო





## ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს ემუქრება

**იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ჩრდილოეთ კორეის საზღვრებთან საერთაშორისო სამხედრო წვრთნებს დაიწყებს, აზიური სახელმწიფო საპასუხო ქმედებით იმუქრება.**

„ჩრდილოეთ კორეის არმია და ხალხი შეერთებული შტატების ბირთვულ იარაღს თოფებით აღარ შეეწინააღმდეგებიან. არა, ისინი დაუმარცხებლები არიან და აღჭურვილი არიან თავდასხმითი და თავდაცვითი საშუალებებით, რომლებიც მსოფლიოს ჯერ არ უნახავს“, – განაცხადა კორეის თავდაცვის ეროვნული კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენლელმა.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ინტერვიუ

**„ბელარუსის პრეზიდენტის — ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტი საქართველოში რუსეთთან ურთიერთობის უმწვავესი პრობლემის მოგვარებასთან იყო დაკავშირებული. კაცმა საქვეყნოდ განაცხადა: ჩამოვედი თქვენი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და კონფლიქტური საკითხების მოსაგვარებლადო და იქვე, დასძინა — მოსკოვის გავლით ჩამოვედიო“.**

ვაჟა ხაჭაპურიძე:

# ჩვენი ხელისუფლების კურატორებს ამერიკიდან და ევროკავშირიდან არ სურთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი, ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილე ვაჟა ხაჭაპურიძე.**



**— ბატონო ვაჟა, საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება თქვენი მოსაზრებები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე...**

— შევეცდები, მოკლედ და გასაგებად გავაანალიზო ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას. **ვისაუბრებ არა მხოლოდ რუსეთზე, არამედ შევეხები ჩვენს ურთიერთობებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, რადგან საქართველოს სახელმწიფოს ძლიერება და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარება მხოლოდ ამ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მეგობრული კავშირების აღდგენითაა შესაძლებელი.** გავიხსენოთ, რომ საბჭოთა პერიოდში საქართველოს პრობლემები გვარდებოდა მოკავშირე ქვეყნების მეშვეობით. იმჟამინდელი ეკონომიკური კავშირები უზრუნველყოფდა ყველა რესპუბლიკის გეგმა-ვალდებულების შესრულებას და თავიდან იცილებდა სირთულეებს. ამ საკითხზე არაერთხელ მისაუბრია და კიდევ გავიმეორებ: **თუ დროულად არ დავბრუნდებით დსთ-ში, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება.** იმ სირთულეების მოსაგვარებლად, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას, არ გვაქვს სათანადო რესურსი და, რომც გვქონდეს, არ გვაქვს წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზარი.

**— ალბათ, კონკურენციის საკითხებიც არის გასათვალისწინებელი?**

— რა თქმა უნდა! შევძლებთ კი მოწინავე ქვეყნებთან კონკურენციას? ჩვენი უხარისხო საქონელი ჩვენვე არ მოგვწონს და სხვას როგორღა მოვაწონოთ ან რით დავაინტერესოთ?!

**— გამოდის, უხარისხო საქონლით ევროკავშირში არაფერი გვესაქმება?**

— **არ მესმის, რატომ გადავეკიდეთ ამ ევროკავშირს, რომელიც თავზე ემხობა ევროპელებს?!** შეხედეთ, რა დღეშია საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი. აღარაფერს ვამბობ ბულგარეთზე, რუმინეთზე, ლიტვა-ლატვია-ესტონეთზე. მაგ კავშირში მხოლოდ გერმანია ხეირობს; თითქმის ახდა ჰიტლერის ოცნება — გერმანია ერთი გასროლის გარეშე კონტინენტური ევროპის ბატონ-პატრონი გახდა. ინგლისიღა დარჩა „შესასანსლად“. აქედან გამომდინარე, ვიაროთ იმ გზით, რომლითაც ქვეყანა შენდებოდა, მოსახლეობა კი კმაყოფილი იყო.

**— და თუ მაგ გზას არ დავუბრუნდებით?**

— არ დავუბრუნდებით და არც ის ფაბრიკა-ქარხნებიც დაგვიბრუნდება, არ იქნება ისეთი წარმატებული სოფლის მეურნეობა, როგორიც იყო გასული საუკუნის 70-80 წლებში. საკავშირო სტატისტიკის მონაცემებით, მაშინდელი საქართველოს წლიური შემოსავალი 85 მილიარდ მანეთს შეადგენდა. ქვეყანა ყვაოდა, სიტყვა „ღატაკს“ ან „ღარიბს“ საუბრისას არ ვიყენებდით.

**რას მოითხოვს დასავლეთი ჩვენგან? — ტაქსისტს, შვეიცარს (თანაც ჩოხაში გამოწყობილს), ოფიციანტსა და მეძავს. ამ «გეგმას» კი ხელისუფლება წარმატებით ასრულებს...**

**— რა გზით აპირებთ რუსეთთან და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ურთიერთობის მოგვარებას?**

— თქვენ გზის გამოყენება მითხარით, თორემ გზა მრავალია. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: **ბელარუსის პრეზიდენტის — ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტი საქართველოში რუსეთთან ურთიერთობის უმწვავესი პრობლემის მოგვარებასთან იყო დაკავშირებული. კაცმა საქვეყნოდ განაცხადა: ჩამოვედი თქვენი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და კონფლიქტური საკითხების მოსაგვარებლადო და იქვე დასძინა — მოსკოვის გავლით ჩამოვედიო!** მეტი რაღა გინდა, შე, დალოცვილო?! კაცი ერთი ხელის მოსმით ყველა პრობლემას გიგვარებდა. აქეთ კალთა რომ ჩამოგვეხია მისთვის, იქით გვეხვეწებოდა. რა იყო ჩვენი მხრიდან საჭირო? — ამ მომენტის გამოყენება. რა ვქენით? — უარით გავუშვით... რატომ? — იმიტომ, რომ **ჩვენი ხელისუფლების კურატორებს ამერიკიდან და ევროკავშირიდან არ სურთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეკონომიკის აღორძინება. რას მოითხოვს დასავლეთი ჩვენგან? — ტაქსისტს, შვეიცარს (თანაც ჩოხაში გამოწყობილს), ოფიციანტსა და მეძავს. ამ „გეგმას“ კი ხელისუფლება წარმატებით ასრულებს...** საბჭოთა კავშირის პერიოდში მინსკსა და თბილისს შორის მეგობრობის ხელშეკრულება იყო დადებული. ამით ორივე მხარემ საგრძნობლად გაიუმჯობესა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, იხეირა კულტურამ და მეცნიერებამ. ამჟამადაც იგივე რომ გაგვემეორებინა, ჩვენი ქვეყანა ადვილად შეძლებდა რიგი პრობლემის მოგვარებას. **ჩვენი მთავრობის მხრიდან ალექსანდრე ლუკაშენკოს მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ, ცოტა არ იყოს, მწარედ ჩამაფიქრა. პირადად მქონდა საუბარი ბევრ ცნობილ პიროვნებასთან და ისინი ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ბატონ ლუკაშენკოს შემოთავაზებას დახმარებაზე.** მათთან შეთანხმებით ვეახლე „ქართული ოცნების“ ოფისს ერეკლე მეფის მოედანზე და შევხვდი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ზოგიერთ პიროვნებას. გავაცანი მათ ჩემი მისვლის მიზეზი და შევთავაზე, ალექსანდრე ლუკაშენკოს წინადადებებიდან გამომდინარე, ქართულ მხარეს შეგვექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ბელარუსის პრეზიდენტთან ერთად იმუშავებდა მთელი რიგი მწვავე საკითხების მოსაგვარებლად. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ვუთხარი ჩემსა და ლუკაშენკოს შორის მეგობრულ დამოკიდებულებაზეც; ვთხოვე, მოეცათ ჩემთვის საშუალება, ეს პროცესები ჩემ მიერ წარდგენილ გუნდს წარემართა. **„ქართული ოცნების“ ცნობილი სახეები ჩემი წინადადებით დაინტერესდნენ და დიდად მოიწონეს. მითხრეს, ხვალვე გავიტანთ პოლიტსაბჭოზე დასამტკიცებლადო. მესამე დღეს სამნი — ნინო კვესაძე, რომან კობახიძე და მე მივედით „ქართული ოცნების“ შტაბ-ბინაში იმ იმედით, რომ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. იქიდან უარით გამოგვისტუმრეს... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენს ხელისუფლებას ხელს აძლევს საქართველოს ასეთი სავალალო მდგომარეობა.**

**— ბატონო ვაჟა, როგორც ვიცი, ცხინვალში დიდი ავტორიტეტი გაქვთ და თქვენთან ხშირად ჩამოდიოდნენ ცხინვალელი მაღალჩინოსნები. ახლა თუ გრძელდება ეს, ასე ვთქვათ, ტრადიცია?**

— რასაკვირველია. ცხინვალში უამრავი მეგობარი მყავს და არამხოლოდ პოლიტიკოსთა შორის. უბრალო ადამიანებიც მსტუმრობენ. ვეხმარები, რითაც შემიძლია. რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა ერთი მაღალჩინოსანი შვილთან ერთად, რომელსაც ოპერაცია სჭირდებოდა. მივედი „ქართულ ოცნებაში“ **თედო ნინიძესთან**, ავუხსენი მდგომარეობა. გულთან ახლოს მიიტანა, დაურეკა ჯანდაცვის მინისტრ **დავით სერგეენკოს**, რომელმაც, ასევე, გულისხმიერება გამოიჩინა. ერთი სიტყვით, ყველაფერი რომ კარგად დასრულდა, სტუმარმა მთხოვა, წამეყვანა რეინტეგრაციის სამინისტროში მადლობის სათქმელად და მინისტრთან დასალაპარაკებლად. **მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კი სამარცხვინოდ დაგვემალა.** თქვენი გაზეთის ფურცლებიდან **ვეკითხები ამ მართლაც არაფრისგამკეთებელ, მოლაყბე „ჩრჩილს“ — პაატა ზაქარეიშვილს: რისთვის გიხდიან ამხელა ხელფასს? რომ ამბობ, ჩემი სამინისტრო „შერიგების“ სამინისტროაო, ესაა შერიგება?! თვითონ უნდა დაგეპატიჟებინა მაგ კაცი და დაინტერესებულიყავი, რა მდგომარეობაა ცხინვალში, რას ფიქრობს იქაური ხალხი შერიგებაზე, მაგრამ რა უნდა მოსთხოვო ამერიკის სახდეპარტამენტის ოფიციალურ მოჯამაგირეს, რომელსაც პატრონი იმიტომ უხდის ფულს, რომ საქართველოში ოსებს, აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლი და მტრობა გაღრმავდეს?!**

არა, არ ჰყავს საქართველოს პატრონი!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**«ვეკითხები ამ მართლაც არაფრისგამკეთებელ, მოლაყბე «ჩრჩილს» — პაატა ზაქარეიშვილს: რისთვის გიხდიან ამხელა ხელფასს? რომ ამბობ, ჩემი სამინისტრო «შერიგების» სამინისტროაო, ესაა შერიგება?! თვითონ უნდა დაგეპატიჟებინა მაგ კაცი და დაინტერესებულიყავი, რა მდგომარეობაა ცხინვალში, რას ფიქრობს იქაური ხალხი შერიგებაზე, მაგრამ რა უნდა მოსთხოვო ამერიკის სახდეპარტამენტის ოფიციალურ მოჯამაგირეს, რომელსაც პატრონი იმიტომ უხდის ფულს, რომ საქართველოში ოსებს, აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლი და მტრობა გაღრმავდეს?»**

მოკლედ

## შესაძლოა, რუსეთმა დსთ-ს ინტეგრირებული სავალუტო ბაზარი შექმნას

**რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს სარატიფიკაციოდ წარუდგინოს შეთანხმება, დსთ-ს ინტეგრირებული სავალუტო ბაზრის შექმნის თაობაზე.**

„შეთანხმების რატიფიცირება შესაძლებელს გახდის, შეიქმნას პირობები რეზიდენტი ბანკების კონვერსიულ ოპერაციებში თანაბარუფლებიანი და ურთიერთსასარგებლო მონაწილეობის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას; ასევე, დსთ-ს ფარგლებში საინტეგრაციო პროცესების გაღრმავებას“, — ნათქვამია ინფორმაციაში, რომელიც სააგენტო „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა. რუსეთის პრემიერმინისტრმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ შეთანხმების რატიფიცირება შესაძლებელს გახდის, გატარდეს უფრო შეთანხმებული სავალუტო პოლიტიკა, არ დაიხარჯოს სახსრები კურსის ცვლილებაზე ვალუტის გაყიდვის ან ყიდვისას.



„ხელისუფლების წარმომადგენლები პერიოდულად უნდა ხვდებოდნენ ვეტერანებს და მათ პრობლემებს ისმენდნენ. ჩვენი მთავრობის წევრებს ის ხომ კარგად ახსოვთ, დანამატები როგორ აიღონ, და ვეტერანების პრობლემები რატომ არ ახსოვთ?“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# გურამ ალავიძე: სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ვეტერანებს ყველა შეღავათი გააუქმეს

„სად — საქართველო და სად — ავღანეთი!
სად — ღვთისმშობლის წილხვედრი
საქართველო და ცხრა მთასა და ცხრა ზღვას
იქით გადაშლილი დაუმორჩილებელი ქვეყანა,
ფანატიზმის ბურჯი.
საქართველოს არაერთხელ ჰქონია შეხების
ცეცხლოვანი წერტილები ავღანეთთან და მათ
ისეთივე მძიმე ხსოვნა დაუტოვებიათ ერის
ცნობიერებაში, როგორც ქრისტეს ვნებას,
შაჰ-თამაზის შემოსევებს, სტიქიებს...
სად — საქართველო და სად — ავღანეთი!
და მაინც ჩვენს ბიჭებს მრავალჯერ
მიერეკებოდა ტლანქი ძალა იმ შორეულ
უდაბნოში — განა სანადიმოდ! ყვავ-ყორანთა
სისხლიან ნადიმზე!.. ჩვენ კი ისე
შევისისხლხორცეთ ქრისტიანული ცნება
„მოყვასის სიყვარულისა“, რომ საკუთარი
თავიც ხშირად შეგვიწირავს
გადამთიელისთვის“...

ნაწყვეტი წიგნიდან
„სადაურსა სად წაიყვან“



**გურამ ალავიძე** ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდს ხელმძღვანელობს. მის ორგანიზაციაში ომის უამრავი ვეტერანი მიდის — თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად აკითხავენ ფონდს. ყველაზე ხშირად რა პრობლემები აწუხებთ და როგორ ცხოვრობენ ომის ვეტერანები საქართველოში? — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ **გურამ ალავიძე** ესაუბრება.

— ვეტერანების პრობლემები სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას. ყოველწლიურად საქართველოში 400-მდე ვეტერანი კვდება: ზოგი — ბუნებრივი სიკვდილით, ზოგიც — სხვადასხვა დაავადებით. საქართველო არც ერთი გაჭირვების დროს არ მიგვიტოვებია და უცხოეთში არ გავქცეულვართ. ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით სამშობლოს სადარაჯოზე. ავღანეთის ვეტერანთა კავშირის ბატალიონი აფხაზეთშიც იბრძოდა — ჟიული შარტავასთან მყოფი 28 ჯარისკაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ავღანეთიდან დემობილიზაციის შემდეგ, საბჭოთა კავშირის პერიოდში, ვეტერანებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მათ ბევრი შეღავათი ჰქონდათ. **სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში კი ვეტერანებს, არათუ ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ის შეღავათებიც გააუქმეს, რომლებიც ჰქონდათ. ვითარება არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეცვლილა. 2005 წელს ვეტერანებისთვის შეღავათების გაუქმების საკითხს 147 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 48 დეპუტატმა თავი შეიკავა. მახსოვს, მხოლოდ ნაჭყებიამ იყვირა ხმამაღლა, — რას შვრებით, რას აკეთებთო, მაგრამ უშედეგოდ. დღეს ომის ვეტერანს არ აქვს შემოსავალი, არ იღებს ხელფასს, სოციალურ დახმარებას.**

კაცი, რომელსაც არ უნახავს ომი, ის სირთულეები, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ, და ჯარშიც არ არის ნამყოფი, ვერ აცნობიერებს და აღიქვამს იმ პრობლემებს, რრომლებიც ვეტერანებს აქვთ. **იმ ადამიანმა, რომელიც შრომის წიგნაკს პარლამენტში გახსნის, რა უნდა გააკეთოს ქვეყნისთვის?** წინა ხელისუფლება ძალიან ცუდად მოექცა ვეტერანებს და დღესაც იგივე გრძელდება. ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელს — ირაკლი შიხიაშვილს, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე გავუგზავნე მიმართვა, სადაც ვეტერანების პრობლემების დაუყოვნებლივ გადაჭრაზე მოვახსენე, შეგვპირდა, რომ ამ საკითხებზე იმუშავებდა.

ავღანეთის ომში ძალიან რთულ კლიმატურ თუ სოციალურ პირობებში 19 თვე გავატარე. აუტანელი პირობები იყო ქაბულში. ხან კარვებში გვეძინა და ხან — მანქანებში. ყოველდღიურად ჩვენი „სტუმრები“ იყვნენ გიურზები, მორიელები, კობრები. ამას გარდა, ვიბრძოდი სამაჩაბლოში, აფხაზეთში. ვეტერანების პრობლემების მოგვარებაში თავიდანვე ჩავერთე. დაარსების დღიდან ავღანეთის ომის ვეტერანთა კავშირის წევრი ვარ (რომლის თავმჯდომარეც გახლდათ ნოდარ გიორგაძე) და ამ ორგანიზაციასთან ერთად ბევრი ინიციატივა და პროექტი განვახორციელე. თბილისიდან ფსოუმდე ყველა ვეტერანის ოჯახში ვარ ნამყოფი. დღეს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის ხელმძღვანელი **ნუგზარ კახნიაური**, მართალია, ეხმარება ომის ვეტერანებს პრობლემების მოგვარებაში, მაგრამ მარტო ნუგზარი, მე და ერთეულები ვერაფერს გავხდებით, თუ ერთიანი გუნდი არ ჩამოყალიბდა. ჩემი ორგანიზაცია — „ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდი“ 1998 წლის მაისში დაარსდა. ჩვენთან აღრიცხვაზე არიან ავღანეთის, ვიეტნამის, ანგოლის, ეთიოპიის, სირიის, ლაოსის, ეგვიპტის, ჩეხოსლოვაკიის, ერაყისა და სხვა ომების ვეტერანები. ვეწევით საქველმოქმედო საქმიანობას, 17 საქველმოქმედო ღონისძიება გვაქვს ჩატარებული და ათასზე მეტ ვეტერანს დავეხმარეთ საკვები პროდუქტებითა და ტანსაცმლით, ვეტერანების შვილებს სასკოლო ნივთები გადავეცით. ამას გარდა, ვთანამშრომლობთ ფარმაცევტულ კომპანია „სალხინოსთან“, რომლის მიერ წარმოებული მედიკამენტები ბევრმა გაჭირვებულმა ვეტერანმა, ჩვენი ინიციატივითა და ბატონ როინ ნაჭყებიას კეთილი ნების წყალობით, სრულიად უსასყიდლოდ მიიღო. ჩვენს ორგანიზაციას ეხმარებიან ვეტერანები: დომენტი ფანჩულიძე და დავით ჭანტურია.

## «იმ ადამიანმა, რომელიც შრომის წიგნაკს პარლამენტში გახსნის, რა უნდა გააკეთოს ქვეყნისთვის?»

**ხელისუფლების წარმომადგენლები პერიოდულად უნდა ხვდებოდნენ ვეტერანებს და მათ პრობლემებს ისმენდნენ. ჩვენი მთავრობის წევრებს ის ხომ კარგად ახსოვთ, დანამატები როგორ აიღონ, და ვეტერანების პრობლემები რატომ არ ახსოვთ?** სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ბრიტანეთში, აშშ-ში, ძალიან მაღალი პენსიები აქვთ ვეტერანებს. რუსეთში ომის ვეტერანები 300-დან 1200 აშშ დოლარამდე ოდენობის პენსიას იღებენ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ისიც, რომ აქ კიდევ ერთ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე: ოჯახებს იმ ვეტერანებისა, რომლებიც აფხაზეთსა და აისაფის (ISAF) მისიაში დაიღუპნენ, სახელმწიფო ყოველთვიურად ათასლარიან დახმარებას აძლევს, მაგრამ საბჭოთა კავშირის პერიოდში ავღანეთის ომის მონაწილეებს — მხოლოდ 22 ლარს. არ შეიძლება, ვიღაც ათას ლარს იღებდეს და ვიღაც — 22 ლარს. ან დაღუპულის ოჯახს თუ ათასი ლარი ეძლევა, ვინც გადარჩა, 500 ლარი მაინც არ ეკუთვნის? აუცილებლად უნდა დაიღუპოს ადამიანი? სად არის აქ ლოგიკა?! მთავრობის განკარგულებით, ძალოვანი სტრუქტურებისა და ომის ვეტერანებს სახელმწიფომ დაუნიშნა პენსიები წოდების, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით და ამ კატეგორიაში მხოლოდ ოფიცრები მოხვდნენ. ამ სიაში არ მოხვდა ავღანეთისა და აფხაზეთის ომის ვეტერანების გარკვეული კატეგორია.

**— ქართველი ჯარისკაცები აისაფის მისიაში დღესაც მონაწილეობენ და საქართველოს ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს ავღანეთში გაგზავნილი. ბევრი ქართველი დაიღუპა, დასახიჩრდა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გამართლებულია ამხელა მსხვერპლი ჩვენი ქვეყნისთვის?**

— რა გითხრათ, ამით, ალბათ, რაღაც პრივილეგია, ხიბლი ან სარგებელი აქვს ჩვენს ქვეყანას, რაც ჩვენ არ ვიცით. კი, ბატონო, ყველგან ვიყოთ, კარგია, რომ სხვა ქვეყნებს ვეხმარებით, მაგრამ ჩვენს ქვეყანასაც ხომ უნდა დაცვა? ამ რუსეთთანაც, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოგვარდეს ურთიერთობა და ეს დაძაბულობა დასრულდეს? ვფიქრობ, სასურველია, სახალხო დიპლომატია გააქტიურდეს.

**— ახლახან 7 წელი შესრულდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან. შეიძლებოდა ამ ომის აცილება, როგორ ფიქრობთ?**

— სააკაშვილს იმხანად ისეთი რიტორიკა ჰქონდა და ისეთ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა, — დაუფარავად ამბობდა, ნატოსა და ევროპისკენ ვისწრაფვიო, — რომ რუსეთს ძალიან აღიზიანებდა და ვფიქრობ, ამ ომს თავიდან ვერ ავიცილებდით.

**— თუმცა სოციალურ ქსელში არიან ისეთებიც, რომლებიც ახალ ომს ითხოვენ...**

— არ ვიცი, ახლა ომი ვის შეიძლება უნდოდეს. შეიძლება გარკვეულ გარე ძალებს სურდეთ ომი, მაგალითად, თურქეთს, რადგან ქრისტიანული სახელმწიფოების დასუსტება ხელს აძლევს. არიან ქვეყნები, რომლებსაც არც საქართველოს კარგად ყოფნა აძლევთ ხელს და არც რუსეთის, მაგრამ ჩვენ ქრისტიანები ვართ და არ უნდა ვიომოთ. ძალიან ცუდია, რომ დღეს უკრაინა და რუსეთი — ორი ქრისტიანული სახელმწიფო — ებრძვის ერთმანეთს. ჩვენი ხსნა ევროპაშია და ამერიკაშიაო, რომ გვეუბნებიან, არ შეიძლება, რომ არ დამაძალონ? მაინც და მაინც აშშ და ევროპა უნდა იყოს ჩემი არჩევანი?! მე ვინც მინდა, ის უნდა ავირჩიო. ამერიკა შორსაა და რუსეთთან საზღვარი კი აქვე გვაქვს. ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს. **ჩემი აზრით, საქართველო ნეიტრალური ქვეყანა უნდა იყოს.** ევროპული სტანდარტები არ ჯდება ჩვენში. **როგორ შეიძლება ქალმა ქალზე იქორწინოს და კაცმა — კაცზე?! ასე ხომ ოჯახები არ შეიქმნება, ერი აღარ გამრავლდება.**

ან ამ საზღვარს რომ სწევენ რუსები, თავდაცვის სამინისტროდან ვინმემ „რაგატკა“ მაინც ესროლოს ან საგარეო საქმეთა სამინისტრომ რამე პოზიცია გამოხატოს. საზღვრისპირას მცხოვრები მოსახლეობაც ხომ ცოდოა? რისთვისაა მთავრობა, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინსიტროები? თუ პრობლემებს ვერ წყვეტ უნდა გადადგე, მე ასე ვიცი.

წინა ხელისუფლებამ 300 ათას უცხოელს რისთვის მიანიჭა მოქალაქეობა, რა დამსახურებისთვის? იმისთვის, რომ „ნაციონალების“ მხარდამჭერთა რაოდენობა გაზრდილიყო? ჩინელები, არაბები, თურქები შემოდიან, იღებენ მოქალაქეობას. კი, ბატონო, შემოვიდნენ როგორც ტურისტები, მაგრამ ასეულობით ჰექტარი მიწა შეიძლებოდა უცხოელებზე გაყიდულიყო? საბჭოთა კავშირის პერიოდში ეროვნული მთავრობა არ იყოო, რომ ამბობენ, გამოდის, ვასილ მჟავანაძის დროს ყველაზე ეროვნული მთავრობა ყოფილა — მიწები არ იყიდებოდა, ხალხის სოციალური მდგომარეობაც უკეთესი იყო, ცეკას პირველი მდივანი კი დაცვის გარეშე დადიოდა. დღეს კი ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ და საკუთარ პირობებს იუმჯობესებენ.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სკოლებში სამხედრო სწავლება გაურკვეველი მოტივით გააუქმეს. ჩვენმა ორგანიზაციამ დააყენა საკითხი სკოლებში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სწავლების თაობაზე. ერთი თვის წინათ გავუგზავნეთ წერილები საქართველოს თავდაცვისა და განათლების სამინისტროებს. ამით ომის ვეტერანებიც დასაქმდებიან და ორი კარგი საქმე ერთდროულად გაკეთდება. პირველადი სამედიცინო დახმარება ყველამ უნდა იცოდეს. აუცილებელია, სამოქალაქო თავდაცვითი შტაბები არსებობდეს. მოხდა სტიქია — წყალდიდობა, ვინ სად უნდა შეაფაროს თავი, არავინ იცის.

**— თბილისში ცოტა ხნის წინათ დატრიალებული სტიქიურ უბედურებასთან შეიძლებოდა გამკლავება ელემენტარული ცოდნით?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება. სკოლაში ელემენტარული სამხედრო სწავლება რომ არ გამევლო, ავღანეთში ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. პირდაპირ სკოლიდან ჯარში გაწვევას აზრი არ აქვს. ჯარი უფრო პროფესიონალებისგან უნდა შედგებოდეს. თუნდაც 2008 წელმა დაგვანახვა, რომ ქართული ჯარი ომისთვის მოუმზადებელი იყო.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეთრი სახლი ძალიან არის დაინტერესებული სხვა სახელმწიფოებში „დემოკრატიის დაცვით“, ის ყოველწლიურად, დამახინჯებული ინფორმაციით, 190-ზე მეტ ანგარიშს აქვეყნებს სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ვითარების შესახებ, თუმცა თვითონ აშშ-ში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ბევრი რამ რიგზე არ არის.**

# ამერიკული დემოკრატია — ცინიზმი და თვალთმაქცობა

## აშშ-ში ადამიანის უფლებების დარღვევების ჩამონათვალი

**აშშ ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელშიც რეგულარულად ირღვევა ადამიანის უფლებები, მაგრამ ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ. ამერიკელები საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ადამიანის უფლებებს ხშირად იყენებენ იმისათვის, რომ სხვა ქვეყნები მათ არარსებობაში დაადანაშაულონ, შემდეგ იქ შეიჭრან და ძალისმიერი მეთოდებით „დანერგონ“.**




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მორიგი ბრალდება წაუყენა ჩინეთს და განაცხადა, რომ ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების არარსებობის გამო, სექტემბერში ნიუ იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეის სესიაზე **სი ძინპინი** თბილ შეხვედრას არ უნდა ელოდოს.

ვაშინგტონი ჩინეთს თვითონ ამერიკელების მიერ გამოგონილი პრობლემების მოსაგვარებლად თავის მეთოდებს სთავაზობს. **თეთრი სახლი ძალიან არის დაინტერესებული სხვა სახელმწიფოებში „დემოკრატიის დაცვით“, ის ყოველწლიურად, დამახინჯებული ინფორმაციით, 190-ზე მეტ ანგარიშს აქვეყნებს სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ვითარების შესახებ, თუმცა თვითონ აშშ-ში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ბევრი რამ რიგზე არ არის.**

დიდი ხანია, აშშ ცდილობს, ჩინეთი წნეხში მოაქციოს და უკვე წლებია, ზემოქმედების ბერკეტად ადამიანის უფლებების დაცვას იყენებს. თავის მხრივ, ჩინელები უპასუხებენ თავიანთი ანგარიშებით, რომლებიც დატვირთულია ფაქტობრივი ინფორმაციით, თუმცა ეს ვერ აჩერებს ვაშინგტონს, რომელსაც მხარს უჭერს ევროკავშირი.

### აშშ-ში ადამიანის უფლებების დარღვევების ჩამონათვალი

*„ტოტალური თავისუფლების“ ქვეყნის მოქალაქეები ხშირად ხდებიან „ამერიკული დემოკრატიის“ მსხვერპლნი. პირველი, რაც შეიძლება აღინიშნოს, არის **პოლიციელების თავგასულობა.** ამერიკელი წესრიგის დამცველები ხშირად აჭარბებენ თავიანთ უფლებამოსილებას, ცემენ, კლავენ და უკანონოდ აპატიმრებენ ადამიანებს, რომლებიც ხშირად სრულიად უდანაშაულონი არიან.

***აშშ-ის ხელისუფლება მკაცრად ზღუდავს თავისუფლებას ინტერნეტში,** არადა, სხვა ქვეყნებისგან ინტერნეტმომხმარებლებისთვის სრულ თავისუფლებას მოითხოვს. და, თუ სახელმწიფო, რომელსაც ამ მოთხოვნას წაუყენებენ, შესრულებაზე უარს განაცხადებს, მას მყისვე აწებებენ მკაცრი ცენზურის მქონე ტოტალიტარული და პროპაგანდისტული რეჟიმის იარლიყს.

* მოქალაქეთა პირადი ცხოვრების უფლებების დარღვევები: **აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო, საერთაშორისო კონვენციების დარღვევით აწარმოებდა (და აწარმოებს) ტოტალურ თვალთვალს არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქეების მიმართ.** მხოლოდ ეს პუნქტიც კი საკმარისია, რომ ამერიკელები არა მხოლოდ ვამხილოთ ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევაში, არამედ ვაიძულოთ, პასუხისმგებლობა დაიკისრონ ამ დარღვევების გამო.

### აშშ-ის ბოროტმოქმედებები

ზოგჯერ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მკვლელობები და სხვა დანაშაულები ამერიკელებისთვის დასაშვების ჩარჩოებშია მოქცეული. სხვათა შორის, **აშშ-ში ყოველი მეხუთე ადამიანი დანაშაულის მსხვერპლი ხდება, ზოგჯერ — პოლიციელებისა, რომლებმაც წესრიგი უნდა დაიცვან, მაგრამ თვითონვე არღვევენ.**

ამ დამთრგუნველ სტატისტიკას თავისი ახსნა აქვს; აშშ მსოფლიოში პირველია ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობის მხრივ, რომლებიც მოქალაქეებს აქვთ შეძენილი. ეს კი დაძაბულობას ქმნის საზოგადოებაში.

**აშშ-ში ყოველი მეხუთე ადამიანი დანაშაულის მსხვერპლი ხდება, ზოგჯერ — პოლიციელებისა, რომლებმაც წესრიგი უნდა დაიცვან, მაგრამ თვითონვე არღვევენ**








### ადამიანის საერთაშორისო უფლებების დარღვევები

ამერიკელები „დემოკრატიის დამკვიდრების“ საბაბით სხვა ქვეყნებში იჭრებიან. ასე მოხდა ავღანეთში, ერაყში, სპარსეთის ყურეში ომის დროს, ვიეტნამში. **ერაყის კონფლიქტში (2003-2009) 285 ათასი ადამიანი დაიღუპა, მათგან ნახევარი — მშვიდობიანი მოქალაქე.** აღარაფერს ვამბობთ, იაპონიაში ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობაზე.

### წამება გუანტანამოში

ეს არის ციხე, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის წინათ გაითქვა სახელი, როგორც საშინელებათა ციხემ. ამ ჯოჯოხეთურ ადგილას ამწყვდევენ ადამიანებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ტერორიზმის ხელშეწყობაში ან მონაწილეობდნენ ტერორისტულ აქტში. უმრავლეს შემთხვევაში მათ წინააღმდეგ წაყენებული მტკიცებულებები სანდო არ არის და გუანტანამოში ბევრი ისეთი ადამიანი ხვდება, რომლებიც, ალბათ, დამნაშავე არ არიან. **გუანტანამოში მოხვედრილი ადამიანი შეიძლება, არ იყოს დამნაშავე, მაგრამ მას ისეთი სასტიკი მეთოდებით აწამებენ სასურველი ჩვენების მისაღებად, რომ ურჩევნია, სიცოცხლის ბოლომდე იყოს ამ ჯოჯოხეთში, ვიდრე ძალადობა ითმინოს.**

**სასურველი ინფორმაციის მისაღებად, ანუ აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შეიმუშავა „დაკითხვის“ ახალი მეთოდები: პოზები, რომლებიც სტრესს იწვევს, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, უძილობა და დახრჩობის იმიტაცია.**

ეს მხოლოდ ნაწილია ადამიანის უფლებებისა, რომლებსაც აშშ რეგულარულად არღვევს. ასეთი პათოლოგიების მქონე ქვეყანა კი საკუთარ თავს წარმოაჩენს დამცველად „ჭეშმარიტი დემოკრატიისა“, რომელიც სრულიად მსოფლიოში უნდა გაავრცელოს.

არადა, „ამერიკული დემოკრატია“ ცინიზმითა და თვალთმაქცობითაა გაჟღენთილი.

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**2 სექტემბერს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 70 წლისთავზე, განზრახული მაქვს, საზეიმოდ აღვნიშნოთ ძეგლის დადგმა და ამ ღონისძიებაზე მოვიწვიოთ ქართველი სტალინელები და ყველა მსურველი ჩვენი თანამემამულე. გვყოლება სტუმრები საერთაშორისო საზოგადოება „სტალინიდან“, რომელშიც 27 ქვეყანა არის გაერთიანებული და რომლის აღმასკომის წევრადაც წლეულს მეც ამირჩიეს.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის ძეგლს, როგორც ეროვნულ განძს, სვანეთი დაიცავს

**ფართო საზოგადოებრიობა ინფორმირებულია, რომ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ დამფუძნებელმა და უცვლელმა თავმჯდომარემ გრიგოლ ონიანმა ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშში, ონიანების საგვარეულო კარმიდამოში დადგა იოსებ სტალინის მონუმენტური ქანდაკება. ქანდაკების ავტორია ცნობილი ქართველი სკულპტორი ვალიკო თოფურიძე, რომელსაც ხელოვნების ამ უნიკალური ნაწარმოების შექმნისთვის სტალინური პრემია მიენიჭა. წლების განმავლობაში სტალინის ქანდაკება საქართველოს საზღვაო კარიბჭის, ქალაქ ფოთის ცენტრში იყო აღმართული; შემდეგ, როგორც ცნობილია, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ ინსპირირებულ ანტისტალინურ კამპანიას შეეწირა. ბატონი გრიგოლ ონიანი აზუსტებს:**

— ეს ძეგლი ერთი უზარმაზარი მთლიანი ლოდისგან გამოაქანდაკა ავტორმა. თავდაპირველად წონა 60 ტონას აღწევდა. დასრულებული მონუმენტის წონა კი 36 ტონამდეა.

1961 წელს სამხედროებმა მოახდინეს ამ მონუმეტის დემონტაჟი და ფოთის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე გადაიტანეს — მალთაყვის სამხედრო ბაზაზე, მაგრამ ვიღაცამ გასცა სამხედროები, — სტალინის ძეგლს ინახავენო, — და ისინიც იძულებულნი შეიქნენ, მიწაში ღრმად ჩაემარხათ.

**1992 წელს, როცა საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა და არც ბაზას ჰყავდა პატრონი, მეთაურმა მითხრა, სადაც ჰქონდათ ჩამარხული ძეგლი. დავუკავშირდი რომან გვენცაძეს და კიდევ რამდენიმე პატრიოტ ადამიანს. ჩავედით ფოთში, ვიმუშავეთ რამდენიმე საათის განმავლობაში და 6 მეტრის სიღრმიდან ამოვიღეთ ბელადის ქანდაკება. ეს იყო 1994 წელს.**

ფოთის ხელმძღვანელობას ვთხოვე, დაედგათ სტალინის სკულპტურა ქალაქის ცენტრში. უარი მითხრეს: პორტში უცხოეთის გემები შემოდის, საბაჟოა და ტერმინალებიო, ამბავს გაიტანენ, საქართველოში სტალინის ძეგლი აღადგინეს და ეს ჩვენთვის მომგებიანი არ იქნებაო. მოკლედ — ვერ გარისკეს.

იძულებული შევიქენი, თბილისში გადმომეტანა ძეგლი. დიდი წვალებით ჩამოვიტანე ყოფილ კიროვის სახელობის ქარხანაში. 1995 წლიდან იქ ინახებოდა. მინდოდა, ზაჰესის კაშხალთან დამედგა, იქ, სადაც თავის დროზე ლენინის ძეგლი იყო აღმართული. მოგეხსენებათ, ზაჰესი გოელროს გეგმით აგებული პირველი ჰიდროელექტროსადგური იყო.

მპირდებოდნენ, — არ იქნებაო ცუდი, მაგრამ ეს დაპირებაც გაცუდდა. შემდეგ „ნაციონალები“ მოვიდნენ ხელისუფლებაში და გორშიც კი აიღეს სტალინის ძეგლი, მე ვინ რას დამადგმევინებდა.

**2012 წელს „ოცნებამ“ რომ გაიმარჯვა, იმედი მომეცა, სიტუაცია შეიცვლებოდა: გორში სტალინის ძეგლს დააბრუნებენ და თოფურიძის ნაქანდაკარ უნიკალურ მონუმენტსაც მოვუძებნიდით შესაფერ ადგილს.**

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

სტალინის ძეგლი კი, რომელიც, როგორც გითხარით, ქარხნის ტერიტორიაზე ინახებოდა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ლამის ნაგავსაყრელად ქცეულ ადგილზე.

თქვენს მკითხველს ახსოვს, სტალინის ნათქვამი ალექსანდრა კოლონტაისთან საუბრისას, — ჩვენს საფლავებს ნაგავს მიაყრიანო... პირდაპირი მნიშვნელობით გამართლდა თითქოს...

ამევსო მოთმინების ფიალა, დავიღალე შეუსრულებელი დაპირებების მოსმენით და ამ ზაფხულს ჩემს სოფელში რომ ავედი, ამოვთხარე უზარმაზარი საძირკველი, ჩავასხი ბეტონი და გავამზადე კვარცხლბეკი მონუმენტისთვის.

ჩამოტანის თარიღი არ გამიხმაურებია, „არალეგალურად“ წამოვიღეთ...

**— იოსებ ჯუღაშვილმა რევოლუციური ბრძოლა საქართველოში იატაკქვეშეთიდან დაიწყო, არალეგალური მარქსისტული წრეებიდან. იოსებ სტალინის, მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო მოღვაწის ქანდაკება ფარულად, არალეგალურად გადააქვთ ადგილიდან ადგილზე მის სამშობლოში.**



# «როცა ხელისუფლება გათავისუფლდება ამერიკისა და ევროკავშირის ბრჭყალებისგან, მას შეეძლება, წაიღოს ეს მონუმენტი და დადგას მისთვის შესაფერ ადგილზე. მანამდე კი სვანეთი შეინახავს და უპატრონებს»

უცნაური პარალელია, თუმცა ძეგლებთან მებრძოლების ეპოქაში, რომელიც, ეტყობა, არ დასრულებულა, არაფერი უნდა გაგიკვირდეს.

— თავი დავიზღვიე ყოველგვარი მოულოდნელობისგან. 10 საათზე ისე გამოვიდა ჩვენი კოლონა, რომ არავისთვის არაფერი შემიტყობინებია. ვიარეთ მთელი ღამე და დილის 6 საათზე ჩავაღწიეთ დანიშნულების ადგილზე. მთელი სოფელი ამომიდგა მხარში, მომეხმარენ. კი გვქონდა ჩატანილი სპეციალური ტექნიკა, მაგრამ ხალხის თანადგომა მაინც სულ სხვაა.

დავდგით ძეგლი!

გავრეცხეთ, მოვაცილეთ ლაქები ქანდაკებას, მოვაწესრიგეთ.

**— ხელისუფლებისთვის დასახმარებლად, ხელის შესაწყობად არ მიგიმართავთ?**

— ხელისუფლებას რამდენიმეჯერ მივმართე სტალინის ძეგლის გორში დაბრუნების თაობაზე. პროტესტიც გამოვაცხადე — რუსეთის მოქალაქეობას მივიღებ, ჩემს სამართლიან მოთხოვნას თუ არ გაითვალისწინებთ-მეთქი. ვინ არის პასუხის გამცემი?! კი მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლება არ იქნებოდა წინააღმდეგი და გადადგამდა პრაქტიკულ ნაბიჯს ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად, მაგრამ **რა გინდა ქნა, როცა ამერიკის ხელში სტალინის ძეგლს კი არა, ჭიქას არ გვადგმევინებენ და კაცს კაცზე გვაქორწინებინებენ?!**

საუკუნეების განმავლობაში, ძნელბედობის ჟამს ეროვნული განძი სვანეთში აგვქონდა მტრის ხელყოფისგან დასაცავად და მეც გადავწყვიტე, ბელადის ძეგლის სვანეთში ამეტანა.

**— მიგაჩნიათ, რომ ეს ქანდაკება ეროვნული განძია?**

— რა თქმა უნდა! ეს გრიშა ონიანის საკუთრება არ არის, საქართველოს კუთვნილებაა, ქვაში ნაკვეთი მისი დიდების სიმბოლოა. **როცა ხელისუფლება გათავისუფლდება ამერიკისა და ევროკავშირის ბრჭყალებისგან, მას შეეძლება, წაიღოს ეს მონუმენტი და დადგას მისთვის შესაფერ ადგილზე. მანამდე კი სვანეთი შეინახავს და უპატრონებს.**

**— თქვენი ხარჯით გადაიტანეთ ეს ძეგლი სასაშში?**

— აბსოლუტურად! მინდა, გაუწყოთ, რომ **2 სექტემბერს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 70 წლისთავზე, განზრახული მაქვს, საზეიმოდ აღვნიშნოთ ძეგლის დადგმა და ამ ღონისძიებაზე მოვიწვიოთ ქართველი სტალინელები და ყველა მსურველი ჩვენი თანამემამულე. გვყოლება სტუმრები საერთაშორისო საზოგადოება „სტალინიდან“, რომელშიც 27 ქვეყანა არის გაერთიანებული და რომლის აღმასკომის წევრადაც წლეულს მეც ამირჩიეს.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



## ევროპელები დაიღალნენ აშშ-ის მითითებებით

**„ჩეხეთის, სლოვაკეთის, შვედეთისა და აშშ-ის მოქალაქეებიც კი თანაუგრძნობენ დონბასის მოსახლეობას, ევროპელები დაიღალნენ თავს მოხვეული კლიშეებითა და მითითებებით — ვინ უნდა უყვარდეთ და ვინ სძულდეთ“, — წერს ჩეხური გამოცემა Nova Republika.**

ჩეხურ გამოცემაში დაბეჭდილი სტატიის ავტორები ამტკიცებენ, რომ კითხვაზე — რატომ თანაუგრძობენ ევროპელები დონბასის სახალხო ლაშქარს, პასუხი არის — ალერგია ავტორიტარულ წესრიგზე, რომელიც „დემოკრატიული არჩევანის“ ნიღბით მალავს რეცეპტ-კლიშეს: დღევანდელი კონიუნქტურის მიხედვით, ვინ უნდა გიყვარდეს, ხვალ კი — ვინ უნდა გძულდეს. არადა, „ევროზონის რთული ინტეგრაციული არქიტექტურა ეწინააღმდეგება, იყოს აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების მოსამსახურე“, — წერს ჩეხური გამოცემა.



## დონალდ ტრამპი: არ მაღელვებს, გახდება თუ არა უკრაინა ნატოს წევრი

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი, მილიარდერი დონალდ ტრამპი ამბობს, რომ მისთვის სულერთია, გახდება თუ არა უკრაინა ნატოს წევრი.** „არ მაღელვებს ეს. შევა — კარგია, არ შევა — კარგია“, — განაცხადა ტელეკომპანია „ენ-ბი-სი-სთან“ ინტერვიუში ტრამპმა, რომელიც ცდილობს, გახდეს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

მოკლედ



## თბილისის ზოოპარკი სექტემბერში გაიხსნება

**თბილისის ზოოპარკის დირექტორის — ზურაბ გურიელიძის განცხადებით, ზოოპარკი მუშაობას მიმდინარე წლის სექტემბერში განაახლებს. როგორც გურიელიძემ განაცხადა, ტერიტორიის გადარჩენილი ნაწილის აღდგენისა და დასუფთავების სამუშაოები თითქმის დასრულებულია, იმუშავებს ის ატრაქციონებიც, რომლებიც არ დაზიანებულა ან რომელთა აღდგენაც მოხერხდა.**

რაც შეეხება ახალ ზოოპარკს, რომელიც თბილისის ზღვაზე უნდა გაშენდეს, როგორც გურიელიძის მოადგილემ დავით თაქთაქიშვილმა განაცხადა, უკვე შერჩეულია ტერიტორია და ამჟამად მიმდინარეობს კონცეფციაზე მუშაობა. მისივე თქმით, ახალი ზოოპარკი, რომლის მშენებლობაც 2-3 წელიწადს გაგრძელდება, 47 ჰექტარ ფართობს დაიკავებს. თბილისის ზოოპარკი 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შემდეგ დახურულია. სტიქიამ დააზიანა ზოოპარკის დიდი ტერიტორია, დაიხოცა ცხოველები.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იქ, სადაც ადრე ამერიკა ავიამზიდებსა და სტრატეგიულ ბომბდამშენებს იყენებდა, ახლა ანგლო-ამერიკელი იურისტები და გამოძიების ფედერალური ბიუროს „მფრინავი რაზმები“ მუშაობენ. სწორედ სასამართლო იმპერიალიზმი იქცა აშშ-ის, როგორც მსოფლიო პოლიციელის, ძირითად იარაღად.

# ევროპელები აშშ-ის «სასამართლო იმპერიალიზმის» წინააღმდეგ

**ბოლო წლებში აშშ სულ უფრო ხშირად იყენებს სხვა ქვეყნებზე ზეწოლის ახალ ინსტრუმენტს, რომელიც, როგორც ჩანს, მომდევნო ათწლეულებში საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს განსაზღვრავს. მისი სახელია „სასამართლო იმპერიალიზმი“ და გულისხმობს არა მხოლოდ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გლობალურ ფინანსურ იურისდიქციას, არამედ ასევე სისხლის სამართლისა და პოლიტიკურ სფეროებზე ამერიკული სამართლის გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით.**



ეს პრაქტიკა ახალი არ არის, მაგრამ ბოლო პერიოდში აშშ და მის კონტროლს დაქვემდებარებული სტრუქტურები გაცილებით აქტიურად იყენებენ იურიდიულ იარაღს. „სასამართლო იმპერიალიზმის“ პრობლემა პრინციპულად ახალ დონეზე ავიდა — ის სხვა ქვეყნების სახელმწიფო სუვერენიტეტს ემუქრება: ეს ურჩ სახელმწიფოებზე, კომპანიებსა თუ პირებზე ზეწოლის მეტისმეტად ეფექტიანი საშუალებაა.

**იქ, სადაც ადრე ამერიკა ავიამზიდებსა და სტრატეგიულ ბომბდამშენებს იყენებდა, ახლა ანგლო-ამერიკელი იურისტები და გამოძიების ფედერალური ბიუროს „მფრინავი რაზმები“ მუშაობენ. სწორედ სასამართლო იმპერიალიზმი იქცა აშშ-ის, როგორც მსოფლიო პოლიციელის, ძირითად იარაღად.** აშშ-ის ექსტრატერიტორიული სამართლის გამოყენების მაგალითები უხვადაა — ვიქტორ ბუტისა და კონსტანტინ იაროშენკოს მესამე ქვეყნების ტერიტორიიდან გატაცებით დაწყებული და ინდოეთში საინვესტიციო პროექტის გამოძიებასთან დაკავშირებით აშშ-ის მოთხოვნით ვენაში უკრაინელი ოლიგარქის — დიმიტრი ფირტაშის დაკავებით დამთავრებული. ამასთანავე, **აშშ უარს აცხადებს საერთაშორისო სასამართლოების უზენაესობის აღიარებაზე და იყენებს თავის შიგა კანონებს. მაგალითად, „ფიფას საქმით“ გამოძიების ფედერალური ბიურო დაკავებული.**

„სასამართლო იმპერიალიზმის“ პრობლემა ბოლო ხანს ევროპის საზოგადოების მხრიდან სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და ევროპას შორის ვაჭრობა-საინვესტიციო თანამშრომლობის ტრანსატლანტიკური შეთანხმების (TTIP) პერსპექტივაზე. უთანხმოებათა მთავარი საგანი არის ეგრეთ წოდებული ზესახელმწიფოებრივი არბიტრაჟი — Investor-to-State Dispute Settlement (ISDS), რომლის შემთხვევაშიც ყველა სავაჭრო დავა გადაწყდება არა ნაციონალური ხელისუფლებების, არამედ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ, რომლებიც უპირატესად ანგლო-ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციების კონტროლს ექვემდებარებიან. სახელმწიფო ბრალმდებლების ნაცვლად ამ სასამართლოებში ინვესტორთა ინტერესებს წარმოადგენენ სპეციალურად დაქირავებული ადვოკატები.

დიდი ხანია, ევროპაში ცნობილია, რომ ამერიკელები და ბრიტანელები იურიდიული კაზუისტიკის ჩემპიონები არიან. სამართლებრივი ბრძოლის ველზე მათთან შერკინება იგივეა, რაც მსოფლიო კლასის შულერებთან კარტის თამაში. შედეგად, კერძო ანგლოსაქსონური ტრიბუნალები ევროპის სახელმწიფოებს მილიარდებით დააჯარიმებენ. პრაქტიკულად წინასწარაა გადაწყვეტილი ნებისმიერი დავის ბედი, რაც არცთუ დიდი ხნის წინათ დაადასტურა ჰააგის არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ რუსულ ნავთობკომპანია „იუკოს“ მიმართ. ამგვარი „პარალელური იუსტიცია“ ევროპული ქვეყნების ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საბოლოო განადგურების აღმნიშვნელი იქნება.

ევროპელებმა ბევრი მტკიცებულება მიიღეს იმისა, რომ თვითონაც კი, როგორც მოკავშირეები, აშშ-ის იურიდიული დიქტატის ქვეშ იმყოფებიან. მაგალითად, ორიოდე წლის წინათ ამერიკის იუსტიციის სამინისტრომ კორუფციის ბრალდება წაუყენა ინდონეზიაში წამყვანი ფრანგული კონცერნის — Alstom-ის ოთხი ტოპმენეჯერს, ხოლო ერთ-ერთი ამ ოთხთაგან, ფრედერიკ პიერუჩი, ნიუ იორკში დააკავეს. იქმნება პარადოქსული სიტუაცია: ფრანგული კონცერნი კონტრაქტების გაფორმების მიზნით მოისყიდის ინდონეზიელ მაღალჩინოსნებს, კორუფციული გარიგების გამოაშკარავებას კი ამერიკული მართლმსაჯულება ცდილობს. ეს ქმედებები ემყარება ეგრეთ წოდებულ ანტიკორუფციულ კანონს (Foreign Corrupt Practices Act FCPA), რომელიც უკვე 40 წლისაა და რომელსაც აშშ სულ უფრო ხშირად იყენებს მსოფლიოში.

**აშშ უარს აცხადებს საერთაშორისო სასამართლოების უზენაესობის აღიარებაზე და იყენებს თავის შიგა კანონებს. მაგალითად, «ფიფას საქმით» გამოძიების ფედერალური ბიურო დაკავებული**




მრავალათასიანი აქცია გერმანიაში
„ევროპელი პატრიოტები ევროპის ამერიკანიზაციის წინააღმდეგ“

ამასთანავე, ამერიკაზე „მიბმა“ შეიძლება ფორმალური იყოს: იმისათვის, რომ გამოძიება დაიწყოს, საკმარისია ფირმის კოტირება ნიუ იორკის ბირჟაზე — ამერიკული ელექტრონული მისამართი, საბანკო ანგარიშები ან გადახდები დოლარში. Alstom-ის შემთხვევაში ეს იყო კოტირება ნიუ იორკის ბირჟაზე 2004 წლამდე. ეგრეთ წოდებულმა **„პიერუჩის საქმემ“ ფრანგებს აჩვენა, რომ ამერიკული „მართლმსაჯულების“ ხელი ნებისმიერ ადამიანს (კომპანიას, ორგანიზაციას) შეიძლება მისწვდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.**

**ამერიკის ექსტრატერიტორიული ჩარევის ანალოგიურ შემთხვევებს განეკუთვნება ეგრეთ წოდებული „კორუფციული სკანდალი“ ფიფაში და სანქციები შვეიცარიული და ფრანგული ბანკების წინააღმდეგ.** უმსხვილეს ფრანგულ ბანკ BNP Paribas-ს გასულ წელს ამერიკისათვის 10 მილიარდი დოლარი უნდა გადაეხადა ჯარიმის სახით ირანის, კუბისა და სუდანის მიმართ „სანქციების რეჟიმის დარღვევის“ გამო და სამსახურიდან უნდა გაეთავისუფლებინა 13 ტოპმენეჯერი.

**იმავე წელს FCPA კანონის ფარგლებში ამერიკელებმა სხვადასხვა კომპანია 1,6 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს.** პარიზის ადვოკატთა კოლეგიის ხელმძღვანელი პოლ-ალბერ ივეინსი აცხადებს, რომ საფრანგეთში მატულობს აღშფოთება სხვა ქვეყნებში ამერიკის იუსტიციის ექსტრატერიტორიული ქმედებების გამო. მან აღნიშნა, რომ საუბარია არა იმდენად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რამდენადაც „ეკონომიკური იარაღის“ გამოყენებაზე. ამოღებული თანხები მიდის არა დაზარალებულ ქვეყნებში, არამედ ამერიკის ხაზინაში.

ყველაფერი, რასაც კი შეხება აქვს ამერიკულ ბანკებთან ან ფინანსურ დაწესებულებებთან (მათთან კი პრაქტიკულად ყველას აქვს შეხება), დარტყმის საფრთხის ქვეშაა. **ერთ-ერთი ბოლო მაგალითია ამერიკული ხელისუფლების მიერ გამოძიების დაწყება რუსეთში Deutsche Bank-ის მიმართ, რომელიც ეჭვმიტანილია ფულის გათეთრებასა და სანქციების რეჟიმის დარღვევაში.** აღსანიშნავია, რომ ამ საქმით დაკავებულია ნიუ იორკის შტატის ფინანსური მომსახურების დეპარტამენტი, რომელმაც გერმანული ბანკისგან მოითხოვა სამსახურებრივი მიმოწერა, დოკუმენტები, კლიენტების სიები და სხვა მასალები.

რაღაც მსგავსს მოხდა არგენტინის მიმართაც, როდესაც ნიუ იორკის ერთ-ერთმა საოლქო სასამართლომ სამი წლის წინათ ამერიკელი ინვესტორების სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება და ქვეყანას ვალების მსოფლიო ბაზრებისაკენ გზა გადაუჭრა.

რას ფიქრობენ ამაზე ევროპელები? დასავლეთევროპულ პრესაში მათი კომენტარები შემდეგ მოსაზრებებამდე დადის:

ამერიკა მოქმედებს, როგორც „მსოფლიო პოლიციელი“, თუმცა თავის ▶

---

მოკლედ

## ლატვიის მთავრობა რუსეთის საზღვართან კედლის აშენებას აპირებს



**ლატვიის მთავრობამ გადაწყვიტა რუსეთისგან გამიჯვნა და მის საზღვართან კედლის აშენება.** პოლონური რადიოს ინფორმაციით, ამის შესახებ ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა რიხარდ კოზლოვსკისმა განაცხადა. მისი აზრით, ამისათვის ოთხი წელი და 17 მილიონი ევრო იქნება საჭირო. მხოლოდ 2015 წელს საზღვარზე 239 არალეგალი მიგრანტი დააკავეს, რომელთაგან 160 ვიეტნამიდან, 20 კი ავღანეთიდან იყო. კოზლოვსკიმ ჯერ კიდევ მარტის შუა რიცხვებში განაცხადა, რომ რუსეთთან საზღვრის დაცვის გამკაცრება იყო საჭირო. მაშინ მინისტრი საუბრობდა სასაზღვრო ხაზის შექმნაზე, რომელიც 12 სანტიმეტრი სისქის იქნებოდა და აღიჭურვებოდა თანამედროვე უსაფრთხოების სისტემებით.

**სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობის წყალობით, აშშ-ს შეუძლია, ნებისმიერ წუთს შეიტყოს, რით არიან დაკავებულნი იაპონიის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. თუმცა, მოკავშირე სახელმწიფოთაგან ვერც ერთი შეძლებს, დაემალოს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თვალებსა და ყურებს, ვერც — გერმანია, ვერც — იაპონია. გარდა ამისა, შტატები დაჟინებით უთვალვალებს ისრაელს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უფლებებს შერჩევით იყენებს. აშშ-ში დიდ ბანკებზე სისხლის სამართლის საქმეებს არ აღძრავენ და ფულის გათეთრების დამტკიცებული ფაქტების არსებობის შემთხვევაშიც კი ინიშნება ჯარიმა ამდენიმე მილიონი დოლარის ოდენობით. აშშ-მა გაანადგურა „საგადასახადო სამოთხე“ შვეიცარიაში, მაგრამ თავად მსოფლიოში უდიდესი ოფშორი აქვს დელავერის შტატში.

საერთაშორისო სამართალი, როგორც ასეთი, არ არსებობს. ცნება „სუვერენიტეტი“ მხოლოდ აშშ-ის მიმართ არსებობს, დანარჩენი მსოფლიო კი იყოფა „ვასლებად“ და „სხვა სახელმწიფოებად“, რომლებსაც ფინანსების ან „დემოკრატიული რევოლუციების“ საშუალებით აიძულებენ მორჩილებას.

**აშშ-ის მოწინააღმდეგეების კომპრომეტაციის მიზნით, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს საშუალებით იყენებენ ტოტალური ჯაშუშობისა და მოსმენების სისტემას. ამ დრომდე უცნობია, თუ რა საშუალებებით მოიპოვეს ამერიკელებმა ფიფას ხელმძღვანელობის შესახებ კომპრომატები.**

უცხოური ბანკების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიმართ თვალთვალი არალეგალური მეთოდებით ხორციელდება (მოსმენები, ელექტრონული მონაცემების შეგროვება) ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს გავლით. განსაკუთრებით მიზანში არიან ამოღებულნი ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის მიმართ სიმპათიებით არიან განწყობილნი.

**ამერიკული შიგა სამართალი ნელ-ნელა ცვლის საერთაშორისო სამართალს, აშშ კი იქცა დაუნდობელ იმპერიულ მონსტრად, რომელიც სხვა ქვეყნებისა და რეგიონების დესტაბილიზაციის ხარჯზე ცხოვრობს.**

აშშ-ს არ მოუხდენია საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ შეთანხმების რატიფიცირება. ამით ისინი ცდილობენ, ამერიკის მოქალაქეები გაიყვანონ საერთაშორისო ტრიბუნალის იურისდიქციიდან. უპირველეს ყოვლისა, საუბარია ამერიკელ სამხედროებზე, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს დანაშაულები. უფრო მეტიც, აშშ-მა მიიღო კანონი, რომელიც უფლებას იძლევა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაკავებული ამერიკის მოქალაქეები ძალოვანი მეთოდებით გაათავისუფლონ. გარდა ამისა, **ამერიკა უხეშად ზემოქმედებს ქვეყნებზე, რომლებიც მზად არიან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადასცენ ამერიკის მოქალაქეები.**

როგორ შეძლებს ევროკავშირი ტრანსატლანტიკური ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებას პარტნიორთან, რომელიც დაკავებულია ტოტალური ჯაშუშობით (მათ შორის სამრეწველო ჯაშუშობითაც) და სავაჭრო დავებს ამერიკულ იურისდიქციას უქვემდებარებს?

ამერიკული სამართლებრივი სისტემა ფარსია, ეს „ფულის გამოწურვის“ სისტემაა სპეციალურად მომზადებული ადვოკატებით, რომელთაც ჭეშმარიტება ყველაზე ნაკლებად ადარდებთ. კორუფციასა და კრიმინალთან აშშ-ის გაცხარებული ბრძოლა წმინდა წყლის მოჩვენებითობაა, რომლის უკანაც ხელების მოთბობის დაუნდობელი წყურვილი იმალება.

**თითეული ადამიანი, ორგანიზაცია ან ქვეყანა, რომელიც აშშ-ის ინტერესებს გზას გადაუღობავს (კაპიტალის ან პოლიტიკის მიმართულებით), გარდაუვალად გაებმება ამერიკული იუსტიციის ქსელში, მაგრამ საკუთარი თავისთვის აშშ გამონაკლისს აკეთებს. ამერიკული ფირმები განაგრძობენ რუსეთთან ვაჭრობას მაშინ, როდესაც აშშ-ის ევროპელი მოკავშირეები საკუთარი თავისთვის ზარალის მიყენების ფასად იძულებულნი იყვნენ, მიეღოთ ანტირუსული სანქციები.**

აუცილებელია ამერიკის იუსტიციის ცალმხრივ ქმედებებთან დაპირისპირება. იმ შემთხვევებში, როდესაც ის წინააღმდეგობაში მოდის სხვა სამართლებრივ სისტემებთან, საჭიროა მკაცრი პასუხი. კერძოდ, ამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილებას აშშ-ის საზღვრებს გარეთ არ უნდა სცნობდნენ. საჭიროა საპასუხო სასამართლოების ორგანიზება, რომლებიც აშშ-ისგან მოითხოვენ დანაკარგების კომპენსაციას მესამე ქვეყნებში ამერიკული აქტივების დაყადაღებამდეც კი. ამერიკელები განაგრძობენ გათავხედებას მანამ, სანამ სხვები მოითმენენ ამას.

ევროპელი ბლოგერებისა და კომენტატორების დასკვნა: აშშ-ის „სასამართლო იმპერიალიზმს“ შეიძლება ერთადერთი პასუხი გაეცეს — აღიარებულ იქნეს ნაციონალური სამართლის უპირობო უზენაესობა. ამ გზას უკვე დაადგნენ ჩინეთი და რუსეთი.

**InoSMI**



# რატომ ჯაშუშობს აშშ მოკავშირეების წინააღმდეგაც კი

**მას შემდეგ, რაც WikiLeaks-ის შესახებ გახდა ცნობილი, მსოფლიო ახალ ფერებში წარმოჩინდა. იმის მიხედვით, თუ როგორ აეხადა ფარდა სიმართლეს, რომ აშშ-ის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები უსმენენ როგორც საკუთარ მოქალაქეებს, ისე უცხოეთის ხელისუფლებებს, ჩნდება კითხვას: როგორ შეუძლია ამერიკას ასე მოქცევა? ნუთუ თავის მოკავშირეებსაც უსმენს? ამ კითხვების ქვეტექსტი შემდეგია: აშშ არ უნდა იქცეოდეს ასე, განსაკუთრებით მეგობრების მიმართ.**



ეგრეთ წოდებული მოკავშირე სახელმწიფოები გამოდიან ეროვნული უსაფრთხოების ერთნაირი ან მსგავსი ინტერესებიდან და ერთმანეთთან ალიანსს ქაღალდზე აფორმებენ. მათი მთავარი ამოცანა თავდაცვაა. თუკი ხდება თავდასხმა მოკავშირული შეთანხმების რომელიმე წევრზე, ეს ავტომატურად ეხება ყველა დანარჩენ წევრსაც, ამიტომ ისინი ერთად მოიგერიებენ ამგვარ დარტყმას. მსგავსი შეთანხმებები სულაც არ ნიშნავს, რომ მოკავშირეებს შორის ყველაფერი კარგადაა. სინამდვილეში არ არსებობენ ისეთი მოკავშირე ქვეყნები, რომელთა შორისაც ურთიერთობა პარიტეტულ საწყისებზეა.

მოკავშირეებთან აშშ-ის ურთიერთობებში, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ინტერესებია გათვალისწინებული. მაგალითისთვის ავიღოთ უსაფრთხოების გარანტიების შესახებ შეთანხმება იაპონიასა და შტატებს შორის: მას შემდეგ, რაც ეს ქვეყნები მოკავშირეები გახდნენ, ვაშინგტონი ტოკიოს მუდმივად ზღუდავს კოლექტიური თავდაცვის უფლებებში. იაპონურ-ამერიკული მოკავშირული შეთანხმების თანახმად, აშშ პასუხისმგებელია იაპონიის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ამასთანავე, ამ უკანასკნელს არ აქვს უფლება, დაეხმაროს მას ამ საქმეში. გამოდის, რომ აშშ საკუთარ თავზე კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს და ცალმხრივად აგებს პასუხს ტოკიოსთან ურთიერთობის ფარგლებში მის უსაფრთხოებაზე. და ეს ყველაფერი ხელს აძლევს, რადგან **ამგვარად იგი ნებას არ რთავს იაპონიას, განავითაროს თავისი სამხედრო ძლევამოსილება და ზღუდავს მის სივრცეს მანევრებისთვის. იაპონიის ხელისუფლებას არ აქვს იმედი, რომ აშშ-ს ოდესმე თანასწორი დამოკიდებულება ექნება მათ მიმართ.**

უფრო მეტიც, ვაშინგტონი ტოკიოს მიმართ უფრო მკაცრია, ვიდრე სხვა რომელიმე მოკავშირის მიმართ, რაც უნდობლობის შედეგია. ამერიკული დაზვერვა მრავალი წლის განმავლობაში მოიპოვებდა სხვადასხვა ცნობას იაპონიის შესახებ, მას თავისი ხალხი ჰყავს იაპონიის პრემიერმინისტრის კაბინეტშიც კი. **სხვადახვა ელექტრონული მოწყობილობის წყალობით, აშშ-ს შეუძლია, ნებისმიერ წუთს შეიტყოს, რით არიან დაკავებულნი იაპონიის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. თუმცა, მოკავშირე სახელმწიფოთაგან ვერც ერთი შეძლებს, დაემალოს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თვალებსა და ყურებს, ვერც — გერმანია, ვერც — იაპონია. გარდა ამისა, შტატები დაჟინებით უთვალვალებს ისრაელს.** ახალი ზელანდიაც კი, რომელიც Five Eyes-ში (ხუთი თვალი — სადაზვერვო მონაცემების შეგროვების საერთაშორისო კავშირი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია) შედის, თავადვე მოექცა ვაშინგტონის სამიზნეში.

რატომ იქცევა ასე აშშ? მიზეზი ისაა, რომ ის ეთანხმება სუნ ძის (ჩინელი სტრატეგი და მოაზროვნე, სამხედრო სტრატეგიის შესახებ ცნობილი ტრაქტატის „ომის ხელოვნების“ ავტორი), რომ „მტრის ცოდნა და საკუთარი თავის ცოდნა იძლევა საშუალებას, ასი ბრძოლა უვნებლად გამოიარო“.

როდესაც ცნობილი გახდა დაუწერელი წესების შესახებ, რომლებსაც აშშ დაზვერვის დარგში იცავს სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, ყველა მოკავშირე სახელმწიფო უკიდურესად აღშფოთდა და ვაშინგტონი უსინდისობასა და უპრინციპობაში დაადანაშაულა, თითქოს თავად უცოდველობის მაგალითები იყვნენ. სინამდვილეში მათი ბრალდებები სავსეა ტყუილით. ნდობის უკმარისობა ხომ ნორმალური მოვლენაა აშშ-ისა და მისი მეგობრებისათვის და ეს უკანასკნელნიც ზუსტად ანალოგიურად ჯაშუშობენ ვაშინგტონის მიმართ.

## აშშ-ის ხელისუფლება არა მხოლოდ ქვეყნის საზღვრებს გარეთ ჯაშუშობს, არამედ უთვალთვალებს საკუთარ მოქალაქეებსაც




გასულ წელს WikiLeaks-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ აშშ უსმენდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერ ანგელა მერკელს. გერმანული მხარე მრისხანებდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის ხდებოდა, რომ საკუთარი მოქალაქეები დაემშვიდებინათ. გერმანიის დაზვერვაც უთვალთვალებს ვაშინგტონს ჩუმად და არც იაპონია ჩამორჩება. ეს ქვეყნები, ერთი მხრივ, თანამშრომლობენ სხვებთან, მეორე მხრივ კი, ინფორმაციას აგროვებენ მათზე, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გაიგონ. განა ეს მშვენიერი არაა? სწორედ ამის გამოა, რომ ცნობებს ვიღაცის მიმართ ჯაშუშობის შესახებ ძალიან მალე ივიწყებენ. **ამჯერად, როდესაც ცნობილი გახდა, რომ აშშ იაპონიას უთვალთვალებდა, სინძო აბე გულგრილი დარჩა და მწუხარებაც ძლივს გამოხატა. მან იცის, რომ მიუხედავად იმისა, უზრუნველყოფს თუ არა აშშ მისი ქვეყნის უსაფრთხოებას, მათ მიმართ ჯაშუშობა ნორმალური სახელმწიფოთაშორისი მოვლენაა და დიდი მღელვარების აუცილებლობა არ არსებობს.**

გარდა ამისა, **აშშ-ის ხელისუფლება არა მხოლოდ ქვეყნის საზღვრებს გარეთ ჯაშუშობს, არამედ უთვალთვალებს საკუთარ მოქალაქეებსაც**, რაც, ბუნებრივია, მათ უკმაყოფილებას განაპირობებს. ამიტომ, როდესაც ედუარდ სნოუდენმა გამოაცხადა, რომ ამერიკული სპეცსამსახურები ბოროტად იყენებენ საკუთარ უფლებამოსილებებს, ობამას ადმინისტრაციას ეს არ მოეწონა. იძულებულნი გახდნენ, ზოგიერთი კანონიც კი შეესწორებინათ, „თავისუფლების შესახებ აქტით“ შეეცვალათ „პატრიოტული აქტი“, რომელიც 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მიიღეს. ამან შეზღუდა ქვეყნის შიგნით თვალთვალის საშუალებები.

მოკლედ



## «რუსეთი და ნატო ომის რეპეტიციას გადიან»

**Euobserver-ის ცნობით, ბრიტანელი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ რუსეთი და ნატო შესაძლო კონფრონტაციისთვის ემზადებიან.** არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპის ლიდერთა ქსელის“ ექსპერტების თქმით, მოსკოვისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო სწავლებები იმაზე მიანიშნებს, რომ მხარეები „ომის რეპეტიციას“ გადიან. შექმნილი პოლიტიკური კლიმატი კი მოსალოდნელი ომის რისკებზე მიუთითებს. „არ ვამბობთ, რომ რომელიმე მხარის ხელმძღვანელობას უკვე მიღებული აქვს ომის დაწყების გადაწყვეტილება, თუმცა წვრთნების შეცვლილი სახე უდიდეს როლს თამაშობს ევროპაში დაძაბული და საშიში გარემოს შენარჩუნებაში“, — განაცხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა იან კერნსმა.



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იაპონიის წინააღმდეგ ატომური ბომბების გამოყენების უზნეობის შესახებ დებატები მხოლოდ ცივი ომის დროს დაიწყო. იაპონიაში პაციფისტური ანტიბირთვული ინფორმაციული სურათი თითქმის 10 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც აშშ-მა წყალბადის ბომბის გამოცდა ჩაატარა ბიკინის ატოლში.**

# ნაგასაკი: ცხოვრება ბირთვული ომის შემდეგ





**1945 წლის 9 აგვისტოს, 11 საათსა და 02 წუთზე, ქალაქ ნაგასაკის სამრეწველო ველ ურაკამიზე ამერიკული ბომბდამშენი „B-29“-ის მიერ ჩამოგდებული პლუტონიუმის ბომბი აფეთქდა. ბირთვული რეაქციის შედეგად ირგვლივ ყველაფერი გავარვარდა ტემპერატურამდე, რომელიც მრავალჯერ აღემატება მზის ბირთვში არსებულ ტემპერატურას. აფეთქებისთანავე ქალაქის მთელი მოსახლეობიდან, რომლის რაოდენობაც დაახლოებით 240 ათას ადამიანს შეადგენდა, 74 ათასამდე გარდაიცვალა. ნაგასაკი იქცა მსოფლიოში მეორე ქალაქად, რომელიც ბირთვული დარტყმის შედეგად დაზარალდა. პირველი იყო ხიროსიმა, სადაც სამი დღით ადრე ჩამოაგდეს ბირთვული ბომბი.**

„ისინი ბომბებს ყრიდნენ და ფიქრობდნენ, რომ ყველა დაიხოცებოდა, ხომ ასეა?“ — მსჯელობს ახლა უკვე ხანდაზმული, ტრაგედიის დროს კი 15 წლის გოგო, მინეკო დოო იმ მოვლენების გახსენებისას, რომლებმაც მისი ცხოვრება შეცვალა. ყოველ შემთხვევაში, დოოსა და ჰიბაკუშასთვის, რომლებიც მოზარდობის ასაკში გადაურჩნენ ატომურ დაბომბვას და რომლებიც სიუზენ საუტარდის მონოგრაფიის „ნაგასაკი: ცხოვრება ატომური აფეთქების შემდეგ“ მთავარი გმირები გახდნენ, ეს იყო ავადმყოფობით, ფსიქოლოგიური ტრამვითა და საზოგადოებისგან მოკვეთით აღნიშნული ახალი ცხოვრების დასაწყისი. მიუხედავად საფრთხისა, რომელსაც ისინი მრავალი წლის განმავლობაში აწყდებოდნენ, ხუთივე გადარჩა.

საუტარდი — ბელეტრისტი და მწერალი-ისტორიკოსი პირველად ნაგასაკიში სასწავლო გაცვლითი პროგრამით ჩავიდა, მაშინ 16 წლის მოსწავლე გახლდათ. თავისი წიგნისთვის მასალებს იგი 10 წელზე მეტ ხანს აგროვებდა — იღებდა ინტერვიუებს ადამიანებისგან, რომლებმაც გადაიტანეს ბირთვული აფეთქება, ესაუბრებოდა ისტორიკოსებსა და სხვა სპეციალისტებს.

მიუხედავად ზოგიერთი სუსტი ადგილისა, წიგნი ღრმა ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს.

ამ ხუთი მოზარდისთვის, რომლებიც აფეთქების შემდეგ გადარჩნენ, ყველაფერი წარმოუდგენელი იყო.

13 წლის მოსწავლე **კაცუძი იოსიდა** აფეთქების ეპიცენტრიდან 800 მეტრში იმყოფებოდა, როდესაც აფეთქების ტალღამ ბრინჯის პლანტაციებში მოისროლა. გონს რომ მოეგო, „აბსოლუტურად არ გრძნობდა ტკივილს“, მიუხედავად სახისა და სხეულის უმძიმესი დამწვრობისა.

16 წლის ფოსტალიონი **სუმიტერუ ტანიგუჩი** აფეთქების ადგილიდან კილომეტრ-ნახევრის მოშორებით მოძრაობდა, როდესაც რაღაც უზარმაზარმა ძალამ ველოსიპედიდან მოისროლა. პირველი, რაც მოიფიქრა, მიმოფანტული წერილების შეგროვება იყო, რათა განეგრძო მათი დარიგება. ტკივილს არ გრძნობდა, არადა, მარცხენა ხელზე, ფეხსა და ზურგზე კანი დამწვარი და გადაყვლეფილი ჰქონდა.

როგორც გარეგნულად, ასევე სიმძიმით მათი ჭრილობები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაგრამ ხუთივეს მთელი სიმძაფრით გამოუვლინდა სიმპტომები, რომელსაც ძლიერი რადიაციული დასხივება განაპირობებს. საკუთარ ემოციებსაც სხვადასხვაგვარად უმკლავდებოდნენ.

**ტანიგუჩი, რომლის დამწვარი და გატყავებული ბეჭები ამერიკელმა ფოტოგრაფმა ჯო ოდონელმა ფირზე აღბეჭდა, უკვე 1950-იანი წლების დასაწყისში სახალხოდ ყვებოდა, რაც გადაიტანა და სწორედ იგი გახდა ერთ-ერთი პირველი, ვინც ხელისუფლებისგან ატომური აფეთქების ყველა მსხვერპლისთვის, მიუხედავად მოქალაქეობისა, უფასო მკურნალობა მოითხოვა.**

მისგან განსხვავებით დოოს მსგავსი არაფერი მოსვლია აზრად. მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი დაჟინებით შრომობდა და ბიზნესში კარიერა გაიკეთა. იგი ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელი ქალი გახდა და ტოკიოში მსხვილ კოსმეტიკურ კომპანიას ჩაუდგა სათავეში. მან შეგნებულად გადაწყვიტა, არ გათხოვილიყო და ეს მანამ გააკეთა, ვიდრე რადიაციით დასნეულებულთა მიმართ დისკრიმინაციის გამოვლენა დაიწყებოდა. მაგრამ გავიდა რა პენსიაზე და დაბრუნდა ნაგასაკიში, იგრძნო, რომ აღარ შეეძლო დუმილი და განცდილის შესახებ ღიად ალაპარაკდა.

პლანეტის დანარჩენ მოსახლეობასაც გარკვეული დრო დასჭირდა საიმისოდ, რომ გაეცნობიერებინა ბირთვულ საუკუნეში ცხოვრების საშინელი რეალობა. ამ თვალსაზრისით საუტარდის წიგნში მოვლენათა ქრონოლოგიური აღწერა იძლევა საშუალებას პრობლემის არსში ჩაწვდომისა და მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისთვის: **იაპონიის წინააღმდეგ ატომური ბომბების გამოყენების უზნეობის შესახებ დებატები მხოლოდ ცივი ომის დროს დაიწყო. იაპონიაში პაციფისტური ანტიბირთვული ინფორმაციული სურათი თითქმის 10 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც აშშ-მა წყალბადის ბომბის გამოცდა ჩაატარა ბიკინის ატოლში.** ამისათვის სტიმულის როლი შეასრულა ინციდენტმა, რომელიც 1954 წლის მარტში მოხდა. მაშინ იაპონელი მეთევზეები შემთხვევით მოხვდნენ რადიაციის ზემოქმედების ქვეშ წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში ოფიციალურად გამოცდის ჩასატარებელ ზონად გამოცხადებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

იაპონია ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ატომური ბომბები ესროლეს. კრიზისის ამ ნაციონალური გაცნობიერების ერთ-ერთ უშუალო შედეგად იქცა 1954 წელს გადაღებული ფილმი „გოძილა“ (Godzilla), რომელშიც გაკრიტიკებულია პროგრესის კულტი და სამეცნიერო ქედმაღლობა. ფილმის შემქმნელების ვერსიით, იმავე სახელწოდების მონსტრი ბირთვულმა იარაღმა გამოაღვიძა.

**ტანიგუჩი, რომლის დამწვარი და გატყავებული ბეჭები ამერიკელმა ფოტოგრაფმა ჯო ოდონელმა ფირზე აღბეჭდა, უკვე 1950-იანი წლების დასაწყისში სახალხოდ ყვებოდა, რაც გადაიტანა და სწორედ იგი გახდა ერთ-ერთი პირველი, ვინც ხელისუფლებისგან ატომური აფეთქების ყველა მსხვერპლისთვის, მიუხედავად მოქალაქეობისა, უფასო მკურნალობა მოითხოვა**



კათოლიკე ექიმი დოქტორი ტაკასი ნაგაი იაპონური პაციფიზმის ჩასახვის სათავეებთან იდგა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ცივი ომის მსვლელობისას ანტიბირთვული დებატები გაცხარდებოდა. ატომური ბომბის აფეთქებამდე მიიღო რა დასხივების დიდი დოზა სამსახურში, იგი ლეიკემიით დაავადდა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები ლოგინზე მიჯაჭვულმა გაატარა. იგი 1951 წელს გარდაიცვალა. ავადმყოფობას ხელი არ შეუშლია მისთვის, ბევრი დაეწერა. მისი ნაშრომებიდან ყველაზე ცნობილია ბესტსელერად ქცეული წიგნი „ნაგასაკის ზარები“ (The Bells of Nagasaki), რომელშიც ასახავს იმ ადამიანის გამოცდილებას, რომელმაც ატომური დაბომბვა გადაიტანა. ამერიკულმა საოკუპაციო ხელისუფლებამ იაპონიაში წიგნის გამოქვეყნების ნებართვა მხოლოდ იმ პირობით გასცა, რომ მასში ჩაამატებდნენ ფილიპინებზე იაპონიის არმიის მხეცობათა შესახებ მონაცემებს.

სხვათა შორის, ნაგაის წიგნი აპოლიტიკურია. ვინაიდან მორწმუნე ადამიანი იყო, მიიჩნევდა, რომ უფალს შემთხვევით არ შეურჩევია ნაგასაკის კათოლიკეები განტევების ვაცებად ამ უაზრო ომის დასრულებისათვის მსხვერპლად შესაწირად. ნაგასაკი არის რელიგიური დევნის დიდი ისტორიის მქონე ქალაქი. XVI საუკუნეში ქალაქი იაპონიის მცირერიცხოვანი ქრისტიანული უმცირესობისთვის სულიერ ცენტრად იქცა, ამიტომ არ ღირს კითხვის დასმა, მხოლოდ ბირთვულმა დაბომბვებმა განაპირობა თუ არა ომის დასრულება ან რატომ იქნენ არჩეულნი მსხვერპლად ათეისტებიც, რომლებიც ასევე დაიხოცნენ აფეთქებების შედეგად.

ლოგიკას მოკლებული დოგმატები და რწმენა შეიძლება ყველაზე დამაჯერებელი აღმოჩნდეს, რადგან ნაგაიმ უამრავი მკითხველის გული მოინადირა, მათ შორის იყვნენ ჰელენ კელერი, ევა პერონი და პაპი პიი XII, რაც გასაკვირი არაა.

იმ ადამიანების მონათხრობების კითხვისას, რომელთა ცხოვრებაც ნაგასაკის დაბომბვების შედეგად შეიცვალა, დაგავიწყდებათ, რომ ეს ქალაქი მეორე მსოფლიო ომამდე დანარჩენი მსოფლიოსთვის იყო არა იმდენად რეალური ქალაქი, რამდენადაც ლაჟვარდოვანი ცის ფონზე მონავარდე მაცდუნებელი „მადამ ბატერფლაის“ სიმბოლოდ ქცეული ეგზოტიკური ცნება. მაგრამ 1945 წლის 9 აგვისტოს დამაბრმავებელი აფეთქებებით ეს ქალაქი იქცა ისტორიის გაცილებით ბნელი პერიოდის პროტოტიპად, პერიოდისა, რომელიც საუტარდის წიგნშია აღწერილი. და, მიუხედავად ყველაფრისა, ნაგასაკიში ცხოვრება გრძელდება.

**The Financial Times**

მოკლედ



## ყველაზე მომზადებული და სახიფათო ქვეყანა

**ამერიკის ქვეითი არმიის შტაბის გენერალმა რეიმონდ ოდიერნომ რუსეთს „ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ქვეყანა“ უწოდა.** ამის შესახებ მან 12 აგვისტოს პენტაგონში გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა. „ვფიქრობ, რუსეთი ყველაზე სახიფათო ქვეყანაა ბევრი მიზეზის გამო: პირველ რიგში, იმიტომ, რომ ის უფრო მეტად არის მომზადებული, ვიდრე ჩვენი სხვა პოტენციური მეტოქეები“, — განაცხადა ოდიერნომ. ეს პრესკონფერენცია ოდიერნოსთვის გამოსამშვიდობებელი იყო. 15 აგვისტოდან ის პენსიაზე გავიდა. 60 წლის გენერალი ერაყის ომის ვეტერანია.



პარიზის, სიდნეისა და კოპენჰაგენის შარშანდელი ხმაურიანი ტერაქტების, ასევე ჟურნალ CHARLIE HEBDO-ს რედაქციაზე თავდასხმის შემდეგ დიდ ბრიტანეთში მუსლიმანებზე თავდასხმების რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დიდი ბრიტანეთი და რასიზმი

**მთელ რიგ აფრიკულ და არაბულ ქვეყნებში აშშ-ის მიერ ინიცირებული „ფერადი რევოლუციების“, აგრეთვე ლიბიაში, ერაყსა და სირიაში შეიარაღებული ინტერვენციების შედეგად უკანასკნელ ათწლეულში საგრძნობლად გაიზარდა აფრიკული სახელმწიფოებიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში არალეგალური მიგრაცია.**
**ამ მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობს, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შეაღწიოს.**





მხოლოდ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში დაახლოებით ორი ათასი მიგრანტი ცდილობდა ლა-მანშის ქვეშ გამავალ გვირაბში შეღწევას საფრანგეთის მხრიდან და დიდ ბრიტანეთში არალეგალურად გადასვლას. ახლა ამ გვირაბის სიახლოვეს განლაგებულია გაერთიანებულ სამეფოში დასახლების 10 ათასამდე მსურველი. ბრიტანეთის პრემიერინისტრის — დეივიდ კემერონისთვის კი სასოწარკვეთილი მიგრანტები მხოლოდ შემწეობის მაძიებელ „ადამიანთა ბრბოს“ წარმოადგენენ.

პანიკურად გაურბიან რა სისხლიან ანგარიშსწორებებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებს, ტოვებენ საკუთარ სახლებს და ცდილობენ ბრიტანეთში შეღწევას, რომელიც მსოფლიოში უწევს პროპაგანდას „საკუთარი დემოკრატიის უპირატესობას“, მიგრანტებს დაცვისა და ღირსეული ცხოვრებით უზრუნველყოფის იმედი აქვთ.

მაგრამ რა ელით ამ მიგრანტებს დიდ ბრიტანეთში სინამდვილეში? როგორ პოზიცირებს ეს ქვეყანა სხვა რელიგიების, რასების, მათ შორის აფრიკული წარმომავლობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში?

როგორც ბრიტანული გამოცემა The Telegraph-ი აღნიშნავს, **2014 წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მხოლოდ რეგისტრირებული იმიგრანტების რაოდენობა 43%-ით გაიზარდა და 260 ათას კაცს მიაღწია. ამჟამად ამ ქვეყანაში იმიგრანტები მოსახლეობის დახლოებით 10%-ს შეადგენენ, მათ შორის კი მნიშვნელოვანი ნაწილი აფრიკელები და მუსლიმანები არიან.** ამ პირობებში სხვა რასისა და აღმსარებლობის წარმომადგენლებთან ურთიერთობების საკითხი ბრიტანეთისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ამას ადასტურებს სხვადასხვა ბრიტანული ინსტიტუტისა თუ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები უკანასკნელ წლებში სამეფოს ნაციონალურ საზოგადოებაში სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობისა და რასის წარმომადგენელთა შორის აქტიური ცვლილებების შესახებ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პოლიციის კოლეჯის პროგნოზით, 2026 წლისთვის ინგლისისა და უელსის მოსახლეობის 16%-ს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები შეადგენენ. ეს კი ნიშნავს, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში პოლიციის ქვეგანყოფილებებში აყვანილ უნდა იქნას 17 000 აფრიკული წარმომავლობისა და სხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რათა მიღწეულ იქნეს პროპორციული წარმომადგენლობა პოლიციის რიგებში ბრიტანეთში მცხოვრები ზემოხსენებული კონტინგენტისთვის.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ განცხადების შემდეგ, რომელიც ტელეარხ BBC-ს ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმის გადაღებაზე ახლახან გააკეთა ლონდონის პოლიციის ხელმძღვანელმა სერ ბერნარდ ჰოგან-ჰაუმ. მისი თქმით, სკოტლანდ-იარდი რასისტული ორგანიზაციაა. ამას ადასტურებს ბრიტანეთის რასებსშორისი ურთიერთობების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიც. დოკუმენტის თანახმად, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში აფრიკული წარმომავლობისა და სხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 500-ზე მეტი მოქალაქე დიდ ბრიტანეთში პოლიციის დაკავების შედეგად საეჭვო გარემოებებში გარდაიცვალა.

**2014 წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მხოლოდ რეგისტრირებული იმიგრანტების რაოდენობა 43%-ით გაიზარდა და 260 ათას კაცს მიაღწია. ამჟამად ამ ქვეყანაში იმიგრანტები მოსახლეობის დახლოებით 10%-ს შეადგენენ, მათ შორის კი მნიშვნელოვანი ნაწილი აფრიკელები და მუსლიმანები არიან**



1991 წლიდან აფრიკული წარმომავლობისა და სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გარდაცვალების 509 შემთხვევიდან 348 ციხეში მოხდა, 137 — პოლიციის განყოფილებებში, 24 — არალეგალური მიგრანტების დაკავებისას. როგორც აღნიშნული კვლევის ავტორები აღნიშნავენ, ამ ადამიანების გარდაცვალების გამო სამეფოს არც ერთ ჩინოვნიკს არ დაკისრებია პასუხისმგებლობა, გარდაცვალებათა ფაქტებზე, როგორც წესი, საერთოდ არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე.

სამეფოს დამოუკიდებელ მედიაში ქვეყნის სამართალდამცავ სამსახურებში ქსენოფობიის გამოვლინების თაობაზე პუბლიკაციების გაჩენის შემდეგ ლონდონის პოლიციაში ჩაატარეს გამოძიება პოლიციელების მიერ საიდუმლო ონლაინ-ფორუმის გამოყენების ფაქტზე. ფორუმზე ვრცელდებოდა რასისტული შეხედულებები ეთნიკური ჯგუფების მიმართ. თავს იმართლებდა რა ქვეყნის მოსახლეობის წინაშე, დედაქალაქის პოლიციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ აპრილში სკოტლანდ-იარდის პროფესიონალური სტანდარტების სამმართველო დაინტერესდა Facebook-ის ერთ-ერთ ჯგუფში განთავსებული კომენტარებით. ამავე წლის ივნისში კი მოძრაობა Traveller Movement-ის (ირლანდიური წარმომავლობის ადამიანთა მოხეტიალე ჯგუფი, რომელიც ირლანდიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ტერიტორიაზე ბოშური ცხოვრების წესს ეწევა) მიერ საჩივრით მიმართვის შემდეგ ჩატარდა შიდა გამოძიება, რომელმაც დაადასტურა ბრიტანელი პოლიციელების კავშირი რასისტულ კომენტარებთან.

**პარიზის, სიდნეისა და კოპენჰაგენის შარშანდელი ხმაურიანი ტერაქტების, ასევე ჟურნალ Charlie Hebdo-ს რედაქციაზე თავდასხმის შემდეგ დიდ ბრიტანეთში მუსლიმანებზე თავდასხმების რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა.** ტისაიდის უნივერსიტეტის კვლევის შედეგების თანახმად, არა მხოლოდ ბრიტანეთის ზრდასრული მოსახლეობა, არამედ 10 წლის ზემოთ ასაკის ბავშვებიც კი სულ უფრო ხშირად გამოხატავენ რასისტულ დამოკიდებულებას მუსლიმანების მიმართ. ორგანიზაცია Tell Mama-ს ინფორმაციით, რომელიც ადრე შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ გააჟღერა, 2014 წლის მარტიდან 2015 წლის თებერვლამდე მუსლიმანების მიმართ რასისტული გამოხდომების 548 შემთხვევა დაფიქსირდა. ეს იყო ინტერნეტში მუქარები, ანტიისლამური ლიტერატურის გავრცელება, ქუჩებში თავდასხმები და ცემის ფაქტები. მუსლიმანების მიმართ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი თავდასხმების მსხვერპლნი განსაკუთრებით ხშირად ხდებოდნენ ქალები, რომელთაც ტრადიციული მუსლიმანური სამოსი ეცვათ.

საერთო ჯამში, როგორც საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის — YouGov-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, **მრავალი ბრიტანელი პირდაპირ აკავშირებს ისლამს ტერორიზმთან. მკვლევარებმა, ასევე, აღნიშნეს უკმაყოფილების ზრდა ქვეყანაში ჩასული დევნილების გამო, გამოკითხულთა 42%-მა განაცხადა, რომ დიდმა ბრიტანეთმა არ უნდა მიიღოს უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც საომარ მოქმედებებს ან დევნას გამოექცნენ.** გამოკითხულთა 47%-მა განაცხადა, რომ სირიიდან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან დევნილთა რელიგია არის განმსაზღვრელი ფაქტორი მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა. როგორც ორგანიზაცია Islamic Relief-ის წარმომადგენელმა ჯეჰანგირ მალიკმა განაცხადა, „ამ გამოკითხვის შედეგები საგანგაშოა, რადგან ისინი ადასტურებენ, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება მუსლიმანების მიმართ უკიდურესად უარყოფითია, დევნილებისადმი დამოკიდებულება კი — ძალზე სასტიკი“.

ბრიტანულ საზოგადოებაში გამეფებული რასობრივი შეუწყნარებლობა, რომელსაც არ აღკვეთავს ამჟამინდელი კონსერვატიული მთავრობა, გამოიხატება არა მხოლოდ აფრიკის ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტებისა და მუსლიმანების მიმართ ქსენოფობიური განწყობილების ზრდაში. საქველმოქმედო ორგანიზაცია Community Security Trust-ის მონაცემებით, ანტისემიტური ინციდენტების რაოდენობამ დიდ ბრიტანეთში 50%-ზე მეტით მოიმატა გასულ წელთან შედარებით. მიმდინარე წლის იანვრიდან ივნისამდე პერიოდში აღრიცხული 473 შემთხვევიდან 44 ძალადობრივი თავდასხმა იყო, ორი ინციდენტი კი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ანტისემიტიზმის გამოვლინების შემთხვევათა სტატისტიკის კომენტირებისას შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ დაადასტურა, რომ „ამ ქვეყანაში მრავალი ებრაელი საკუთარი თემის უსაფრთხოებაზე ღელავს“.

**Новое Восточное Обозрение**

მოკლედ

## თურქეთში ოთხ ტერაქტს 6 სამართალდამცველი ემსხვერპლა

**თურქეთში მომხდარი 4 ტერაქტის შედეგად, სულ მცირე, 6 სამართალდამცველი და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების რამდენიმე წევრი დაიღუპნენ, 10 ადამიანი კი დაიჭრა.** სტამბოლში ჯერ პოლიციის განყოფილება დაცხრილეს, შემდეგ — აშშ-ის საკონსულო, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი გარდაიცვალა. ოთხი პოლიციელი პროვინცია შირნაკში ნაღმზე აფეთქდა. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია ერთი თურქი ჯარისკაცის მკვლელობის შესახებ. ორმა ულტრამემარცხენე ორგანიზაციამ სტამბოლის ტერაქტებზე პასუხისმგებლობა უკვე აიღო. ამ დროისთვის დაკავებულია „სახალხო-განმათავისუფლებელი პარტიის“ წევრი ერთი ქალი, რომელიც ამერიკის საკონსულოზე თავდასხმაშია ბრალდებული.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ხელისუფლება, ქვეყნის გაერთიანებაზე ფიქრის ნაცვლად, რუსეთს უპირისპირდება ქვეყანაში ამერიკის ინტერესების ლობირებით. მისი აზრით, რუსეთი დამარცხდება და ამერიკა გაიმარჯვებს, მაგრამ ვერ აცნობიერებს, რომ ამერიკა-ევროკავშირმა ვერაფერი მოიმოქმედა, რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა რომ არ ეღიარებინა.**

# ხელისუფლებას ქვეყნის მომავალი არ აინტერესებს!

## რუსეთი დემოკრატიულ დასავლეთში არავის შეეშალოს!

„კაცი ის არის, ვინც მამულს
ეტრფის და ეთაყვანება,
ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკაცრი ბრძანება“!

რაფიელ ერისთავი

**ერთ-ერთ თავყრილობაზე პოეზიაზე საუბრისას დამსწრეთ სერგეი ესენინის ლექსის წაკითხვა შევთავაზე.**

**— ეგ ხომ იმ ჯიშისაა, რომელიც ლამის გორამდე მოვიდა? მაგათი დედაც!... — შემომესმა გულით ქართველისა და სულით მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის გაღიზიანებული პროტესტი.**

წარმოუდგენელია, რომ მსოფლიოში ფაშიზმის აღზევების გამო, რომელთან ბრძოლასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა, შევიძულოთ გერმანელი პოეტი **ჰაინრიხ ჰაინე**; ან ბუმბერაზი **გოეთე**, რომელიც თავისი „ფაუსტით“ **ბაირონის** „მანფრედთან“ ერთად იდეურად და სულიერად ეხმაურება ქართველებისთვის სათაყვანებელი **ნიკოლოზ ბარათაშვილის** „სულო ბოროტოს“ ისე, რომ ეს პოეტები არც ერთმანეთს იცნობდნენ, არც ერთმანეთის ნაწარმოებებს. მოაზროვნე მდიდარ ადამიანებს შორის არსებობს სულიერი ნათესაობა და ერთობა.

გერმანელმა ერმა მსოფლიოს გეოპოლიტიკაში თავისი ადგილი კვლავ დაიმკვიდრა, რადგან შეძლო ფაშისტური რეჟიმის შეფასება და დასჯა. ქართველმა ერმა ეს ვერ მოახერხა, რაც პრეცენდენტად იქცა უკრაინისთვის და იგი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ფაშიზმის აღზევების მხრივ, რასაც სწორედ დასავლეთმა შეუწყო ხელი. მრავალჯერ გვითქვამს: **რომ არა რუსეთი და რუსი ერი, ჩვენ დღეს სპარსულად ან თურქულად მოლაპარაკე ბიოლოგიური მასა ვიქნებოდით ან საერთოდ არ ვიქნებოდით. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში — 1921 წელს, როცა მთავრობა გაქცეული იყო, თურქეთი რომ შემოიჭრა და ბათუმი, ფოთი და ოზურგეთი დაიკავა, ვინ გაათავისუფლა?** ლენინს თურქეთთან ომი არ უნდოდა და, რომ არა სტალინის მოხერხება და ნიჭი, რანი ვიქნებოდით დღეს?

რუსეთმოძულე ჩემი ოპონენტი მეტყვის: ამერიკასა და ევროკავშირს ჩვენი ტერიტორიები არ მიუთვისებიაო(?!). რად უნდა ტერიტორია, როცა 25 წლის განმავლობაში იდეოლოგიურად ისე დაგვანგრია, რომ 5,5 მილიონი მოსახლეობიდან 3 მილიონიღა დავრჩით. ამერიკა შავ ზღვაზე სამხედრო ბაზის განთავსებას ლამობს, ევროპა — ეკონომიკურ ექსპანსიას აწარმოებს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც მიიღეს ამერიკა და ევროკავშირი, ჩვენც მივიღეთ ეს ქვეყნები და შედეგიც ჩანს.

ჩეხეთის პრეზიდენტი **მილოშ ზემანი** აღნიშნავს, რომ, **როცა ამერიკა თავის მმართველობის სისტემას თავს ახვევს სხვა ტრადიციების მქონე ქვეყანას და ეს ქვეყანა მას არ მიიღებს, ამერიკა მისი მტერი ხდება; მაგრამ, თუ მიიღებს, ხელისუფლება გახდება თავისი ქვეყნის მტერი.**

რუსეთი უდიდესი და უძლიერესი იმპერიაა სხვა იმპერიების მსგავსი მტაცებლური



**რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის მითვისება ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების არაქართული, მავნებლური პოლიტიკის შედეგია, მაგრამ შენ, «ქართულო ოცნებავ», საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად რომ გქვია მხოლოდ «ქართული», რატომ უყიდი ქართველ გლეხს მიწას უცხოელზე?**

ბუნებით, მაგრამ თვითონ ქართველი როგორ ექცევა თავის ქვეყანას? **რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის მითვისება ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების არაქართული, მავნებლური პოლიტიკის შედეგია, მაგრამ შენ, „ქართულო ოცნებავ“, საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად რომ გქვია მხოლოდ „ქართული“, რატომ უყიდი ქართველ გლეხს მიწას უცხოელზე? ასეთი ხელისუფლება ხალხის პატივისცემას არ იმსახურებს!**

დაპირისპირებული მხარის ღირსებებისა და ღირებულებების დანახვისა და დაფასების უნარი ადამიანური ღირსებაა. ისტორიიდან ცნობილია, როგორ დააფასა ველურმა დამპყრობელმა **ცოტნე დადიანის** თავგანწირვა, ხოლო მე-20 საუკუნის 70-იან წლებში უშიშროების კომიტეტის გენერალ-მაიორი და სამხედრო მეცნიერი **თენგიზ ეპიტაშვილი**, რომელიც ავღანეთში აქტიურად იბრძოდა, მოწმე შეიქნა, როგორ მიაგებდნენ პატივს ავღანელები ღირსეული მტრის საფლავებს, რომელთა შორის გახლდათ **გიორგი XI** — ქართლის მეფე, რომელიც სპარსეთის ინტერესებს იძულებით ახორციელებდა ავღანეთში და ისე აღესრულა, სამშობლოს მიწის ხილვა ვერ შეძლო. ავღანელებმა ქართველ გენერალს საფლავზე მისვლისა და დიდი წინაპრის წინაშე მუხლის მოდრეკის საშუალება მისცეს.

თუ თურქეთი ჩვენი მეგობარია, რომელმაც უფრო დიდი ტერიტორია წაგვართვა, რატომ გვავიწყდება რუსეთის იმპერიაში საქართველოს ყოფნის დადებითი შედეგები, ის, რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა?! ძალიან მოკლედ შევეხები სტალინის ეპოქას, რათა დიდი ქართველისა და პატარა ადამიანების მოღვაწეობა სათანადოდ შევაფასოთ:

*** პატარა ერის შვილი და დიდი ქართველი იოსებ სტალინი მოსახლეობას გადასახადებს არ უზრდიდა, პირიქით — ყოველი წლის მარტიდან პროდუქტები იაფდებოდა, ეს ხალხს ცხოვრებასა და შრომას უხალისებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე სამამულო ომის, დიდი ნგრევისა და კატაკლიზმების შემდეგ ხდებოდა, რაც სტალინის განსაკუთრებული გონიერებისა და მოსახლეობისადმი დიდი თანაგრძნობის მაჩვენებელია.**

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მოსვლიდან 3 წლის თავზე ლამის ყაჩაღად იქცა: დენის ტარიფს ზრდის, რომელიც პროდუქტზე ფასების ზრდასაც გამოიწვევს. ხელისუფლების წარმომადგენელთა შენახვა, მათი საზღვარგარეთული ვიზიტებითურთ, მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას.

*** სტალინს ქართველებისთვის ეროვნება და მამის სახელი არ წაურთმევია. დამოუკიდებელ საქართველოში ეს მონური ფსიქოლოგიის მქონე პატარა ადამიანებმა მოახერხეს ევროპა-ამერიკის საამებლად.**

*** სტალინის მმართველობის პერიოდში სსრკ-ის ტერიტორიაზე ნარკოტიკის მოხმარება აკრძალული იყო. წარმოუდგენელი და ღირსების შემლახველი იქნებოდა, ამ საკითხზე სტალინს აზრი ევროპისთვის რომ ეკითხა.**

ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, მაგალითი ევროპის დემოკრატიული ქვეყნებისგან უნდა ავიღოთ. ეს კი ქვეყნის მომავლის დასასრულის დასაწყისია.

*** სტალინს არატრადიციული სექსუალური ურთიერთობა კანონის ჩარჩოებში არ მოუქცევია და ქართველი ერის ღირსების შემლახველი ანტიდისკრიმინაციული კანონი არ მიუღია. მართალია, რუსეთის რევოლუციის შემდეგ გააუქმეს ჰომოსექსუალების საწინააღმდეგო ყველა კანონი, როგორც ბურჟუაზიული გადმონაშთი, მაგრამ 1934 წლის მარტში კალინინმა, სტალინის ბრძანებით, ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც ჰომოსექსუალობა სოციალური დამნაშავეობის რიგში დააბრუნა.**

ივანიშვილის ხელისუფლებამ მართლმადიდებლობას, მორალსა და ზნეობას ზურგი აქცია და ამერიკის დირექტივებს დაემორჩილა. ▶

მსოფლიო



## ჰუმანიტარული კატასტროფა სირიაში

**გაეროს ჰუმანიტარული საკითხების კოორდინაციის საკითხთა სამმართველოს პრესმდივნის — იენს ლერკეს განცხადებით, სირიაში, სადაც ბოლო ხუთი წელია, არ წყდება შეიარაღებული კონფლიქტი, 12 მილიონზე მეტი ადამიანი საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას.** ლერკეს განცხადებით, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებით გადაადგილებულია, 4 მილიონზე მეტი ადამიანი კი რეგისტრირებულია დევნილის სტატუსით. ადგილზე ვითარების გასაცნობად გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე სტივენ ო'ბრაიენი გაემგზავრა, რომელიც ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდება.



**ქვეყანაში ეროვნული საქმე არ გაკეთებულა და არც გაკეთდება. მიზეზი მარტივია — ამით პოლიტიკურ ქულებს ვერ ჩაიწერენ, რადგან, დასავლეთის დირექტივების თანახმად, ქვეყნის კულტურასა და ისტორიას ყურადღება არ სჭირდება. სწორედ ამიტომ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, სწორედ ამიტომ უგულებელყოფენ ყოველივე ეროვნულს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95






## დიდ ქართველს — სისადავითა და უბრალოებით განუმეორებელ სტალინს და პოლიტბიუროს წევრებს ხელფასი 10.000 მანეთი ჰქონდათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს – 20.000 მანეთი, ხოლო პრეზიდიუმის წევრებს – 10.000 მანეთი. ფრიადოსანი სტუდენტი 500 მანეთს იღებდა, სტალინური სტიპენდიანტები – 1000 მანეთს. ივანიშვილის ხელისუფლებამ კი მოსახლეობა შიმშილისთვის გაწირა და მინისტრს საარსებო მინიმუმზე 33-ჯერ მეტი ხელფასი დაუნიშნა

◀ *** დიდ ქართველს — სისადავითა და უბრალოებით განუმეორებელ სტალინსა და პოლიტბიუროს წევრებს ხელფასი 10.000 მანეთი ჰქონდათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს – 20.000 მანეთი, ხოლო პრეზიდიუმის წევრებს – 10.000 მანეთი. ფრიადოსანი სტუდენტი 500 მანეთს იღებდა, სტალინური სტიპენდიანტები – 1000 მანეთს.**

ივანიშვილის ხელისუფლებამ მოსახლეობა შიმშილისთვის გაწირა და მინისტრს საარსებო მინიმუმზე 33-ჯერ მეტი ხელფასი დაუნიშნა.

**დღეს მსოფლიო სტალინის მადლიერია, მისი ბიუსტი ამერიკაშიც კი დადგეს და სასაცილოა, როცა პატარა ადამიანები მისი ღვაწლის დამცირებას ლამობენ. ეს თემაც ხელისუფლებისთვის პოლიტიკური დივიდენდების მიღების წყაროდ იქცა.**

დღეს სტალინის იდეოლოგიური და იურიდიული სამართალმემკვიდრეა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, რომელიც დასავლეთის მოაზროვნე საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობს. მან საჯაროდ განაცხადა: **„საუკუნეების განმავლობაში რუსეთი კავკასიაში პოზიტიურ როლს თამაშობდა. ასე იყო წარსულში და ასე იქნება მომავალშიც, ეჭვი არავის შეეპაროს!“**

— ეს არის გზავნილი დასავლეთისა და კავკასიის ქვეყნებისთვის, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, რუსეთი სათანადოდ ვერ შეაფასა და კვლავ შეუერთდა ევროკავშირის მიერ განხორციელებულ ანტირუსულ სანქციებს ჩვენივე ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. შედეგად მივიღეთ ემბარგო ქართულ პროდუქციაზე! **რუსეთი არავის შეეშალოს დემოკრატიულ დასავლეთში! ჩვენი ხელისუფლება, ქვეყნის გაერთიანებაზე ფიქრის ნაცვლად, რუსეთს უპირისპირდება ქვეყანაში ამერიკის ინტერესების ლობირებით. მათი აზრით, რუსეთი დამარცხდება და ამერიკა გაიმარჯვებს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რომ ამერიკა-ევროკავშირმა ვერაფერი მოიმოქმედა, რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა რომ არ ელიარებინა.**

ამას წინათ ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენელმა სიამაყით აღნიშნა, დახმარების მსურველი ხალხი შემცირდა ქვეყანაშიო. ეს კი, ფაქტობრივად, მოსახლეობის 1.700.000-მდე შემცირებამ გამოიწვია. ჩვენი ხელისუფლებაც ამიტომ ესწრაფვის ვიზალიბერალიზაციას: ქვეყანა დაიცლება ქართველებისაგან; არ არის ხალხი — არ არის პრობლემაც.

**ამერიკელთა დამპყრობლური მიზნები არ იცვლება, ამიტომ ჩვენ უნდა შევცვალოთ საგარეო პოლიტიკა. საჭიროა, შეიქმნას ერთიანი ეროვნული სტრატეგია და პარტიებს შორის შედგეს კონსესუსი. ვინმეს სჯერა, რომ ვინც დღეს ევროკავშირსა და ნატოს ეტრფის, ეს იდეოლოგიურად ხდება? საკმარისია, რუსეთმა დააფინანსოს რომელიმე პარტია თუ ორგანიზაცია, თავპირისმტვრევით გადაბარგდებიან დაპირისპირებულ ბანაკში!** სამწუხაროდ, რუსეთი ამას არ აკეთებს, რადგან არ სჭირდება საქართველო, **რუსეთი ჩვენ გვჭირდება ჩვენი სამომავლო მშვიდობიანი თანაარსებობისთვის.**

ივანიშვილის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ფულის შოვნის მექანიზმთან, მის მიერ დანიშნული კადრებითაც ჩანს. მას ხელისუფლებაში მოკალათებულ მაღალჩინოსნებთან ერთად კარგად აქვს გაანალიზებული დიაგნოზი, რომელიც ქართველ ერს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა დაუსვა — „დაავადებულია დებილობის მცირე ფორმით“. ისიც იციან, რომ, თუ ქართველი საზოგადოება ტარიფის მომატების ან პროდუქტების გაძვირების გამო აქციებს გამართავს, ეს სპონტანურად მოხდება, აქტივობა მალე ჩაქრება და მონური მორჩილებით შეეგუებიან რეალობას. ქართველი საზოგადოება ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოებად.

— რა დონემდე უნდა გაუბედურდეს ქვეყანა, რომ ხელისუფლება ამას მიხვდეს? — იკითხავს მავანი. ამერიკელთა ნარჩენებით ნაკვებმა ხელისუფლებამ ყველაფერი მშვენივრად იცის, მაგრამ პოლიტიკურ დივიდენდებს არ დათმობს. ივანიშვილმა პარლამენტი და მთავრობის ნაწილი დაიწუნა და ბრძანა: „მე არ მაქვს ბერკეტი გარდა იმისა, რომ არჩევნებზე მხარი არ დავუჭირო და საჯაროდ წავიდე მის წინააღმდეგ“. როგორც ჩანს, პრეზიდენტის ზემოაღნიშნული დიაგნოზის გათვალისწინებით, კვლავ შეეცდება ქართველების ნდობის მოპოვებას და ახალი სახეების შექმნით კულუარებიდან ხელისუფლების კვლავაც მართვას.

გადავუხადოთ ბიძინა ივანიშვილს მადლობა, ასეთი პრეზიდენტი რომ აირჩია. მადლობა იმისთვისაც, რომ მისი არჩეული ხელისუფლება არ გვკლავს და არ გვაუპატიურებს. ამისთვის ხომ უნდა ვაცხოვროთ ფუფუნებაში?! ჩვენ კი ბალახსაც მოვძოვთ!

რომ არა წინა ხელისუფლების მავნებლური პოლიტიკა, „ოცნებისტები“ არანაირი ნიშნით დადებითად არ წარმოჩნდებოდნენ. სწორედ ამ ფონზე მოირგო ივანიშვილმა გმირის მანტია. ქვეყანაში ეროვნული საქმე არ გაკეთებულა და არც გაკეთდება. მიზეზი მარტივია: ამით პოლიტიკურ ქულებს ვერ ჩაიწერენ, რადგან, დასავლეთის დირექტივების თანახმად, ქვეყნის კულტურასა და ისტორიას ყურადღება არ სჭირდება. **სწორედ ამიტომ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, სწორედ ამიტომ უგულებელყოფენ ყოველივე ეროვნულს: ეროვნული გამოცდების პროგრამაში შეზღუდულია „ვეფხისტყაოსანი“; სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორია არ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს სკოლაში.** ეროვნული საქმის კეთების შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკურ დივიდენდებს, გრანტებსა თუ სხვა დაფინანსებას აღარ მიიღებენ. **ეს არის „ქართული ოცნება“?! ლიბერალური ეკონომიკა და პოლიტიკა, რომელსაც ივანიშვილი ჩვენს ქვეყანაში ატარებს, მხოლოდ ერთეულების გამდიდრებას ემსახურება. საზოგადოდ, ლიბერალიზმი ეროვნული ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის დამღუპველია. დოსტოევსკი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში წერდა: „თუ ვინმე დაღუპავს ქვეყანას, ისინი ანარქისტები ან კომუნისტები კი არ იქნებიან, არამედ დაწყევლილი ლიბერალები“.**

ეს ხელისუფლება იდეოლოგიურად მზად არ აღმოჩნდა ჭეშმარიტად დიდი, პატრიოტული საქმეების კეთებისთვის და პირად კეთილდღეობას გადააყოლა ქვეყნის მომავალი ისე, რომ 3 წლის განმავლობაში მცდელობაც არ ყოფილა რუსეთთან მოლაპარაკებისა, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აქედან დასკვნა: **ხელისუფლებას ქვეყნის მომავალი არ აინტერესებს!**

ვაცნობიერებ რა ევროპული „ღირებულებების“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს, დემოტრაკიით მონიჭებულ გამოხატვის თავისუფლებას, საქართველოს კეთილმოდელირებულ ხელისუფლებას ჩვენი სულმნათი აკაკის ლექსის ერთი ბწკარედით მივმართავ: **„თქვენსავით ვერ წაიკუზა იარანალ — ხარაბუზა“.**

როგორც წინა, ეს ხელისუფლებაც შენი არჩევანი იყო, ქართველო!

**იზა თამაზაშვილი**

**P.S.** უარს ვამბობ არჩევნებში მონაწილეობაზე, ვიდრე:

1. პირადობის მოწმობაში არ აღდგება ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა;
2. პარლამენტი არ მიიღებს კანონს დეპუტატის გამოწვევის შესახებ;
3. არ დარეგულირდება სახელფასო სისტემა და მინისტრის ხელფასი არ გაუთანაბრდება საარსებო მინიმუმზე არაუმეტეს ხუთმაგ ოდენობას.



## ინგუშეთში «ისლამური სახელმწიფოს» 8 წევრი მოკლეს

**რუსმა სამართალდამცავებმა ინგუშეთში „ისლამური სახელმწიფოს“ 8 წევრი მოკლეს.**

დაღუპულებს შორისაა დაჯგუფების ლიდერი ადამ თაგილოვი, რომელსაც ბრალად ედება დეკემბერში ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში ტერაქტის მოწყობა, რომლის დროსაც 25 ადამიანი დაიღუპა.

როგორც ცნობილია, ანტიტერორისტული ოპერაციის შედეგად სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები და ასაფეთქებელი მოწყობილობები ამოიღეს.

რუსეთის ოფიციალური პირების თქმით, რუსეთის 1000-ზე მეტი მოქალაქე „ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდა, უფრო დიდი საფრთხე ამ მოქალაქეების დაბრუნების შემდეგ შეიქმნება.



## სირიაში ავიაიერიშებს 30-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა

**სირიაში სამთავრობო ჯარების მიერ ამბოხებულების პოზიციებზე განხორციელებულ ავიაიერიშებს 30-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. ამის შესახებ მედია უფლებადამცველებზე დაყრდნობით იტყობინება.** გავრცელებული ცნობით, ავიადარტყმები დედაქალაქ დამასკოსთან მას შემდეგ განხორციელდა, რაც საერთაშორისო ორგანიზაცია Amnest International-მა სირიის მთავრობას ომში დასდო ბრალი. უფლებადამცველი ორგანიზაციის ცნობით, წლის დასაწყისიდან დღემდე ავიაიერიშების შედეგად 500-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. მათივე ცნობით, იერიშები განხორციელდა მეჩეთებსა და ბაზრების ტერიტორიებზეც.

## ექიმებმა აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს

**აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს, ჯიმი კარტერს, სიმსივნე აქვს. ამერიკული მედიის ცნობით, ამის შესახებ ინფორმაცია კარტერმაც დაადასტურა. მისი თქმით, ღვიძლის ოპერაციის დროს ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ მას სიმსივნე აქვს და მეტასტაზები სხვა ორგანოებზეც ვრცელდება.**

აშშ-ის 39-ე პრეზიდენტმა ოპერაცია ატლანტაში გაიკეთა. თეთრი სახლის მოქმედმა ლიდერმა ბარაკ ობამამ სპეციალური განცხადება გაავრცელა და კარტერს გამოჯანმრთელება უსურვა. ჯიმი კარტერი აშშ-ის პრეზიდენტის პოსტს 1977-დან 1981 წლამდე იკავებდა. აშშ-ის პრეზიდენტობის შემდეგ ჯიმი კარტერი ადამიანის უფლებების კუთხით მუშაობდა.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბერმუდის სამკუთხედში საიდუმლო გაუჩინარებები პირველად ASSOCIATED PRESS-ის კორესპოდენტმა ჯონსმა ახსენა. 1950 წელს მან ამ რაიონს „ეშმაკის ზღვა“ უწოდა. სახელწოდება „ბერმუდის სამკუთხედის“ ავტორად ანომალიური მოვლენების მკვლევარი ვინსენტ გადისი მიიჩნევა.**

# ზოგი რამ ბერმუდის სამკუთხედის შესახებ

**ბერმუდის სამკუთხედი არის ატლანტის ოკეანის რაიონი, რომელიც მდებარეობს აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ფორმით სამკუთხედს წააგავს. მისი გვერდები მდებარეობს ბერმუდის კუნძულების რაიონში, ფლორიდის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემდეგ — ბაჰამის კუნძულების გასწვრივ, პუერტო-რიკოს კუნძულთან, სადაც კვლავ უხვევს თითქმის ჩრდილოეთისკენ და უბრუნდება ბერმუდებს დაახლოებით დასავლეთი გრძედის 65°-თან. ბერმუდის სამკუთხედი დედამიწის ერთ-ერთი საოცარი და საიდუმლოებით მოცული რაიონია.**

ამ ადგილის წყლებში ყოველთვის უგზო-უკვლოდ უჩინარდება გემები და თვითმფრინავები, ზოგჯერ — წყალქვეშა ნავებიც, ამიტომაც შეარქვეს „ატლანტიკის სასაფლაო“. სამკუთხედის შესახებ დოკუმენტურად ცნობილი მხოლოდ 1840 წლიდან გახდა, როცა იქვე ახლოს ფრანგული აფრიანი გემი „როზალინი“ იპოვეს. გემზე ყველა აფრა წესრიგში იყო, მაგრამ არ იყო ეკიპაჟის არც ერთი წევრი.

ანალოგიური შემთხვევა 1902 წლის 20 ოქტომბერსაც მოხდა – ატლანტის ოკეანეში გერმანულ ოთხანძიან ხომალდ „ფრეიას“ წააწყდნენ, მაგრამ ეკიპაჟის გარეშე. თანაც იმ დღეებში ამინდიც მშვენიერი იყო.

ამ და სხვა ანალოგიური გაუჩინარებების ასახსნელად სხვადასხვა ჰიპოთეზაა — დაწყებული ამინდით, დამთავრებული უცხოპლანეტელებით. თუმცა სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ **ბერმუდის სამკუთხედში გემების გაუჩინარება იმაზე ხშირად არ ხდება, ვიდრე მსოფლიო ოკეანის სხვა რაიონებში და ყველა შემთხვევა ბუნებრივი მიზეზებით აიხსნება.**

2013 წელს ბუნების მსოფლიო ფონდმა მოახდინა 10 ყველაზე სახიფათო წყლების იდენტიფიცირება, ამ ათეულში ბერმუდის სამკუთხედი არ მოხვედრილა.

**ქრისტეფორე კოლუმბი** იყო პირველი მოგზაური, რომელმაც 1492 წელს სარგასოს ზღვა და ბერმუდის სამკუთხედი გაიარა. მისი ერთ-ერთი გემის — „სანტა-მარიას“ ჟურნალი მოგვითხრობს კომპასის ისრის უცნაურ მოძრაობაზე, ცისა და ზღვის უჩვეულო ნათებაზე. ყოველი გაუგებარი მოვლენა მეზღვაურთა შორის შიშს იწვევდა. ამ უჩვეულო მოვლენების შესახებ ჭორი მალევე გავრცელდა მეზღვაურთა შორის და სულ მალე ატლანტიკის ამ რაიონმა შეიძინა უჩვეულო და საიდუმლოებით მოცული ადგილის რეპუტაცია.

**ბერმუდის სამკუთხედში საიდუმლო გაუჩინარებები პირველად Associated Press-ის კორესპოდენტმა ჯონსმა ახსენა. 1950 წელს მან ამ რაიონს „ეშმაკის ზღვა“ უწოდა. სახელწოდება „ბერმუდის სამკუთხედის“ ავტორად ანომალიური მოვლენების მკვლევარი ვინსენტ გადისი მიიჩნევა.** მან 1964 წელს სპირიტიზმისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია „მომაკვდინებელი ბერმუდის სამკუთხედი“. XX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში პრესაში გამოჩნდა მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოებების შესახებ.

1974 წელს ჩარლზ ბერლიცმა გამოაქვეყნა წიგნი „ბერმუდის სამკუთხედი“, რომელშიც ამ რაიონში სხვადასხვა საიდუმლოებით მოცული გაუჩინარებები აღწერა. წიგნი ბესტსელერი გახდა და სწორედ მისი გამოქვეყნების შემდეგ მოიხვეჭა განსაკუთრებული პოპულარობა თეორიამ ბერმუდის სამკუთხედის უჩვეულობის შესახებ. თუმცა შემდგომში გამოაშკარავდა, რომ ზოგიერთი ფაქტი ბერლიცის წიგნში არასწორად იყო გადმოცემული.

1975 წელს ლოურენს დევიდ კუშემ გამოაქვეყნა წიგნი „ბერმუდის სამკუთხედი: მითები და რეალობა“, რომელშიც შეეცადა, დაემტკიცებინა, რომ ამ რაიონში ზებუნებრივი და საიდუმლოებით მოცული არაფერი ხდება. აღნიშნული წიგნი დაფუძნებულია დოკუმენტებისა და თვითმხილველებთან საუბრების მრავალწლიან კვლევებზე. წიგნმა მრავალი შეცდომა და უზუსტობა გამოავლინა ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოს არსებობის მომხრეთა პუბლიკაციებში.

თეორიის მომხრეები ბოლო 100 წლის განმავლობაში დაახლოებით 100 მსხვილი საზღვაო და საჰაერო ხომალდის გაუჩინარების შესახებ საუბრობენ. გაუჩინარებათა გარდა, იტყობინებიან ეკიპაჟის მიერ გამართულ მდგომარეობაში მიტოვებული გემების, ასევე, სხვა ისეთი უჩვეულო მოვლენების შესახებ, როგორიცაა უეცარი გადაადგილება სივრცეში, დროის ანომალიები და ასე შემდეგ. კუშემ და სხვა მკვლევარებმა აჩვენეს, რომ ამ შემთხვევათაგან ზოგიერთი ბერმუდის სამკუთხედის საზღვრებს მიღმა მოხდა, ზოგიერთი შემთხვევის შესახებ კი რაიმე ინფორმაციის მოპოვება ოფიციალურ წყაროებში ვერ მოხერხდა.

**ბერმუდის სამკუთხედთან დაკავშირებული ყველაზე ცნობილი შემთხვევა უკავშირდება „ევენჯერის“ ტიპის სამადგილიანი ბომბდამშენების გაუჩინარებას.** თვითმფრინავები 1945 წლის 5 დეკემბერს ფორტ-ლოდერდეილში (ფლორიდა) მდებარე აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზიდან აფრინდნენ და სროლაში ორსაათიანი წვრთნა უნდა ჩაეტარებინათ. ისინი უკან არ დაბრუნებულან, მათ ნამსხვრევებს კი ვერსად მიაგნეს.

ბერლიცის თანახმად, 14 გამოცდილი პილოტისგან შემდგარი ესკადრილია გაუჩინარდა ჩვეულებრივი ფრენის დროს მზიან ამინდში მშვიდი ზღვის თავზე. ასევე, ცნობილია, რომ ბაზასთან რადიოსაუბრისას პილოტები თითქოს საუბრობდნენ სანავიგაციო მოწყობილობის მოულოდნელ გაფუჭებასა და უჩვეულო ვიზუალურ ეფექტებზე — „ჩვენ არ შეგვიძლია მიმართულების დადგენა, ოკეანე კი არ გამოიყურება ისე, როგორც ყოველთვის... ჩვენ თეთრ წყლებში ვეშვებით“.

კუშეს ვერსიით, სინამდვილეში ეს რგოლი შედგებოდა კურსანტებისგან, რომლებიც საწვრთნელ ფრენას ასრულებდნენ. გამოცდილი პილოტი იყო მხოლოდ მათი ინსტრუქტორი, ლეიტენანტი ტეილორი, მაგრამ იგი სულ ცოტა ხნის წინათ გადმოიყვანეს ფორტ-ლოდერდეილში, რის გამოც კარგად არ იცნობდა საფრენ რაიონს.

ჩაწერილ რადიოგადალაპარაკებებში არაფერია ნათქვამი რაიმე საიდუმლო მოვლენებზე. ლეიტენანტმა ტეილორმა განაცხადა, რომ მან ორიენტაცია დაკარგა და ორივე კომპასი გაუფუჭდა. თავისი ადგილმდებარეობის დადგენის მცდელობისას მან შეცდომით იფიქრა, რომ ესკადრილია ფლორიდა-კისის კუნძულების თავზე, ფლორიდისგან სამხრეთით იმყოფებოდა, ამიტომ მას შესთავაზეს მზის მიხედვით ორიენტირება და ჩრდილოეთით გაფრენა.

ამის შემდეგ რადიოკავშირი მკვეთრად გაუარესდა. რგოლის მეთაურს საერთოდ არ ესმოდა ავიადისპეტჩერის ხმა, თუმცა საგუშაგო პუნქტში პილოტების საუბარს მშვენივრად არჩევდნენ. ისინი ერთმანეთს კომპასების სხვადასხვა ჩვენების, საწვავის მარაგის უეცარი შემცირებისა და მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხლის თაობაზე ატყობინებდნენ.

შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ შესაძლოა, თვითმფრინავები იმყოფებოდნენ აღმოსავლეთით და, ეჭირათ რა ჩრდილოეთის კურსი, მოძრაობდნენ სანაპიროს პარალელურად.




რამდენიმე ხანში ტეილორმა გადაწყვიტა დასავლეთის მხარეს გაფრენა, მაგრამ სანაპიროს ვერ მიაღწია, რადგან საწვავი თავდებოდა. ევენჯერთა ეკიპაჟები იძულებულნი გახდნენ, წყალზე დასხდომა ეცადათ. ამ დროისთვის უკვე დაბნელდა, ხოლო ზღვა, იმ დროს მყოფი გემების თქმით, აბობოქრებული იყო. ევენჯერთა გაუჩინარების შემდეგ მათ საძებნად სხვა თვითმფრინავები გაგზავნეს და ერთ-ერთი მათგანი — ჰიდროთვითმფრინავი „მარტინ მარინერი“ თავისი 13-კაციანი ეკიპაჟით, ასევე, უკვალოდ გაუჩინარდა. კუშეს მოსაზრებით, ასეთი ტიპის თვითმფრინავებს გარკვეული ნაკლოვანება აქვთ — საწვავის ორთქლი კაბინაში აღწევს და ერთი ნაპერწკალიც საკმარისია, რომ აფეთქდეს.

ტანკერ „გეინე მილსის“ კაპიტანმა განაცხადა, რომ იგი აფეთქებას და ნამსხვრევებს თვალს ადევნებდა, შემდეგ კი ზღვის ზედაპირზე ზეთის ლაქა აღმოაჩინა.

საინტერესოა, რომ, როცა „ევენჯერებს“, წესით, საწვავი ორი საათის გათავებული უნდა ჰქონოდათ, მაიამის ავიაბაზაზე მიიღეს ჩარლზ ტეილორის რადიომოხმობის სუსტი სიგნალი ყოველგვარი სხვა ინფორმაციის გარეშე.

1991 წელს სამძებრო ხომალდი „დიფსი“, რომელიც ესპანური ოქროთი დატვირთული გალეონის ძიებით იყო დაკავებული, ფორტ-ლოდერდეილის ჩრდილო-აღმოსავლეთით შემთხვევით 250 მეტრის სიღრმეზე გვერდიგვერდ დაწყობილ ოთხ ევენჯერს წააწყდა. მეხუთე — ნომრით 28(ზუსტად ეს ნომერი ჰქონდა ტეილორის თვითმფრინავს), იპოვეს დანარჩენი ოთხისგან ერთი მილის მოშორებით. საოცარი ის იყო, რომ თვითმფრინავები მშობლიური ბაზიდან 10 მილში იყვნენ. თვითმფრინავები ბატისკაფით შეამოწმეს — ყველა სრულიად უვნებელი იყო, ხოლო კაბინებში ეკიპაჟის წევრების კვალსაც ვერ მიაგნეს.

## ბერმუდის სამკუთხედში გემების გაუჩინარება იმაზე ხშირად არ ხდება, ვიდრე მსოფლიო ოკეანის სხვა რაიონებში და ყველა შემთხვევა ბუნებრივი მიზეზებით აიხსნება



ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ამ რაიონში ადგილი აქვს დროის არათანაბარ დინებას. მაგალითად, ამერიკელ მეცნიერს — აივორ სანდერსონს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „ნეიშენალ ეარლაინსის“ სამგზავრო ავიალაინერი უახლოვდებოდა მაიამის დასაჯდომ ბილიკს და იმყოფებოდა მიწის რადიოკონტროლის კარგი მომსახურების ქვეშ. დაშვებამდე 20 წუთით ადრე პილოტებმა საათი შეამოწმეს სადისპეტჩერო სამსახურთან. უეცრად ავიალაინერი რადიოლოკატორის ეკრანიდან გაქრა, ხოლო 10 წუთის შემდეგ კვლავ გამოჩნდა. თვითმფრინავი ნორმალურად დაეშვა, მაგრამ 10 წუთის შეყოვნებით. მფრინავები ამ ფაქტს გამორიცხავდნენ, რადგანაც მათმა ავიალაინერმა დაფრენა დროულად მოახერხა და ბორტზეც დრო ერთმანეთს ემთხვეოდა.

მკვლევარმა ჩარლზს ბერლიცმა წამოაყენა სხვა იდეა – ის ფიქრობდა, რომ ამ ადგილებში სივრცითი-დროის ბზარები იყო. ალბათ, მასში იკარგება დრო და დრო თვითმფრინავები და გემები. თავისი ჰიპოთეზის გასამყარებლად ბერლიცი იშველიებს აინშტაინის ფარდობითობის თეორიას, რომლის თანახმადაც დედამიწის ძლიერ გრავიტაციულ ველებზე დროის მსვლელობა შენელებულია.

ზოგი თვლის, რომ მიზეზი წყლის გრავიტაციულ შეგროვებაშია. ამ მოვლენას ბევრი შეესწრო. მაგალითად, „ბოინგ-707“-ის პილოტები, რომლებმაც ეს სან-ხუანიდან ნიუ იორკში გადმოფრენისას 1963 წლის 11 აპრილს ნახეს. აფრენიდან 20 წუთში ხუთი მილის მოშორებით მათ დაინახეს ასობით მეტრის დიამეტრის ყალყზე შემდგარი წყლის მასა. თანდათან წყალი ქვემოთ იწევდა. მფრინავები ბევრ კითხვას უსვამდნენ სანაპირო ზოლის დაცვას, სეისმურ სადგურებს, მეცნიერებათა აკადემიას და სხვებს იმ კატაკლიზმების შესახებ, რომლებსაც ამის მოხდენა შეეძლო.

ზოგი ფიქრობს, რომ ადამიანების სიკვდილის მიზეზი არის 1-დან 11-ჰერცამდე დიაპაზონის ულტრაბგერითი გამოსხივება, რომელიც ოკეანის ღელვისას წარ- ▶



## ბერმუდის სამკუთხედი დედამიწაზე ერთადერთი ადგილი არ არის, რომელზეც აღრიცხულია ანომალიური შემთხვევები. ანალოგიური თავისებურებებით გამოირჩევა კიდევ 4 ადგილი: კუნძულ გუამის ჩრდილოეთით მდებარე ოლქი, აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი, სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ზონა და ავსტრალიასა და ანტარქტიდას შორის მდებარე ოლქი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოიქმნება. ცნობილია, რომ 7 ჰერცის სიხშირის ინფრაბგერების ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე სახიფათოა, რადგანაც შეიძლება გამოიწვიოს იმავე სიხშირეზე მრხევი ორგანოების რეზონანსი. გარდა ამისა, ახლო რხევებმა შეიძლება სხვადასხვა ფსიქიკური გადახრა გამოიწვიოს.

ინფრაბგერების ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანს შეიძლება პანიკური შემოტევები დაეწყოს, ხოლო გემის კორპუსი და ანძები დაიმტვრევა ან რხევას დაიწყებს. გასაკვირი არცაა, რომ ამ ყველაფრის გავლენით ადამიანი ენით აუწერელ პანიკაში ჩავარდეს და პირდაპირ წყალში გადაეშვას.

ძლიერი მაგნიტური ველის თეორიის მიხედვით, **ბერმუდის სამკუთხედის ცუდი რეპუტაციის მიზეზი არის დედამიწის მაგნიტური ველი, რომელიც ამ სპეციფიკურ რეგიონში განსაკუთრებით ძლიერია. დაკვირვება აჩვენებს, რომ ბერმუდის ტერიტორიაზე კომპასის ისრები სწრაფად იწყებს რხევას, ხოლო სანავიგაციო მოწყობილობები ნორმალურად ფუნქციონირებას წყვეტს.** ამის მიზეზი ისაა, რომ ბერმუდის სამკუთხედი ერთ-ერთი იშვიათი რეგიონია, სადაც გეოგრაფიული ჩრდილოეთი და მაგნიტური ჩრდილოეთი ერთმანეთს ემთხვევა. ამის გამო ელექტრომაგნიტური შტორმები, რომლებიც დედამიწის ქერქის ქვეშ წარმოიშობა, თავისუფლდება ატმოსფეროში და უკან ნისლს ტოვებენ. რეგიონის ძლიერი მაგნიტური ეფექტები შეიძლება, ასევე, იყოს მიზეზი მრავალ ადამიანთა უკვალოდ გაქრობისა.

ვარაუდობენ იმასაც, რომ ათასობით წლის წინათ ამ რეგიონში კოსმოსიდან შემოჭრილი კომეტა ჩამოვარდა. ადამიანებს, რომელთაც ამ თეორიის სჯერათ, ასევე სჯერათ, რომ სადღაც, ოკეანის სიღრმეებში კომეტის ნარჩენებია და სწორედ მისგან გამოწვეული ელექტრომაგნიტური მიზიდულობა იწვევს კატასტროფებსა და ხომალდიდან წამოსული სიგნალების ჩახშობას ბერმუდის სამკუთხედში. თუმცა კომეტის ნარჩენები ან ჩამოვარდნის რაიმე კვალი ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი და მტკიცებულებების უქონლობის გამო ეს თეორია მხოლოდ ვარაუდად რჩება.

**კიდევ ერთი თეორიის თანახმად, ბერმუდის მოვლენების გამომწვევი მიზეზი ჭარბი რაოდენობის მეთანის აირია.** თეორიის მიხედვით, აირის ბუშტები მიიწევს წყლის ზედაპირისკენ და ამცირებს მის სიმკვრივეს, შესაბამისად მცირდება წყლის დაძაბულობის მაჩვენებელი, ანუ ის ძალა, რომელიც სხეულების ტივტივს უზრუნველყოფს. ამ მიზეზის გამო დიდი ხომალდები ველარ ახერხებენ წყალზე გაჩერებას და იძირებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ოკეანე უნდა ინახავდეს ხომალდების ნარჩენებს. თუმცა თეორიას ამის ახსნაც აქვს – გოლფსტრიმის ძლიერი დინება მათ რეგიონისგან შორს მიაქანებს. ერთი შეხედვით, ეს თეორია დამაჯერებელია, თუმცა ბერმუდის რეგიონის სიახლოვეს წყალქვეშა მეთანის არსებობის ფაქტი ჯერჯერობით არ გვაქვს.

ატლანტიდის თეორიას ის ადამიანები უჭერენ მხარს, რომლებსაც სჯერათ, რომ ჩაძირული მიწა, სახელად ატლანტიდა, ერთ დროს ბაჰამის კუნძულების ახლოს მდებარეობდა ატლანტის ოკეანეში. მათ ასევე სჯერათ, რომ მისტიკური ქალაქი ატლანტიდა ამჟამად ოკეანეში განისვენებს, ლეგენდა კი გვიამობს, რომ ატლანტიდაზე ენერგიით მომარაგების წყარო მძლავრი კრისტალები იყო. ამ თეორიის მიხედვით, ოკეანეში არსებული კრისტალების ნარჩენები იწვევენ მოწყობილობების არევასა და მწყობრიდან გამოყვანას. ერთ-ერთ მტკიცებულებად თეორიის მომხრეებს მოაქვთ ბიმინის გზა, რომელიც ბაჰამის კუნძულების სიახლოვეს არსებულ წყალქვეშა ლოდების უცნაურ სტრუქტურას წარმოადგენს და ძალიან ჩამოჰგავს უძველეს ნავსაშენს.

დროის გამრუდების თეორია ერთ-ერთი პოპულარული თეორიაა, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ფაქტი არ არსებობს მის მხარდასაჭერად. თეორიის მიხედვით, ამდენი ხომალდის გაუჩინარების მიზეზი დროში მოგზაურობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს თეორია ამბობს, რომ, როცა რაიმე ობიექტი ქრება ბერმუდის სამკუთხედის რაიონში, ის გარკვეული დროით გადაინაცვლებს ან წარსულში, ან მომავალში. არიან ადამიანებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იხილეს უზარმაზარი, გვირაბის ფორმის ღრუბელი, რომელიც, მათივე ვარაუდით, დროში გასასვლელი კარიბჭე იყო.

ცხადია, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც გახშირებულ კატასტროფებში მისტიკურს ვერაფერ ხედავენ და მიიჩნევენ, რომ ეს პილოტთა მიზეზით ხდება. არეალი ბერმუდის სამკუთხედის გარშემო შედგება კუნძულების რიგისგან, რომელთაგან თითოეული ძალიან ჰგავს დანარჩენებს. ამის გამო ხშირად ძალიან ძნელი ხდება გზის გაგნება. გარდა ამისა, ამაში ცუდი ამინდიც და შტორმებიც თავიანთ როლს თამაშობს. როცა ასეთ პირობებში იკარგებით, თითქმის შეუძლებელი ხდება უკან დაბრუნება. ბერმუდის კუნძულების თავზე მდებარე საჰაერო არეალიც გადატვირთულია ავიარეისებით, რაც ზრდის კატასტროფების მოხდენის ალბათობას.

უცხოპლანეტელთა აქტიურობაზე არსებობს თეორიის ორი ვერსია უმნიშვნელო სახეცვლილებით, თუმცა იდეა ერთია — ბერმუდის სამკუთხედის ამბების უკან არამიწიერი ცივილიზაცია დგას. პირველი ვერსიით, ეს ხდება იმიტომ, რომ სხვა პლანეტებზე მობინადრე უცხოპლანეტელები იტაცებენ ადამიანებს; მეორე ვერსიით კი, ზოგჯერ გემები და თვითმფრინავები მაშინ გადიან ამ რეგიონს, როცა უცხოპლანეტელები სტუმრობენ დედამიწას და ადამიანთა ხომალდებიც ავტომატურად სხვა განზომილებაში გადადის — სავარაუდოდ, უცხოპლანეტელთა მშობლიურ პლანეტაზე. მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, ეს თეორია ყველაზე მეტადაა პოპულარული და მისი უამრავ ადამიანს სჯერა.

**გსმენიათ რამე ზონა 51-ზე (Area 51)? — ესაა აშშ-ის საჰაერო ძალების სამხედრო ბაზა, სადაც სამხედრო ხომალდების გამოცდა ხდება და სადაც, გადმოცემით, ხშირია ამოუცნობ მფრინავ ობიექტთა სტუმრობის შემთხვევები.** ბევრი თვლის, რომ ზონა 51 გაცილებით მეტია, ვიდრე, უბრალოდ, იარაღის გამოსაცდელი ტერიტორია, და მისი მეშვეობით აშშ-ის მთავრობა უცხო ცივილიზაციებს ეკონტაქტება. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სწორედ ამ მოწინავე ტექნოლოგიების მიზეზით ხდება გემებისა და თვითმფრინავების გაქრობა.



**ატლანტის რეგიონი ცნობილია შტორმებით, ქარიშხლებითა და ავდრით. მძვინვარე შტორმების მეშვეობით ხშირად წარმოიქმნება ტალღები, რომელთა სიმაღლე 25 მეტრს და მეტსაც აღწევს ხოლმე. ამას ემატება გოლფსტრიმის მძლავრი დინებაც და იქმნება პირობები, რომელთაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია**



**რამდენიმე წლის წინათ გავრცელდა ცნობა, რომ კანადელმა მეცნიერებმა ბერმუდის სამკუთხედის წყლებში უძველესი ქალაქი — პირამიდები და სფინქსები აღმოაჩინეს. მკვლევარებმა წარმოადგინეს ფოტოები და აცხადებენ, რომ ერთ-ერთი პირამიდა შუშისაა**



ცუდი ამინდი სკეპტიკოსების ერთ-ერთი საყვარელი თეორიაა, რომელიც ხსნის ბერმუდის სამკუთხედის უცნაურობებს. **ატლანტის რეგიონი ცნობილია შტორმებით, ქარიშხლებითა და ავდრით. მძვინვარე შტორმების მეშვეობით ხშირად წარმოიქმნება ტალღები, რომელთა სიმაღლე 25 მეტრს და მეტსაც აღწევს ხოლმე. ამას ემატება გოლფსტრიმის მძლავრი დინებაც და იქმნება პირობები, რომელთაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია.**

ოკეანის სიღრმეში კიდევ ერთი საფრთხე იმალება: აქვე არის ატლანტის ოკეანის ყველაზე ღრმა ადგილი – პუერტო-რიკოს ღრმული, რომელიც 8605 მეტრს აღწევს. ასე რომ, თუკი გემი ან თვითმფრინავი ჩაიძირება, სრულიად შესაძლებელია, უკვალოდ გაუჩინარდეს.

**რამდენიმე წლის წინათ გავრცელდა ცნობა, რომ კანადელმა მეცნიერებმა ბერმუდის სამკუთხედის წყლებში უძველესი ქალაქი – პირამიდები და სფინქსები აღმოაჩინეს. მკვლევარებმა წარმოადგინეს ფოტოები და აცხადებენ, რომ ერთ-ერთი პირამიდა შუშისაა.** წყალქვეშა ქალაქის არქიტექტურა მეცნიერებს უძველეს ლათინოამერიკულ, კერძოდ კი, ტეოტიუკანების ცივილიზაციის არქიტექტურას აგონებს.

ზღვის ფსკერი რობოტის საშუალებით შეისწავლეს, კადრებში ჩანს არა მარტო პირამიდები, არამედ სფინქსიც და რამდენიმე მონოლითური ნაგებობა.

აღმოჩენა შემთხვევითი არ ყოფილა. თავიდან კუბის ხელისუფლებამ კანადელი მკვლევარები ოკეანის ფსკერის კარტოგრაფიული აღწერისთვის დაიქირავა, სწორედ ამ სამუშაოების დროს აღმოაჩინეს წყალქვეშა ქალაქიც.

მკვლევრების განცხადებით, აღმოჩენილი ქალაქის ნანგრევები 600 ფუტით დაბლაა ოკეანის დონეზე და კუბის სანაპიროდან ბერმუდის მიმართულებით 700 მეტრშია....მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ქალაქი ატლანტიდაა და ის 10 000 წელზე მეტს ითვლის.

უნდა ითქვას, რომ **ბერმუდის სამკუთხედი დედამიწაზე ერთადერთი ადგილი არ არის, რომელზეც აღრიცხულია ანომალიური შემთხვევები. ანალოგიური თავისებურებებით გამოირჩევა კიდევ 4 ადგილი: კუნძულ გუამის ჩრდილოეთით მდებარე ოლქი, აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი, სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ზონა და ავსტრალიასა და ანტარქტიდას შორის მდებარე ოლქი.** არანაკლებ საშიშია „სატანის ზღვა“, რომელიც იაპონიის ნაპირებთან მდებარეობს და ჰონსიუდან 250 მილითაა დაშორებული. ოკეანის ამ ნაწილს რომბის ფორმა აქვს და იაპონიის სახელმწიფოს მიერ საშიშ ზონადაა გამოცხადებული. 1995 წელს იქ გაგზავნეს ხომალდი „კაიე-მარუ 5“ სხვადასხვა ექსპერიმენტისა და გაზომვის ჩატარების მიზნით. ხომალდი უკან არ დაბრუნებულა.

ტერიტორია ვულკანურად აქტიურია და ხშირად გრიგალები იცის. აქ ერთ ღამეში შეიძლება კუნძულებიც კი გაქრეს. გამოცდილი ნავიგატორების მიერ შედგენილ რუკებსა და დოკუმენტებზე ხშირად საკმაოდ ბევრ კუნძულს ველარ პოულობენ. ძველ იაპონურ ჩანაწერებში ამ ადგილის შესახებ სხვადასხვა ცნობა არსებობს. ჩვენი წელთაღრიცხვით 1000 წლით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ წყალქვეშა სასახლეებში დრაკონები ბინადრობენ. ისინი დრო და დრო ზღვის სიღრმიდან ამოდიან და უიღბლო ნაოსნებს თავიანთ სამფლობელოში მიჰყავთ. სხვადასხვა კატასტროფის მიუხედავად, ამ ადგილს მხოლოდ გასული საუკუნის 60-იან წლებში მიაქციეს ყურადღება.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ინდოეთში უცხოპლანეტელი აღმოაჩინეს

**სოციალურ ქსელებში რამდენიმე დღის წინათ გამოჩნდა ფოტო, რომელზეც ინდოეთში, ქალაქ ჯოდხპურში, ქალაქის ჭასთან პატარა არსებაა აღბეჭდილი.** ადგილობრივი მცხოვრებლები აღმოჩენილმა არსებამ შოკში ჩააგდო. ფოტოს ავტორის მტკიცებით, ეს ჰუმანოიდია. ინტერნეტის მომხმარებლების ნახევარი დარწმუნებულია, რომ ფოტო ყალბია, მეორე ნახევარს კი ფოტოზე აღბეჭდილი არსება უცხოპლანეტელი ჰგონია.



## სელფის მსხვერპლი

**ტრაგიკული ინციდენტი საღამოს საათებში მოხდა — ესპანეთში ხარების ტრადიციული, სადღესასწაულო რბოლის დროს ქალაქ ვილიასეკა-და-ლა-საგრაში (ტოლედოს პროვინცია) გარდაიცვალა 32 წლის მამაკაცი, რომელიც ცდილობდა, მორბენალი ცხოველების ფონზე სელფი გადაეღო.** მან ვერ შენიშნა, რომ ერთ-ერთი განრისხებული ცხოველი მას უახლოვდებოდა. ხარმა მამაკაცს რქები კისერსა და მხარში გაუყარა, რამდენიმეჯერ ააგდო მაღლა და შემდეგ კარგა ხანს ურტყამდა რქებს. დაზარალებული უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ მოახერხეს. მომხდარის შემდეგ ქალაქში შეაჩერეს ყველა სადღესასწაულო ღონისძიება, რომელთა გამართვაც მთელი კვირის განმავლობაში იყო დაგეგმილი.



## ადამიანებს სიცოცხლეს 135 წლამდე გაუხანგრძლივებენ

**ესპანეთში უნივერსიტეტ ოვიედოს მკვლევარებმა მოახერხეს, საექსპერიმენტო თაგვებისთვის სიცოცხლე 65%-ით გაეხანგრძლივებინათ. თუ ცდის ადამიანებზე გადატანა მოხერხდა, მაშინ შესაძლებელია, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 135 წელი გახდეს.**

მეცნიერები ეძებდნენ არა ახალგაზრდობის ელექსირს, არამედ წამალს, რომელიც უჯრედების დაბერებას შეანელებდა. მიკრობიოლოგებმა მოახერხეს ორი მოლეკულის მეშვეობით უჯრედების გადაპროგრამების მექანიზმის და მათზე თანამედროვე წამლებით ზემოქმედების მეთოდის გამონახვა. წამლები საშუალებას იძლევა, უჯრედები გაახალგაზრდავდეს, ამასთან, არა მხოლოდ დაავადებული უჯრედები, არამედ 90 წელს ზევით მყოფი ჯანმრთელი ადამიანებისაც.

ამჟამად მეცნიერები აპირებენ, ადამიანის ორგანიზმიდან იმ განსაკუთრებული ცილის გამოცალკევება სცადონ, რომელიც პასუხისმგებელია დაბერებაზე. მათი აზრით, საკმარისია არც ისე ბევრი კვლევის ჩატარება და მოახერხებენ ნამდვილი „ახალგაზრდობის ელექსირის" დამზადებას.



## სამყაროს განადგურების სიჩქარე

**ასტროფიზიკოსებმა პირველად შეაფასეს სამყაროს განადგურების სიჩქარე, მიღებული ცნობები კი მისი გარდაცვალების თარიღის დასაზუსტებლად გამოიყენეს.**



მეცნიერებმა კვლევის შედეგები საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ყრილობაზე გაამხილეს. მიღებული ცნობების მიხედვით, ბოლო 2,3 მილიარდი წლის განმავლობაში ვარსკვლავების გამოსხივების ინტენსივობა ორჯერ შემცირდა. ასტრონომების აზრით, სამყარომ უკვე გაიარა გამოსხივების მაქსიმალური ინტენსივობის პიკი, ხოლო 100 ტრილიონ წელში ყველა ვარსკვლავი ჩაქრება.

მას შემდეგ, რაც არსებობას უკანასკნელი კაშკაშა ვარსკვლავებიც შეწყვეტენ, სამყაროში მხოლოდ შავი ხვრელები, ნეიტრონული ვარსკვლავები და ცივი პლანეტები დარჩება. კვადრილიონი წლის შემდეგ პლანეტებიც აღარ იარსებებს, 10 კვადრილიონი წლის შემდეგ კი ნეიტრონული და ჯუჯა ვარსკვლავები მასიურ შავ ხვრელებს შეერწყმიან.

იმის შესახებ, რომ სამყარო ნელ-ნელა კვდება 90-იანი წლებიდანაა ცნობილი, მაგრამ მეცნიერებმა პირველად მოახერხეს ამ პროცესის ტემპის შეფასება.

## «გუგლი» სახელწოდებას იცვლის

**კომპანია „გუგლის" დამაარსებლები — ლარი პეიჯი და სერგეი ბრინი საძიებო სისტემის ბაზაზე ქმნიან ახალ ჰოლდინგ-სტრუქტურას, სახელწოდებით „ანბანი" (Alphabet).**




„ჩვენ მოგვეწონა ეს სახელწოდება, რადგან ის იმ ასოების ერთობას აღნიშნავს, რომლებითაც ენა შედგება. ენა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონებაა და „გუგლის" სისტემაში ინდექსირება სწორედ მისი საშუალებით ხდება. ჩვენ, აგრეთვე, მოგვეწონა, რომ ეს სიტყვა ნიშნავს „ალფა-ბეტ"-ს (ალფა: ინვესტიციებზე ნორმაზე მეტი შემოსავალი), რის მიღწევასაც ვცდილობთ", — ამბობს ლარი პეიჯი.

მედიაში აღნიშნავენ, რომ ეს ცვლილება აუცილებელია იმისთვის, რომ აქტივების მართვის სტრუქტურა გასაგები გახდეს. ცვლილებების შედეგად, პეიჯი კომპანიის გენერალური დირექტორი გახდება, ბრინი კი — პრეზიდენტი. „გუგლის" მართვაზე კონტროლი კომპანიის ვიცეპრეზიდენტს — სუნდარუ პიჩაის გადაეცემა.

**„ჩვენი კომპანია ამჟამად კარგად მუშაობს, მაგრამ ვთვლით, რომ შეგვიძლია, მისი საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გავხადოთ. ასე რომ, ვქმნით ახალ კომპანიას სახელწოდებით „ანბანი",** — დასძინა პეიჯმა.

აღსანიშნავია, რომ „ანბანი" „გუგლს" ბირჟებზე შეცვლის: ძველი კომპანიის აქციები ავტომატურად გარდაიქმნება ახალი სტრუქტურის აქციებად.

## რობოტებთან სექსი მალე ნორმად იქცევა

**ბრიტანელი მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ უახლოეს 50 წელიწადში ადამიანსა და რობოტს შორის სექსი ნორმა იქნება. მათი აზრით, ასეთი კავშირები გააუმჯობესებს ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და გავლენას არ მოახდენს პოპულაციაზე.**

ბრიტანეთში სანდერლენდის უნივერსიტეტის დოქტორმა სექსის ფსიქოლოგიაში — ელენ დრისკოლმა ჩაატარა რამდენიმე ექსპერიმენტი, რომელზე დაყრდნობითაც დაასკვნა, რომ ამ საუკუნეში სექსუალური ტექნოლოგიები მამაკაცსა და





ქალს შორის კლასიკურ ურთიერთობას პრიმიტიულს გახდის.

დრისკოლის აზრით, უკვე 2070 წელს ადამიანები არა მხოლოდ სექსით დაკავდებიან ტექნიკასთან, არამედ შეუყვარდებათ კიდეც რობოტები.

**„არავინ იტყოდა უარს, მისი სექსსათამაშო რომ გაეცოცხლებინათ. მას არ სჭირდება კვება, არ უნდა უთხრა კომპლიმენტები, ის სხვასთან არ გიღალატებს. ეს გააუმჯობესებს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ვირტუალური რეალობა სულ უფრო რეალური ხდება და, სექსის იმიტაციის გაუმჯობესების შემთხვევაში, ბევრი ადამიანი რობოტებთან სექსს მიანიჭებს უპირატესობას",** — ამტკიცებს დრიკსოლი.

თუ სოციოლოგიურ კვლევებს დავუჯერებთ, ხალხი ჯერ არ არის მზად რობოტებთან სექსისთვის, ამიტომ კაცობრიობას კიდევ აქვს სიტუაციის გამოსწორების შანსი.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მზის ტატუ

**წლევანდელი ზაფხულის ყველაზე პოპულარული სიახლე აღმოჩნდა „მზის ტატუ“.** სოციალური ქსელების მომხმარებლები ხშირად აქვეყნებენ ფოტოებს, რომლებზეც სხეული რუჯის საშუალებით დატანილი სხვადახვა გამოსახულებებით აქვთ დაფარული. „მზის ტატუ“ შეგიძლიათ გაიკეთოთ მზის დამცავი მალამოს გამოყენებით ან სასურველი ფორმის დასაკრავის სხეულზე დაფარებით.



# ჯადოსნური ქორწილი



**28 წლის უილ გრანტმა თავისი საცოლე, 33 წლის ემი განდერი, დაიყოლია, რომ ქორწილი „ბეჭდების მბრძანებლის“ სტილში გადაეხადათ. დეკორატორებმა ბაღი იმ სოფელს მიამსგავსეს, რომელშიც ტოლკინის წიგნების მთავარი გმირი ფროდო ბეგინსი ცხოვრობს. ნეფე და პატარძალი საზოგადოების წინაშე ფროდოსა და გალადრიელის იმიჯით წარსდგნენ. წყვილმა სტუმრებს სთხოვა, ქორწილში შესაბამისი სამოსით მისულიყვნენ.**

სიყვარულის ფიცი წყვილს გენდალფმა დაადებინა, ბეჭედი კარგად გაწვრთნილმა არწივმა მიუტანა, სადღეგრძელოებს კი წარმოთქვამდნენ ჰობიტები, გნომები და ელფები.

# ყველაზე სასარგებლო ხილი დედამიწაზე

**მეცნიერებმა დაასახელეს ყველაზე სასარგებლო ხილის სახეობა. ეს წვნიანი ნუგბარი იცავს ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან, აძლიერებს იმუნიტეტს და თანაც მცირე რაოდენობით კალორიებს შეიცავს.**

კვლევებმა აჩვენა, რომ დედამიწაზე ყველაზე სასარგებლო ხილი ვაშლია. ბრიტანელებმა დაადგინეს, რომ მასში



დიდი რაოდენობითაა C ვიტამინი, ანტიოქსიდანტები, რომლებიც ხელს უშლის მრავალი დაავადების განვითარების პროცესს და აწესრიგებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.

ვაშლის წვენი მდიდარია ისეთი ნივთიერებებით, რომლებიც ანეიტრალებს პირის ღრუში მავნე ბაქტერიების მოქმედებას. უფრო მეტიც, ვაშლში არსებული ფიტონუტრიენტები აქვეითებს თავის ტვინის დაავადებების განვითარების რისკს.

ვაშლი არ ემუქრება წონას. ერთი ცალი ვაშლი შეიცავს



მხოლოდ 70-100 კალორიას. ნიუიორკელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული უახლესი კვლევებით დამტკიცდა, რომ, თუ სხვა ხილთან და ბოსტნეულთან ერთად დღეში 1 ცალ ვაშლს მივიღებთ, მნიშვნელოვნად შევამცირებთ ძუძუს კიბოს განვითარების რისკს.

# ოკეანის ფსკერზე მონსტრს მიაკვლიეს



**ფლორიდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ოკეანის ფსკერზე დღემდე უცნობი სახეობის თევზი აღმოაჩინეს. კვლევის შესახებ მოკლე დასკვნა უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე განთავსდა, სრულად კი სამეცნიერო ჟურნალ Bionee-ში გამოქვეყნდა.**

როგორც დასკვნაშია ნათქვამი, მეცნიერებმა მექსიკის ყურეში უცნობი თევზის სახეობა აღმოაჩინეს, რომელიც Ceratiod-ის ოჯახს მიეკუთვნება. მათ, აგრეთვე, ზღვის ეშმაკებს უწოდებენ.

თევზების ეს ოჯახი გამოირჩევა იმით, რომ მათი წარმომადგენლები დიდ სიღრმეში ცხოვრობენ. ისინი მტაცებლები არიან და ისე გამოიყურებიან, თითქოს ბუნებამ სპეციალურად საშინელებათა ჟანრის ფილმებისთვის შექმნა. თევზს აქვს დიდი თავი გიგანტური ყბებით და ეშვებით. ამასთან, მათ თავზე აქვთ ერთგვარი ანკესის მსგავსი წანაზარდი, რომელიც ანათებს და რომლის მეშვეობითაც მტაცებელი მსხვერპლს იტყუებს.

ადამიანებს ამ მონსტრისგან საფრთხე არ ემუარებათ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ის ერთი კილომეტრის სიღრმეში ბინადრობს, სადაც მზის სხივიც კი არ აღწევს და სადაც ჩასასვლელად ადამიანს სპეციალური სასუნთქი მოწყობილობა სჭირდება. ამასთან, მისი ზომა სულ რაღაც 10 სანტიმეტრია. მეცნიერები ამბობენ, რომ თევზი ძველ კუზიან ჩექმას ჰგავს, რომელსაც ლანჩი აქვს ავარდნილი. ეს თევზი უნიკალურია წყლის სამყაროში.

# გიგანტური კიბორჩხალა და ადამიანის სილუეტი მარსზე

**მარსის მკვლევარმა Curiosity-მ დედამიწაზე ახალი ფოტოები გამოგზავნა. ცხარე დისკუსიის საგანი გახდა მარსის ზედაპირის ორი ფოტო. ერთ-ერთზე ქვებს შორის აღბეჭდილია რაღაც, რაც ძალიან ჰგავს კიბორჩხალას.**




ამოუცნობი არსების გადიდებული ფოტო მთელ ინტერნეტს მოედო, ხალხი კამათობს, არის ეს თუ არა ცოცხალი არსება. განსაკუთრებით მოტივირებულმა ადამიანებმა ნასას მიმართეს თხოვნით, მეტი ფოტო გადაიღოს და გაირკვეს, თუ რასთან გვაქვს საქმე. მეორე ფოტოზე სპეციალისტებმა აღმოაჩინეს ქალის სილუეტი, რომელიც შავ სამოსში არის გამოწყობილი. ჯერჯერობით, გადაჭრით არავინ ამბობს, არის თუ არა ობიექტი ცოცხალი არსება.





# ანომალიური ზონა მარსზე

**მარსმავალმა Curiosity-მ (უფრო სწორად კი მასზე დამონტაჟებულმა რუსულმა სამეცნიერო მოწყობილობა „დან“-მა), რომელიც მარსზე წყლის აღმოსაჩენად მუშაობს, წითელ პლანეტაზე უცნაური ქიმიური შემადგენლობის ზედაპირი აღმოაჩინა.**

ხელსაწყო „დან“-ი მარსის ზედაპირს მაღალი ენერგიის ნეიტრონებით ასხივებს, ხოლო მეორადი ნეიტრონების წნევის დეტექტორი წყალბადის შემადგენლობას ადგენს. ეს ნიშნავს, რომ ის ეძებს წყალს და ჰიდრატირებულ მინერალებს.

Curiosity-მ ათი კილომეტრი გაიარა გეილის კრატერის ძირზე. სწორედ ამ ტერიტორიაზე აღმოაჩინა „დან“-მა თიხის ფენებში წყლის შემცველობის ცვლილება. 2015 წლის 21 მაისს მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ Curiosity-მ უცნაური რაიონი გადაკვეთა, საიდანაც მაღალი წნევით სითბური ნეიტრონები იკვეთებოდა. ეს, მკვლევარების აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ ამ რაიონის სიღრმეში წყალი არსებობს ან ამ ტერიტორიაზე ძალიან უცნაური ქიმიური შემადგენლობის თიხაა.

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — ალმასების ქვეყანა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აფრიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოა. ჩრდილოეთით ესაზღვრება ნამიბიას, ბოტსვანასა და ზიმბაბვეს, ჩრდილო-აღმოსავლეთით — მოზამბიკსა და სვაზილენდს. აქვს სანაპირო ზოლი ინდოეთისა და ატლანტიკის ოკეანეებზე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის **(სარ)** ტერიტორიაზე შექმნილია სახელმწიფო ანკლავი ლესოტო.

ქვეყნის ტერიტორიაზე სახლობდნენ კოი-კოინის (ჰოტენტოტები) ბანტუსა და ბუშმენების ტომები (I ათასწლეული ჩვ.წ.აღ-მდე). 1652 წელს აქ დასახლდნენ ჰოლანდიელები. 1795 წელს კი ქვეყანა ბრიტანელებმა დაიპყრეს.

1961 წლის 31 მაისს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**კლიმატი.** კლიმატი სარ-ის ტერიტორიაზე გაცილებით ზომიერია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებიც იმავე განედზე მდებარეობს, რომელზეც სარ-ი, ეს აიხსნება ოკეანის დინებებითა და ქვეყნის მდებარეობით ზღვის დონიდან საკმაო სიმაღლეზე. საშუალო წლიური ტემპერატურა ქვეყანაში პლუს 16,5 გრადუსია. ზაფხულში 35 გრადუსს, ზოგ ადგილებში კი 51 გრადუსსაც აღწევს. ყველაზე დაბალი ტემპერატურა ზამთარში მინუს 5-10 გრადუსია.

**ფლორა.** სარ-ის ტერიტორიაზე დაახლოებით 20 ათასი მცენარე ხარობს. სწორედ აქედან გაიტანეს ბევრი ყვავილი, რომლებიც დღეს ევროპაშია გავრცელებული — გლადიოლუსი, ნარცისი, კეიპტაუნის რაიონში გვხვდება 5000 მცენარე, რომლებიც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხარობს. აღსანიშნავია ვერცხლის ხე, რომელიც სარ-ის ეროვნული სიმბოლოა.


პრეტორია

**ფაუნა.** სარ-ის ტერიტორიაზე ბინადრობს სპილო, მარტორქა, ზებრა, ლომი, ჟირაფი, ანტილოპა და სხვ.

**უდიდესი მდინარეები: ყვითელი მდინარე (2200 კმ)** და **ლიმპოპო (1750 კმ).**

ყველაზე მაღალი წერტილი — **ტაბანა-ნტლენიანა** (3482 მ. —ლესოტოში).

**ყველაზე დიდი ტბა — სიმაიი.**

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის **ტერიტორია 1 219 912 კვ.კმ-ს** შეადგენს (24-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2013 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში **48,6 მლნ** კაცი ცხოვრობს (26-ე). ეთნორასობრივი შემადგენლობა ასეთია: შავკანიანები — 79,4%; თეთრკანიანები — 9,2%; მულატები — 8,8%; ინდოელები და აზიის სხვა ხალხების წარმომადგენლები — 2,6%.

**დედაქალაქი — პრეტორია** (ადმინისტრაციული დედაქალაქი 750 ათასი) **კეიპტაუნი** (საკანონმდებლო. 3,4 მლნ); **ბლუმფონტაინი** (სასამართლო ხელისუფლება. 328 ათასი).

**უდიდესი ქალაქები: იოჰანესბურგი 4,5 მლნ); კეიპტაუნი; დურბანი (536 ათასი); პრეტორია.**

**ოფიციალური ენები: ინგლისური, აფრიკაანს, ვენდა, ზულუ, კოსა, სამხრეთ ნდებელე, სვატი, ჩრდილოეთ სოტო, სესოტო, ცვანა, ცონგა.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უნიტარული სახელმწიფოა. ქვეყნის ტერიტორია დაყოფილია 9 პროვინციად. სარ-ი საპარლამენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტს გადაწყვეტილებების მიღებისას სჭირდება პარლამენტის მხარდაჭერა. ამჟამად სარ-ის პრეზიდენტია **ჯეიკობ ზუმა.**

პარლამენტი ორპალატიანია და შედგება პროვინციების ნაციონალური საბჭოსა (ზედა პალატა — 90 წევრი) და ნაციონალური ასამბლეისგან (400 წევრი).

**რელიგია.** ქვეყანაში არ არის რელიგიური უმრავლესობა, ცხოვრობენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები: ორმოცდაათიანელები (7,5%); კათოლიკები (6,5%); მეთოდისტები (6,8%); ჰოლანდიელი რეფორმატორები (6,7%); ანგლიკანები (3,8%); სხვა ქრისტიანები (36%); ათეისტები (15,1%); მუსლიმანები (1,3%) და სხვ.


დურბანი

## ეკონომიკა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აფრიკის კონტინენტზე ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული სახელმწიფოა, ის ერთადერთი ქვეყანაა აფრიკაში, რომელსაც ე.წ. მესამე სამყაროს არ მიაკუთვნებენ. ეკონომიკის განვითარებას სარ-ი ბუნებრივ რესურსებს უნდა უმადლოდეს — ექსპორტის 52% სამთომომპოვებელ მრეწველობაზე მოდის. მოიპოვებენ მარგანეცს, პლატინის ჯგუფის ლითონებს, ოქროს, ქრომიტებს, ალუმინს, კანადიუმსა და ცირკონიუმს, ქვანახშირს, აზბესტს, ნიკელს, ტყვიას, ურანს და, რაც მთავარია, ალმასებს.

ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობა, მევენახეობა, მეღვინეობა და მეთევზეობა. ამუშავებენ მერქანს — ევკალიპტის, ფიჭვის, მიმოზის. საექსპორტოდ გააქვთ 140 სახეობის ხილი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთლიანი **შიგა პროდუქტი შეადგენს 505,2 მლრდ დოლარს,** მოსახლეობის **ერთ სულზე — 10 243 დოლარს.**

**ვალუტა: სამხრეთაფრიკული რენდი. 10 სამხრეთ აფრიკული რენდი უდრის 0,7802 აშშ დოლარს.**

**ინტერნეტომენი: za**

**სატელეფონო კოდი: +27**

**საათობრივი სარტყელი: GTM+2 და GTM+3**

## კულტურა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კულტურა ტრადიციული და თანამედროვე კულტურების ნაზავია, რომელშიც დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა ხალხებმა, როგორებიც არიან ბუშმენები, ბანტუ, ჰოტენტოტები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელგანთქმული ადამიანები: **ნელსონ მანდელა** — სარ-ის პრეზიდენტი და ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში. **კრისტიან ბერნარდი** — ქირურგი, რომელმაც პირველმა გააკეთა გულის გადანერგვის ოპერაცია. **ნადინ გორდიმერი** — მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **მარკ შატლუორტი** — ბიზნესმენი, პირველი სამხრეთ აფრიკელი, რომელმაც კოსმოსში იმოგზაურა; **ალან პეიტონი** — პედაგოგი, ავტორი მსოფლიოში პოპულარული წიგნისა „იტირე, საყვარელო ქვეყანავ" და სხვ.

**ღირსშესანიშნაობები.** კეპტაუნში —კეთილი იმედის კოშკი, სამხრეთ-აფრიკის მუზეუმი, მაგიდის მთა; დურბანში — აკვარიუმი, იოჰანესბურგთან — ნაციონალური პარკი კრიუგერი, დრაკონის მთები; პროვინცია ნატალში — ჩანჩქერი ტუგელა (მსოფლიოში მეორე ჩანჩქერი სიმაღლით, ზღვის დონიდან 948 მ-ზე).

## სამზარეულო

სამხრეთ აფრიკული სამზარეულო — ეს არის მსოფლიოს მრავალი ხალხის კულინარული ხელოვნების სიმბიოზი. პოპულარულია ზღვის პროდუქტების (კრევეტები, მიდიები, ლანგუსტები, კალმარები), ხორცისა (ქათმის, ცხვრის, საქონლის) და ბოსტნეულის კერძები.


ჩანჩქერი ტუგელა


ეროვნული პარკი



## ქათმის ხორცის სალათა ბეკონითა და მწვანილით

**ინგრედიენტები:**

* ქათმის ფილე — 200 გრ
* სოიოს სოუსი — 3 სუფრის კოვზი
* თაფლი — 1/4 ჭიქა
* მდოგვი — 1 ს.კ.
* ნიორი — 1 კბ
* წიწაკა ჩილი (დაფქული) — ნახევარი სუფრის კოვზი
* პარკი ლობიო (დაჭრილი) — 200 გრ
* სატაცური — 200 გრ
* ბროკოლი — 200 გრ
* ყავისფერი შაქარი — 2 ს.კ.
* კარაქი — 100 გრ
* ზეითუნის ზეთი — 1 სუფ.კ.
* 2 პომიდორი (რგოლებად დაჭრილი)
ყველი პარმეზანი — 100 გრ
სალათის ფოთლები, ოხრახუში, ქინძი, რეჰანი (200 გრ)
ბეკონი — 8 ნაჭერი.

**მომზადება:**

1. ქათმის ფილე მსუბუქად დაბეგვეთ და ღრმა ქვაბში მოათავსეთ.
2. ერთმანეთში აურიეთ სოიოს სოუსი (2 ს.კ.), დანაყილი ნიორი, წიწაკა ჩილი და ქათმის ფილეს მოასხით.
3. მარინადში ჩადებული ფილე 2 საათით შედგით მაცივარში.
4. დიდ ქვაბში ჩააგდეთ კარაქი და მოშუშეთ ქათმის ფილეს თითოეული მხარე 4-4 წუთის განმავლობაში.
5. გადმოიღეთ ცეცხლიდან და გადაღვარეთ წვენი, რომელიც წარმოიქმნა მოშუშვის შედეგად. დააფარეთ ფოლგა 5 წთ-ით.
6. გაცივების შემდეგ ფილე დაჭერით პატარა ნაჭრებად.
7. ბეკონის რულეტის მოსამზადებლად ბეკონის 2 ნაჭერში გაახვიეთ პარკი ლობიო (4 ც), სატაცური (2 ც) და ბროკოლი (2 ც). რომ არ გაიშალოს, პირი კბილის ხის საჩიჩქნით დაუმაგრეთ.
8. ასევე გამოიყენეთ დარჩენილი ლობიო, სატაცური, ბროკოლი და ბეკონი.
9. რულეტს მოაფრქვიეთ ყავისფერი შაქარი და მოასხით სოიის დარჩენილი სოუსი.
10. რულეტები დიდ ტაფაზე დადეთ და კარაქში შეწვით 5 წთ-ის განმავლობაში (დროდადრო გადააბრუნეთ).
11. ტაფაზე წვის პროცესში რულეტებს მოაყარეთ გახეხილი ყველი პარმეზანი.
12. მოასხით სოიოს სოუსის, თაფლისა და მდოგვის ნარევი.
13. სუფრაზე მიტანამდე კერძი დადეთ სალათის ფოთლებზე, მორთეთ პომიდვრის ნაჭრებითა და წვრილად დაჭრილი მწვანილით.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

**ძილის ხარისხი არანაკლებ მნიშვნელოვანია მის ხანგრძლივობაზე. მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძილში ადამიანის პოზებზე დამოკიდებულია კანის, საკვების მომნელებელი სისტემისა და თვით იმუნიტეტის მდგომარეობაც კი.**

სასარგებლო რჩევები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ შევამოწმოთ ბენზინის ხარისხი



**საწვავი ყოველწლიურად ძვირდება და მძღოლები ავტოგასამართ სადგურებზე შეშფოთებით უმზერენ საწვავზე მომატებულ ფასებს. დიდძალი თანხის გადახდის შემდეგ, ავტომობილის მფლობელს, რა თქმა უნდა, სურს, ხარისხიანი საწვავი მიიღოს, მაგრამ ავტოგასამართ სადგურებზე არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა შეიძლება, უხარისხო საწვავიც „შემოგვაჩეჩონ“. უხარისხო საწვავი კი კარგს არაფერს დამართებს ავტომობილს.**

სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ არსებობს ბენზინის ხარისხის განსაზღვრის 6 მეთოდი. და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მათგან თუნდაც ერთი? ამ მეთოდების ცოდნა დაგეხმარებათ, თავი დაიცვათ თაღლითებისგან, შეინარჩუნოთ სიმშვიდე და ავტომობილის სისტემები.



**1. სუნი.** გამოცდილ მძღოლებს თავისუფლად შეუძლიათ, სუნით განსაზღვრონ, რომელი ბენზინია კარგი და რომელი — ცუდი, განსაკუთრებით მათ, ვისაც ხშირად აუვსიათ ავტომობილის ავზი ხელით — კანისტრიდან. **თუ გეცათ თხევადი აირის, ნაფთალინის ან გოგირდწყალბადის სუნი, სჯობს, თავი შეიკავოთ ასეთი საწვავის შეძენისგან.**

**2. ფერი.** ვიზუალური ტესტის ჩატარება ყველას შეუძლია. ამისათვის საჭირო არ არის სპეციალური ხელსაწყოები და განსაკუთრებული უნარები. თუმცა უნდა იცოდეთ, რა ფერისაა სუფთა ბენზინი. ამ მიზნით, ის ცოტა რაოდენობით ჩაასხით გამჭვირვალე ქილაში: **მკრთალი ყვითელი ფერი მიანიშნებს, რომ ბენზინი ნორმალური ხარისხისაა, მაგრამ, თუ ჩანს მინარევები, არასტანდარტული შეფერილობა ან ნალექი, ასეთი ბენზინის შეძენა არ ღირს.**

**3. ტესტი „მარგანცოვკით“** (კალიუმის პერმანგანატი) შემოწმების ძალიან მარტივი მეთოდია — აიღეთ ცოტა „მარგანცოვკა“ და დაუმატეთ ბენზინი. **თუ საწვავმა მიიღო ვარდისფერი, მაშინ მას წყალი აქვს შერეული.**

**4. ტესტი ხელით.** ბენზინის ხარისხის შესამოწმებლად საკმარისია, ხელზე რამდენიმე წვეთი დავიწვეთოთ. **თუ დიდი ლაქა დარჩება — პროდუქტი უხარისხოა; თუ ბენზინი სწრაფად აორთქლდება, — ხარისხიანი.**

**5. ტესტი ქაღალდზე.** ამ ტესტის ჩასატარებლად აიღეთ თეთრი ფურცელი, დაასხით მას ცოტაოდენი ბენზინი და დადეთ გასაშრობად. რამდენიმე წუთში ბენზინი აორთქლდება. **თუ თეთრ ქაღალდზე კვალი არ დარჩება, ეს იმას ნიშნავს, რომ ბენზინი ხარისხიანია, ხოლო, თუ ფერადი ლაქები დარჩა, საწვავი სხვაგან უნდა იყიდოთ.**

**6. წვა.** ეს ტესტი ბენზინში სხვადასხვა მინარევის პოვნის საშუალებას იძლევა. ამისთვის კი საჭიროა, საწვავის რამდენიმე წვეთი მინას მივაპკუროთ და ცეცხლი წავუკიდოთ. ბუნებრივია, ეს ექსპერიმენტი ავტოგასამართი სადგურის ფარგლებს გარეთ უნდა ჩავატაროთ.

როგორც კი ბენზინი დაიწვება, ფერთა გამა უნდა შეაფასოთ. **თუ მინაზე თეთრი წრეები დარჩა, საწვავი ხარისხიანია. ყვითელი და ყავისფერი ლაქები მიუთითებს, რომ საწვავში დამატებულია ფისი, ხოლო პატარა წვეთების დარჩენა ნიშნავს, რომ ბენზინი შეიცავს რომელიღაც ზეთებს, მათ შორის, სამანქანოს, რომელსაც შეუძლია, სერიოზულად დააზიანოს სატრანსპორტო საშუალების ძრავა.** ამიტომ არ უნდა შეიძინოთ დაბალხარისხიანი საწვავი, განსაკუთრებით — „ზეთოვანი სიურპრიზით“.

ავტომობილის მფლობელებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ეკონომია და ბენზინის ხარისხზე გამოცდილი მძღოლების რჩევების იგნორირება პრობლემებს შეგიქმნით; შედეგად — უფრო მეტ ფულს დახარჯავთ ძრავის შესაკეთებლად.



# როგორ დავიძინოთ სწორად

მედიკოსები გვირჩევენ

**საიდუმლო არავისთვის არის, რომ ძილი ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი შემადგენელია, მაგრამ ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ ძილის ხარისხი არანაკლებ მნიშვნელოვანია მის ხანგრძლივობაზე. მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძილში ადამიანის პოზებზე დამოკიდებულია კანის, საკვების მომნელებელი სისტემისა და თვით იმუნიტეტის მდგომარეობაც კი.**

ქვემოთ მოგითხრობთ, რომელ გვერდზე სჯობს ძილი — მარჯვენაზე თუ მარცხენაზე.

ძილის დროს პოზა ბევრნაირი შეიძლება იყოს: მუცელზე, ზურგზე, მარჯვენა თუ მარცხენა გვერდზე და მოკუნტულიც კი.

**ზურგზე ძილმა** შეიძლება გამოიწვიოს ხვრინვა, სუნთქვის გაძნელება, ეს კი სახიფათოა ასთმით დაავადებულთათვის. გარდა ამისა, ადამიანებს, რომლებსაც ზურგზე სძინავთ, სისხლში შემცირებული აქვთ ჟანგბადი, რაც რესპირატორული დაავადების რისკს ამაღლებს.

**მარჯვენა გვერდზე** ძილმა შეიძლება საკვების მომნელებელი სისტემის პრობლემები გამოიწვიოს.

ლიმფური სისტემის მუშაობის შენელება აჩერებს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნის პროცესს, რაც მძიმე დაავადება გამოწვევის ალბათობას ამაღლებს.



**მარცხენა გვერდზე** ძილი ყველაზე სასარგებლოდ ითვლება. ასე აქტიურდება საკვების მომნელებელი სისტემის მუშაობა, განსაკუთრებით — კუჭისა და კუჭქვეშა ჯირკვლის, ხელი ეწყობა ლიმფური სისტემის მუშაობას და გამოიდევნება ტოქსინები და წიდები.

**3 ხერხი, რომელთა გამოყენებითაც ძილში ადვილად შეიცვლით პოზას:**

**1.** დაწექით ისე, რომ მარცხენა მხარეს მეტი ადგილი იყოს. ასეთ შემთხვევაში მარჯვენა გვერდზე დაძინება მოუხერხებლად მოგეჩვენებათ და სიამოვნებით გადაბრუნდებით მარცხენა მხარეს.

**2.**სამაგიდო ნათურა დადეთ საწოლის მარჯვენა მხარეს. ძილში თქვენ ქვეცნობიერად მოგინდებათ, თავი აარიდოთ შუქს და მარცხენა გვერდზე დარჩებით.

**3.** მარჯვენა მხარეს ზურგის გასწვრივ დადეთ დიდი ბალიში. ის შესაძლებლობას არ მოგცემთ, გადაბრუნდეთ მარჯვენა გვერდზე ან გაგირთულებთ ასეთ მოქმედებას, შესაბამისად, მარცხენა მხარეს დაიძინებთ.

გახსოვდეთ: სრულფასოვანი ძილი მაღალი შრომისუნარიანობის, მყარი იმუნიტეტისა და ხანგრძლივი სიცოცხლის საწინდარია.

ავტოკურიოზი

# არასწორი პარკირებისთვის ჯარიმა გამოუწერეს... სკულპტურას

**გერმანიის ქალაქ კარლსრუეში ადგილობრივმა პოლიციამ სკულპტორი ერვინ ვულფი ფურგონის არასორად „გაჩერების“ გამო დააჯარიმა. სამართალდამცველები იმანაც კი ვერ შეაჩერა, რომ „მერსედესის“ ფურგონის უკანა ნაწილი უცნაურად იყო გაღუნული და კედელზე მიმაგრებული.**



ავსტრიელმა სკულპტორმა ერვინ ვულფმა სახელი სწორედ ასეთი უცნაური ინსტალაციებით გაითქვა. მან, მაგალითად, ვენის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შენობაზე გადაბრუნებული სახლი დადგა, „ფოლკსვაგენის“ მიკროავტობუსი კი დააგრძელა და შუაში გაღუნა. მისი ახალი ქმნილება, რომელიც გერმანელი პოლიციელების თვალთახედვის არეში მოექცა, ე.წ. გაღუნული ავტომობილების თემას განაგრძობს. კაშკაშა წითელი ფერის „მერსედეს-ბენცის“ ფურგონი წინა ნაწილით ქალაქ კარლსრუეს ერთ-ერთი ქუჩის ქვაფენილზე დგას, მისი





უკანა ნაწილი კი სახლის ვერტიკალურ კედელზეა მიმაგრებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტომობილი კედლიდან გადმოდის. როგორც ჩანს, ადგილობრივმა პოლიციამ სათანადოდ ვერ შეაფასა სკულპტორის ქმნილება და საქარე მინაზე სწრაფად გაჩნდა საჯარიმო ქვითარი.

თუმცა, როგორც გაირკვა, პოლიციელმა საჯარიმო ქვითარი ხუმრობით დატოვა.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**29 აგვისტოს სავსემთვარეობაა. რთული პერიოდია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონეთათვის. წარმატებას მიაღწევენ ქალწულისა და მორიელის ნიშნებით დაბადებულები.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**19 აგვ. - 8 სექტ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

ძალიან დაკავებული ხართ მატერიალურ სიკეთეებზე ფიქრით და უნდა შეცვალოთ თქვენი თვალსაზრისი ამ საკითხზე, რადგან ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა დროებითია. სჯობს, მეტი დრო დაუთმოთ სულიერ განვითარებას.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას არ შეეცადოთ მის მართვას — ეს კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

სწორად გაანაწილეთ დრო მუშაობასა და დასვენებას შორის და დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი კერძები.

**დადებითი დღეები: 26, 28 აგვისტო, 3 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 24 აგვისტო, 7 სექტემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ და რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას ნუ დაიწყებთ. შეეცადეთ, პრობლემები ნელ-ნელა მოაგვაროთ. ვითარების ღრმად შესწავლა შეცდომებს აგარიდებთ, გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა ოჯახის წევრებს ჰკითხეთ.

პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებები, შესაძლოა საყვარელ ადამიანთან დაშორებაც კი. ამ შემთხვევაში ბევრი რამ თქვენზე არ იქნება დამოკიდებული.

გაუფრთხილდით ყელს და თვალებს — მაღალია ამ ორგანოების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღეები: 20, 24 აგვისტო, 4 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 22, 26 აგვისტო, 2 სექტემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ისე ჩქარობთ, თითქოს სადღაც გაგვიანდებათ, არადა, ნაჩქარევად შესრულებული სამუშაო ხარისხიანი არ იქნება. მოერიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებს, ყურადღებით გააანალიზეთ შემოთავაზებული გარიგების ყველა დეტალი.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც რომანტიკული ურთიერთობის გაბმას მოისურვებთ, მაგრამ ეს კონფლიქტამდე მიგიყვანთ, რადგან გრძნობები განსხვავებული აღმოჩნდება.

იმუნიტეტის გასამყარებლად მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღეები: 22, 28 აგვისტო, 2 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 25, 29 აგვისტო, 7 სექტემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

თქვენი ფინანსური მდგომარეობა ამჟამად კარგია, მაგრამ მხოლოდ ფინანსებზე ფიქრის გამო შესაძლოა, მატერიალური სამყაროს ტყვეობაში აღმოჩნდეთ. ხელმძღვანელობისგან კრიტიკა რომ არ დაიმსახუროთ, მინიმუმამდე დაიყვანეთ მასთან კონტაქტი.

მარტოხელა კირჩხიბებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც სიმპათია გაუჩნდებათ და მოინდომებენ ურთიერთობის გაღრმავებას.

ახლა თქვენი სუსტი წერტილი საკვების გადამამუშავებელი სისტემაა. პრობლემები რომ აიცილოთ, რაციონიდან გამორიცხეთ ცხარე საკვები და ალკოჰოლური სასმელი.

**დადებითი დღეები: 20, 25 აგვისტო, 3 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 28, 30 აგვისტო, 2 სექტემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

შეძლებთ უდანაკარგოდ გამოსვლას რთული ვითარებიდან, მაგრამ ამას მხოლოდ ძალების სრული მობილიზებითა და თავდაუზოგავი შრომით მიაღწევთ.

რთული გადაწყვეტილების მიღების წინ რჩევა გამოცდილ ადამიანებს ჰკითხეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მას მეტისმეტი მოთხოვნებით თავს არ მოაბეზრებთ.

თუ გულის რომელიმე დაავადება გაწუხებთ, აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 24, 27 აგვისტო, 9 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 22, 29 აგვისტო, 7 სექტემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

სასიკეთო პერიოდია, შეგიძლიათ, ყველა საქმე წარმატებით დაასრულოთ, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებთ, განსაკუთრებით — უკვე დაწყებული. ჩაუღრმავდით საკუთარ თავს იმისათვის, რომ უფრო კარგად გააანალიზოთ ამოცანები და მიზნები. სწორედ ასე მოძებნით გზას, რომელიც წარმატებამდე მიგიყვანთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. ის მზად იქნება, მხარში ამოგიდგეთ ნებისმიერი პრობლემის მოგვარებისას.

თუ ადრე გადატანილი გქონდათ შარდ-სასქესო სისტემის რომელიმე დაავადება, აუცილებლად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 25, 26 აგვისტო, 4 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 19 აგვისტო, 9 სექტემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

სამსახურში შეიძლება ურთიერთობა გაგიმწვავდეთ ხელმძღვანელობასთან, რაც გამოწვეული იქნება თქვენი მხრიდან დისციპლინის დარღვევით და კოლეგებთან უთანხმოებით. შეეცადეთ, კეთილსინდისიერად იმუშაოთ და თქვენი მოვალეობები სხვას არ გადააბაროთ.

ახლა თქვენი მთავარი ფასეულობა ოჯახური სიმყუდროვეა.

მეტად იზრუნეთ საყვარელ ადამიანზე და არც ოჯახის უმცროსი წევრები დაივიწყოთ.

გაუფრთხილდით თვალებს. შეეცადეთ, ხშირად მიიღოთ წყლის პროცედურები და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღეები: 21, 24 აგვისტო, 6 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 26, 30 აგვისტო, 4 სექტემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

სასიკეთო პერიოდია. გაბედულად იმოქმედეთ და წარმატება არ დააყოვნებს. განსაკუთრებით გაუმართლებს იმ მორიელებს, რომლებიც მოღვაწეობენ საფინანსო ან კომუნიკაციების სფეროში. თუმცა გაფრთხილდით კოლეგებთან ურთიერთობისას — უმიზეზო კრიტიკამ შეიძლება მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ საოჯახო მოვალეობებს სწორად გაინაწილებთ და პრობლემებს ერთობლივად გადაწყვეტთ.

შეიძლება შეგექმნათ ნივთიერებათა ცვლის პრობლემა, ამიტომ გაესინჯეთ ექიმს. კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღეები: 21, 25 აგვისტო, 5 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 27, 28 აგვისტო, 7 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

თუ ახალი საქმის წამოწყებას აპირებთ, როგორ მომგებიანადაც უნდა გეჩვენებოდეთ ის, კარგად გააანალიზეთ გარემოებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ძალისხმევის დახარჯვა მოგიწევთ არა მიზნის მისაღწევად, არამედ ხელის შემშლელ გარემოებებთან საბრძოლველად.

მარტოხელა მშვილდოსნებს მიეცემათ შანსი, გაიცნონ საპირისპირო სქესის წარმომადგენელი და მასთან რომანტიკული ურთიერთობა გააბან.

უარი თქვით ალკოჰოლსა და სიგარეტზე, დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღეები: 24 აგვისტო, 5, 9 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 21, 29 აგვისტო, 4 სექტემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

იშრომეთ, დაწყებული საქმე არ მიატოვოთ და, ხელის შემშლელი გარემოებების მიუხედავად, დასახულ მიზნებს აუცილებლად მიაღწევთ. შედეგად გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა და პოზიციებსაც გაიმყარებთ.

გაითვალისწინეთ საყვარელი ადამიანის რჩევები, რადგან ისინი ძალიან სასარგებლო იქნება. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის ხანდაზმულ წევრებს — იზრუნეთ მათზე.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღეები: 25, 26 აგვისტო, 8 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 19, 29 აგვისტო, 6 სექტემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

სწრაფი გადაწყვეტილებები დადებით შედეგებს გამოიღებს და დასახულ მიზნებთან მიგიყვანთ, მაგრამ შესაძლოა, ძალები იქამდე ამოგეწუროთ, ვიდრე მიზანს მიაღწევთ, ამიტომ ბევრ საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით.

წინდაუხედავი მოქმედებების გამო საყვარელ ადამიანს შეიძლება ეჭვი შეეპაროს თქვენს ერთგულებაში, ამიტომ მზად იყავით სკანდალისა და ურთიერთობის გარკვევისთვის.

ამ პერიოდში მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღეები: 23, 25 აგვისტო, 3 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 21, 29 აგვისტო, 7 სექტემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

საკმარისი ენერგია გაქვთ ჩანაფიქრის შესასრულებლად. მაგრამ, თუ რამდენიმე საქმეს ერთდროულად შეეჭიდებით, თქვენი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდება. ამიტომ დასახული მიზნებისკენ ნელ-ნელა, თანამიმდევრულად იარეთ. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა არასტაბილური იქნება, თუ ემოციებს არ მოთოკავთ და მხოლოდ თქვენი სურვილების დაკმაყოფილებაზე იფიქრებთ.

ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კარგი იქნება, თუ ხშირად ჩაიტარებთ წყლის პროცედურებს და მიიღებთ ვიტამინებით მდიდარ საკვებს.

**დადებითი დღეები: 26 აგვისტო, 2, 6 სექტემბერი.**

**უარყოფითი დღეები: 19, 29 აგვისტო, 9 სექტემბერი.**

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე







1. ფიცარი, რომელსაც ერთი მხარე ანძული აქვს
2. შარდის გამოყოფის სრული შეწყვეტა
3. გეომეტრიული ფიგურა
4. შოტლანდიის დედაქალაქი
5. გათქვეფილი მაწონი
6. ქიმიური ელემენტი
7. მსახიობი ... კისტნერი
8. ღორის ჯიში
9. გერმანიის იმპერიის იმპერატორთა სახელწოდება
10. მთავარი სისხლძარღვი
11. მოხარშული ცომი
12. ჩეხი ხალხის ეროვნული გმირი ... ჟიჟკა
13. შინაური ცხოველი
14. ქართული ტელევიზიის მწარმოებელი კომპანია
15. ცდისაგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე
16. მდინარე საქართველოში
17. ზღაპრული პერსონაჟი
18. აბრაგი, ყაჩაღი
19. ბოლქვიანი ყვავილი
20. მწერალი ... მორჩილაძე
21. „გრაფი ... კრისტო"
22. ან.ფ. „... დამაცადე"
23. მოწითალო-ყვითელი სალებავი
24. ბლაგვ ზედაპირზე ამოკვეთილი ნახატი
25. განგსტერი ჩარლი ... ლუჩიანო
26. მსახიობი ... ტაილერი
27. ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი
28. ტბა გარდაბნის რაიონში
29. საფრანგეთის სახალხო გმირი ჟანა ...
30. საწერი ინსტრუმენტი
31. მსახიობი ... აჯანი
32. სპორტის სახეობა
33. ინგლისელი მხატვარი ... ბლეიკი
34. ფეხბურთელი ზინედინ ...
35. ბუნინის რომანი
36. მუს. ბგერის გამოსახულება
37. ვარდობისთვე
38. განთიადი
39. ქალაქი იტალიაში
40. უბანი თბილისში
41. ლირიკული ლექსის ფორმა
42. მხ.ფ. „ადამიანი ..."
43. სამბორბლიანი ველოსიპედი
44. კონტინენტის ნაწილი
45. ანჩხლი
46. სწრაფმზარდი ხე ან ბუჩქი
47. ელემენტის უმცირესი ნაწილაკი
48. თევზის სახეობა
49. 3,14
50. გრძელხელება მაიმუნი
51. ალანი
52. კომპოზიტორი ... გურგულია
53. ამერიკელი მომღერალი ... რაიმზი
54. [illegible]
55. მთათა სისტემა ციმბირში
56. იუპიტერის თანამგზავრი
57. ხელსაქმის მფარველი სვანური ქალღმერთი

## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 7 | 5 | | | | | 6 |
| | | 8 | | | | 7 | | |
| | | | 8 | 6 | | | 2 | |
| 8 | | 5 | | | | 4 | | |
| | 4 | | 1 | | 5 | | 9 | |
| | | 9 | | | | 3 | | 5 |
| | 1 | | | 3 | 8 | | | |
| | | 3 | | | | 8 | | |
| 2 | | | | | 1 | 9 | | 7 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 3 | |
| 7 | | 4 | | 2 | | | | |
| 3 | | | 6 | 8 | | | | 5 |
| 9 | | 8 | 7 | 3 | | | 1 | |
| | 2 | | | | | | 8 | |
| | 1 | | | 5 | 8 | 6 | | 3 |
| 1 | | | | 9 | 6 | | | 8 |
| | | | | 4 | | 7 | | 6 |
| | 4 | | | | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 6 | | | | |
| 3 | | 5 | | | | | 8 | 7 |
| 1 | | 9 | 8 | | 7 | | | |
| | | | | 5 | 6 | | | 2 |
| 6 | | 4 | 2 | | 1 | 8 | | 3 |
| 2 | | | 7 | 8 | | | | |
| | | | 9 | | 8 | 2 | | 6 |
| 8 | 4 | | | | | 5 | | 1 |
| | | | | 1 | | | | |

# ილია მეორე — ჯარისკაცებს: არ გაბოროტდეთ, არ გახდეთ ულმობელნი



**ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა, რომ „დიდი ხანია, ასეთი კავშირი ჯარსა და ეკლესიას შორის არ ყოფილა“.**

პატრიარქმა საკათედრო ტაძრიდან ჯარს მიმართა. „მინდა, მივმართო ჩვენს ჯარისკაცებს, ჯარში ადამიანი არ უნდა გაბოროტდეს, არ უნდა გახდეს ულმობელი, მაგრამ, ამასთანავე, უნდა იცოდეს, რომ ჯარისკაცი არის დამცველი სამშობლოსი. ჩვენი ჯარისკაცი არის გამგრძელებელი იმ დიდი ღვაწლისა, რასაც აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები“, — ბრძანა საკვირაო ქადაგებისას პატრიარქმა.



# მიმართვა სახალხო-პატრიოტული კავშირისა «რუსეთი ჩემი მეზობელია»

**ჩვენ, რამდენიმე ადამიანი, მივიჩნევთ რა, რომ დადგა დრო, დავფიქრდეთ საქართველოს ბედუკულმართობის ობიექტურ მიზეზებზე და ენერგიული ნაბიჯები გადავდგათ ამ სავალალო მდგომარეობიდან ჩვენი ქვეყნის გამოსაყვანად, დავაარსეთ სახალხო-პატრიოტული კავშირი „რუსეთი ჩვენი მეზობელია“.**

ბევრი, ალბათ, იფიქრებს, — ესენი რუსეთუმეები და კრემლის დაქირავებული აგენტები, ანუ სამშობლოს მოღალატეები არიანო, მაგრამ გვინდა, განვაცხადოთ, რომ ჩვენ არც ე. წ. რუსეთუმეები ვართ და არც რომელიმე ძალა (შინაური თუ გარეული) გვიმაგრებს ზურგს. ჩვენ მხოლოდ სიმართლისა და თქვენი, უბრალო ხალხის, იმედი გვაქვს. სიმართლე კი თქვენთვის ჯერ არავის გაუმხელია. დიახ, დღემდე სწორედ თქვენი მოტყუების ხარჯზე, საკუთარი ქვეყნისთვის საზიანო საქმეს თქვენივე ხელით გაკეთებინებდნენ და მერკანტილურ ზრახვებს დაუსჯელად ახორციელებდნენ.

ჩვენი ამოცანაა, თქვენთან ერთად, მსოფლიოს ხალხებსა და, მათ შორის, რუსებსაც დავანახვოთ ნამდვილი მტრისა და მოყვრის ჭეშმარიტი სახე და შესაბამისად, ყველასთან სამშვიდობოდ გაერთიანება შევძლოთ; ხალხი ერთმანეთის მტერი არასდროს ყოფილა და არც იქნება; მათი ჭეშმარიტი მტერი კი ყველა ხალხის ის უმცირესი ნაწილია, რომელიც მსოფლიოში „მაფიოზური ერთობით“ არის გაერთიანებული და მისკუთრებული აქვს რა პლანეტის თითქმის მთელი სიმდიდრე, რაღა თქმა უნდა, არ სურს, ხელიდან გაუშვას მსოფლიოს მართვის ეს უძლიერესი იარაღი. ეს მაფიოზური ნაწილი ყოველგვარი ხერხით ცდილობს და ახერხებს კიდეც, ხალხთა მასების გაბრიყვებითა და სხვების მტრის ხატად წარმოჩენის მეშვეობით, ექსპლუატაცია გაუწიოს უმრავლესობას. ამიტომ ჩვენი ვალია, ყველგან, ყველა ქვეყანაში გამოვავლინოთ და ვამხილოთ ეს ძალები და ყველა ქვეყნის დაჩაგრული ხალხების ძალების გაერთიანებით წინ აღვუდგეთ კაცობრიობის ამ ერთადერთ რეალურ მტერს.

ჩვენი ამოცანაა თვალი ავუხილოთ, პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობას, მოძმე ქვეყნების ხალხებსა და სრულიად მსოფლიოს, რომ ჩვენი მტერი მსოფლიოს მტერია.

ჩვენი, საქართველოს ვეტერან-მესაზღვრეების, მრავალწლიანი უდიდესი კოლეგიური, მეგობრული რესურსით, რაღა თქმა უნდა, თანამოაზრეების ხელშეწყობით, შეგვიძლია აღვადგინოთ დაკარგული დიპლომატიური ურთიერთობა ორ მეზობელ მართლმადიდებელ ქვეყანას — რუსეთსა და საქართველოს შორის.

ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლება მართულია დასავლეთიდან და სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი უძლურია, ეს საკითხი მოაგვაროს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ლეონიძის №10 (თავისუფლების მოედანთან ახლოს)
საკონტაქტო ტელეფონები: 597 77 78 94; 557 2843 16; 571 08 99 00; 599 90 18 45.

# სააკაშვილი საბარგულში



**მედიის წარმომადგენლებმა ოდესის ოლქის გუბერნატორი ავტომობილის საბარგულში ახალი საპატრულო პოლიციის ვარჯიშისას დაინახეს.** ახალი საპატრულო პოლიციის ვარჯიში ოდესის შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტში 18 აგვისტოს, დილით გაიმართა. ყველა სავარჯიშო — ევაკუაცია, ავტომობილის გაჩერება და ა.შ. გუბერნატორმა პოლიციელებთან ერთად შეასრულა. ყველაფერთან ერთად სააკაშვილი პატრულის მანქანის საბარგულშიც ჩაძვრა.

# გერმანიამ საემიგრაციო კანონმდებლობა გაამკაცრა

**საემიგრაციო კანონმდებლობის ახალი რეგულაციები 1 აგვისტოს ამოქმედდა. ახალი კანონით, უარის შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებელს ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლით ეკრძალება. ეს რეგულაცია, შესაძლოა, საქართველოს მოქალაქეებზეც გავრცელდეს.**



გერმანიის მსგავსად, საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაზე ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც ფიქრობენ. ამის მიზეზი, არასტაბილური ვითარების გამო, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ლტოლვილთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა გახდა.

მიგრანტების დასახმარებლად ევროკავშირი რამდენიმე მილიარდ ევროს დახარჯავს, რაც ბევრი პოლიტიკური პარტიისა თუ მოქალაქისთვის მიუღებელია.

# 31-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ფოტოებზე: დოდო აბაშიძე; არმაზი; შონ კონერი. 1. კანაპე; 2. ანურია; 3. პირამიდა; 4. ედინბურგი; 5. დო; 6. ბორი; 7. კევინ; 8. კოლტი; 9. კაიზერი; 10. აორტა; 11. ატრია; 12. იან; 13. ვირი; 14. ბარამბო; 15. აპრიორი; 16. არაგვი; 17. ფერია; 18. ფირალი; 19. ვარდი; 20. აკა; 21. მონტე; 22. აბა; 23. ინა; 24. გრავიურა; 25. ლაკი; 26. ლივ; 27. შუ; 28. კუმისი; 29. დარკი; 30. კალამი; 31. იზაბელ; 32. ძიუდო; 33. ედმუნდ; 34. ზიდანი; 35. იზა; 36. ნოტი; 37. მაისი; 38. აისი; 39. მილანი; 40. ვაკე; 41. ელეგია; 42. ოზოზა; 43. რიკშა; 44. აზია; 45. ავი; 46. ევკალიპტი; 47. ატომი; 48. ბარაბულკა; 49. პი; 50. გიბონი; 51. ოსი; 52. ილონა; 53. ბასტა; 54. სლიპი; 55. ალტაი; 56. იო; 57. ლამარია**

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 7 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 6 |
| 6 | 5 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 6 | 7 | 5 | 2 | 9 |
| 8 | 7 | 5 | 3 | 9 | 6 | 4 | 1 | 2 |
| 3 | 4 | 2 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 8 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 8 | 2 | 3 | 7 | 5 |
| 7 | 1 | 6 | 9 | 3 | 8 | 2 | 5 | 4 |
| 5 | 9 | 3 | 7 | 2 | 4 | 8 | 6 | 1 |
| 2 | 8 | 4 | 6 | 5 | 1 | 9 | 3 | 7 |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 3 | 9 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 1 |
| 3 | 9 | 1 | 6 | 8 | 4 | 2 | 7 | 5 |
| 9 | 6 | 8 | 7 | 3 | 2 | 5 | 1 | 4 |
| 5 | 2 | 3 | 4 | 6 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 4 | 1 | 7 | 9 | 5 | 8 | 6 | 2 | 3 |
| 1 | 7 | 5 | 2 | 9 | 6 | 3 | 4 | 8 |
| 8 | 3 | 2 | 1 | 4 | 5 | 7 | 9 | 6 |
| 6 | 4 | 9 | 8 | 7 | 3 | 1 | 5 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 7 | 1 | 6 | 5 | 3 | 2 | 9 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 1 | 2 | 9 | 8 | 3 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 7 | 9 | 8 | 3 | 5 | 6 | 4 | 1 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 | 3 |
| 2 | 1 | 3 | 7 | 8 | 4 | 9 | 6 | 5 |
| 5 | 7 | 1 | 9 | 4 | 8 | 2 | 3 | 6 |
| 8 | 4 | 2 | 6 | 7 | 3 | 5 | 9 | 1 |
| 9 | 3 | 6 | 5 | 1 | 2 | 7 | 4 | 8 |


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009